

140 /
1988 / 2



საქართველოს
გეოგრაფიული

5
1988



ჩვენ
ინტერნაციონალისტები
პართ

ინტერნაციონალისტები

ერთი სტუდენტის შვილები

ნინო ხარაზიშვილი

ყოფილხართ თეთრი წყაროს რაიონში? მაშ, რაიონულ ცენტრში ლენინის ძეგლთან მომდინარე პატარა წყაროს ამბავიც გეცოდინებათ! სანამ ქვის „ბუდეში“ ჩასვამდნენ, კირქვანარევი თიხის ჩამონარეცხისგან ცარცისფრად შეღებილი მოწანწკარებდა თურმე ეს წყაროს წყალი... აქედან მოდის რაიონული ცენტრის თეთრი წყაროდ მონათვლის ამბავიც. მაგრამ ამჯერად წყაროზე კი არა, სულ სხვა რამეზე გვინდა მოგითხროთ.

ქართველი კაცი ბუნებით რომ ინტერნაციონალისტია, ამაში ყველაზე უკეთ ისევ ჩვენი რესპუბლი-

კის მრავალეროვნულობა გვარწმუნებს. თეთრი წყარო კი გამორჩეულად მრავალეროვნულია საქართველოს სხვა რაიონებს შორის. თრია-

ლად მრავალეროვნულია საქართველოს სხვა რაიონებს შორის. თრია-



ლუდა შმოადინა თეთრწყაროელ ინტერნაციონალისტ ჯარისკაცებში სტუმრებს საინტერესოდ მოუთხრობს.

ლეთის ქედსა და მდინარე ხრამს შორის განდევნილ მის ტერიტორიაზე დღეისათვის 16 ერისა და ეროვნების 38.000 ადამიანი ცხოვრობს. კეთილმეზობლობა წესად აქვთ სამშვილდელ, მარაბდელ, წინწყაროელ, გუდარხელ, მანგლისელ, დიდთონეთელ, ორბეთელ, პანტიანელ, ქოსალარელ, ჩხიკვათელ, ალგეთელ, კოდელ, შიხილოელ, ირაგელ, ასურეთელ ქართველებს, ოსებს, რუსებს, სომხებს, ბერძნებს, აზერბაიჯანელებს, უკრაინელებს, გერმანელებს, ესტონელებსა და სხვებს. რაიონის ქართულ, რუსულ, სომხურ და აზერბაიჯანულ სკოლებში ერთმანეთის გვერდით სხვადასხვა ერისა და ეროვნების ასობით მოზარდი სწავლობს. მათი სწავლისა და მეგობრობის ამბებს აქ ხალისით მოგიყვებიან.

5181

ყოველ ცისმარე დღეს ახალი სიხარული მოაქვს თეთრიწყაროელი ნორჩი ინტერნაციონალისტებისათვის. თითქმის ყოველ კვირას რაიონის რომელიმე ეროვნულ სკოლაში დიდი ღონისძიება ტარდება. მათ კი მეგობრების დადასტება არ უყვართ — ეწვევიან ხოლმე, თავს წილადაც მონაწილეობას იღებენ. ამიტომაც საინტერესოდ მოგვითხრობს მათ საქმიანობაზე პიონერთა რაიონული სახლის დირექტორი ირინა არეშივა. ინტერნაციონალური მეგობრობის საღამოები, რომლებიც ქართული და რუსული სკოლების უფროსკლასელთა ძალებით, ქალაქის ახალგაზრდულ კაფე-ბარში თითქმის ყოველკვირეულად ეწყობა, უკვე მთელს რაიონში დიდი პოპულარობით სარგებლობს.

ასეთ ატმოსფეროში სუსტად მუშაობა თუ ვინმეს არ ეკადრება, უპირველეს ყოვლისა, პიონერთა სახლის ინტერნაციონალური მეგობრობის წრეს (ხელმძღვანელი იზოლდა არუღოვა), რომელიც საკმაოდ უნარიანად წარმართავს რაიონის 30-ვე პიონერული რაზმეულის ნორჩ ინტერნაციონალისტთა სასკოლო კლუბების მუშაობას. ეს განწყობილება საერთოა თეთრი წყაროს პიონერთა 2.116-იანი რაიონული ორგანიზაციისათვის, მისი თითოეული



კომპიუტერი ხალისიანად გათავაზება და... ხალისიანად გიგავს კიდეც.

რაზმეულისა და რაზმისათვის, რგოლისა და პიონერისათვის და იგი, უპირველესად, მის ყოველდღიურ მიზანმიმართულ, ხალისიან პიონერულ საქმიანობაში ვლინდება.

მაგრამ, ვილაპარაკოთ კონკრეტული ფაქტებით: ვეწვიოთ ქალაქის მე-2 სკოლაში სულ ახლახან, საბჭოთა არმიის 70-ე წლისთავთან დაკავშირებით მოწყობილ ინტერნაციონალისტ საბჭოთა ჯარისკაცთა სასკოლო მუზეუმს, გავეცნოთ ვეტერანი პედაგოგის რაისა სერგეევასა და მის მოსწავლეთა მიერ ამ კუთხით ჩატარებულ მუშაობას.

თავისი ინტერნაციონალური მხედრული ვალის მოსახდელად ოცდათორმეტი თეთრიწყაროელი ჭაბუკი წასულა ავღანეთის დემოკრატიულ რესპუბლიკაში. ამ ოცდათორმეტიდან მხოლოდ ერთი, 18 წლის ალგეთელი ვალოდია ლუკიანოვი ვერ დაბრუნდა. წლებადელი 23 თებერვალი ალგეთელმა პიონერებმა მისი

ხსოვნის უკვდავოფის თავისებურ დღესასწაულად აქციეს. სოფლის თავაკაცთა და პიონერთა ერთსულოვანი გადაწყვეტილებით, ქუჩას, სადაც ის დაიბადა და გაიზარდა, მიენიჭა ავღანეთში დაღუპული ამ ჭაბუკის სახელი.

29 ოქტომბერი განსაკუთრებულ დღედ დარჩა მანგლისის მე-2 რუსული საშუალო სკოლის ნორჩი ინტერნაციონალისტების მეხსიერებაში. ბევრი მეგობარი ისტუმრა იმ დღეს სკოლის მრავალეროვნულმა



საქართველოს ალკა მკ-ის და
3. ი. ლენინის სახელობის
პიონერთა ორგანიზაციის
რესპუბლიკური სააჭრის
ყოველთვიური
სააპრეპო ჟურნალი



პიონერი

საქ. კვ მკ-ის
გამომცემლობა

5

მაისი

გამოცემის
1926
წლიდან

1988



პიონერულმა ორგანიზაციამ — თანატოლები, კომკავშირული მოძრაობისა და ომის ვეტერანები მოსკოვიდან, დნეპროპეტროვსკიდან, ვოლოგრადიდან... ეს საღამოც გმირს მიეძღვნა — დახაუს საზარელ ჯურღმულეებში დაღუპულ ახალგაზრდა თეთრიწყაროელ მფრინავს პეტრე ფომინს. დაღუპული თანამემამულის სახელი, რომელსაც უკვე წელიწადნახევარია ატარებს მანგლისის მე-2 სკოლის რაზმეულის ერთ-ერთი რაზმი, ამიერიდან სკოლასაც მიენიჭა.

ზიარი სპორტული მოედანი აქვთ თეთრი წყაროს ქართულ და რუსულ სკოლებს. მეზობლობაც სხვა რაღაა. დღე ერთია და ათჯერ მიიწვევთ ერთად ეზოში გამოსვლა და ფეხბურთსა თუ კალათბურთში გაჯიბრება. ახლა ხომ, მით უფრო, განუმტკიცდათ მეგობრობა — წლეულს ქართულ სკოლაში მუშაობა დაიწყო კომპიუტერულმა კლასმა, რომელიც, ფაქტიურად, საბაზოა მთელი რაიონის სკოლებისათვის. პერსონალურ გამომთვლელ მანქანასთან თამაში კი ყველას თანაბრად ეხალისება. სხვაა, ვის უკეთ გამოისდის, ვის — ნაკლებად, მაგრამ საასპარეზო და შესაჯიბრებელი, ერთმანეთთან მისასვლელი და გასაზიარებელი კი გაუმრავლდათ.

ამ სიყვარულშია თეთრიწყაროელ ნორჩ ინტერნაციონალისტთა მეგობრობის ფესვების სიძლიერეც. ამიტომ არის, რომ ყველა ღონისძიებას ერთნაირი ხალისით ეკიდებიან მა-

ნა აბულაშვილი და ლუდა პროხორენკო, მაგდა პატიაშვილი და ახილეს პანაეტიდი, ნანა კახელაშვილი და ნადეჟდა პტაშკინა, ალექო ბეჭაური და ალიკ კაჯაროვი, ქეთინო წიკლაური, კახა გიგაური და აფონია კანიდი, მათი პიონერხელმძღვანელები — ქეთინო კახაშვილი და ლიანა ხაჩატრიანი.

რაიონის ინტერნაციონალური სული და ერთიანობის განწყობილება ყველა აქ ჩამოსულს თვალში ხვდება. ამიტომაც ყველას მოუხარია თეთრი წყაროში — მოსკოვის მე-4 სამხატვრო სკოლის მოსწავლეებსაც, უკრაინელ და ლიტველ პიონერებსაც. ისინი რახანია მეგობრობენ თეთრიწყაროელ, მანგლისელ და ასურეთელ მოსწავლეებთან და წლები ვანდელ ზაფხულს საქართველოს ამ უმშვენიერესი და უძველესი მხარის პიონერთა ბანაკებშიც მით უფრო დიდი სიამოვნებით გაატარებენ.

ცოტა ზემოთ ინტერნაციონალური მეგობრობის საღამოები ვახსენეთ. ალბათ უნდა გვეთქვა მათ ინტერნაციონალურ საშეფო თუ რაიონის მოსახლეობისათვის ნაჩვენებ ფასიან კონცერტებზეც, იმაზე, რომ თეთრიწყაროელი ნორჩების ცხოვრებისა და საქმიანობის ინტერნაციონალური ბუნება ყველაზე მეტად ისევ მათ შემოქმედებაში ვლინდება. გნებავთ, გაეცნოთ მათ მხატვრულ თვითმოქმედებას? ინებეთ, ირაგის საშუალო სკოლის ბერძნული ხალხური ცეკვისა და სიმღერის შესანიშნავი ანსამბლი „ხოროსი“, წინწყა-

როელ ბერძენ მოსწავლეებთან ერთად, ნაციონალური ქორეოგრაფიული მოქმედება, თეთრი წყაროს 1-ლი და ასურეთის საშუალო სკოლების ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის კოლექტივები, ქალაქის მე-2 სკოლის პიონერთა სხვადასხვა ხალხების ეროვნული ცეკვების ანსამბლი...

კიდევ ერთი ლამაზი ტრადიცია უნდა გაგაცნოთ... მით უფრო, რომ დღეს... 15 მარტია — თამრიკო ნათობიძის დაბადების დღე — მორიგი ზეიმი თეთრი წყაროს ობოლ და მშობელთა მეთვალყურეობას მოკლებულ ბავშვთა სკოლა-ინტერნატის მოზარდებისათვის. თოთხმეტი წელი სხვანაირი სიხარულია... მით უფრო, თუ მეგობრები გვერდით გყავს. აი, რატომ იყო, რომ რამდენიმე დღეს ასე „საიდუმლოდ“ ემზადებოდნენ თამრიკოს კლასის მეგობრები და შეფები — ქალაქის მე-2 რუსული სკოლის ერთ-ერთი კლასის მოსწავლეები: ლუდა პროხორენკო, რაისა ხერემიანი, ვიტალი მელაძე, ნადია მეელეაშკო და ლიანა არუთინოვა. ისინი, ქალაქის 1-ლი ქართული სკოლის უფროსკლასელებთან ერთად, რა ხანია შეფობენ ამ სკოლა-ინტერნატს. შეფებს აქაურთა სპეციალური „საიუბილეო“ გრაფიკიც შეუდგენიათ, რომ „ხმაურიანი“ დაბადების დღის გარეშე ინტერნატის არც ერთი მოსწავლე არ დარჩეს. ნაირ-ნაირი ნამცხვრები, გემრიელი სასუსნაეები, საჩუქრად მოძღვნილი ლამაზდღიანი წიგნები, ყვავილები...

განა ბევრი მტკიცება უნდა იმას, რომ არის ამ მეგობრობაში თავისი დიდი სილამაზე, როგორც იმ ფაქტში, რომ რაიონის ერთ-ერთ რუსულ სკოლაში, რომელსაც მოსწავლეთა კონტინგენტის ეროვნული შემადგენლობის გამო, აქ ბერძნულს ეძახიან, ქართულ ენასა და ლიტერატურას სომეხი კაცი — რობერტ მანუკოვი ასწავლის... ხომ უბრალო რამაა თითქოს, არადა, მასშიც ადგილის დედის რა დაუხარჯავი სიყვარული იკითხება!



ერთ სიხარულს მთავრად დაემატა — თამრიკოს დაბადების დღეზე ყველაზე გულთბარი მეგობრები ეჩვივნენ.

დღევანდელი

ოქმი

ალექსანდრა ლორია

მხატვარი ზაურ დინისაძე

მ ო თ ხ რ ო ბ ა

როგნედამ, როგორც იქნა, ჩამოიღო სახიდან ხელები, ჩვენთვის არც კი შემოუხედავს, თავდახრილმა — თითქოს თვითონ ყოფილიყოს რაიმეში დამნაშავე — ხმის კანკალით დაიწყო:

— არ ვიცი, პირდაპირ, რა ვთქვა!.. ეს როგორ ჩაიდინეს, როგორ შეიძლება, ადამიანს ასეთი რამ მოუვიდეს აზრად?! — მერე უცებ შემოგვხედა ყველას და მთელი ხმით დაგვიწყო ლანძღვა: — თქვენ ბავშვები კი არა, ნამდვილი სადისტები ხართ! რამ გაგაბოროტათ ასე? ასე რამ დაგიჩლუნგათ გრძნობა და გონება? ასე რამ გაგამხეცათ?.. რამ გაგიქვავათ გული? საიდანაა თქვენში ასეთი დაუნდობლობა, ასეთი შეუბრალებლობა?!

— რა იყო, რა!.. — ადგილიდან წამოიყვირა გაბოროტებულმა დევიმ. — რა დიდი ამბავია?.. ვითომ რა, ქათამს არ ვკლავთ და არ ვჭამთ თუ? აი, დღესაც ქათმის ბუღიონი არ იყო სასადილოში?

ამის თქმა და როგნედას გადარევა ერთი იყო. ისე დაჰკრა ხელი მაგიდას ცეროდენა ქალიშვილმა, ოთახი შეზანზარდა:

— შენ კიდევ ბედავ ხუმრობას, შე... — უნდოდა რაღაცა მწვავე ეთქვა, მაგრამ თავი შეიკავა. ზურგი შეგვაქცია და განზე გადავა, რომ არ დაგვენახა მისი ცრემლიანი თვალები და სასოწარკვეთა.

უხერხული დუმილი ჩამოვარდა. ზურაც კი დაიბნა, აღარ იცოდა, რა ექნა. საქციელწამხდარი მისჩერებოდა პიონერხელმძღვანელს, რომელიც პატარა ბავშვივით სლუკუნებდა.

ისევ ჩვენმა ანიკო მასწავლებელმა მოახერხა ორიოდ სიტყვის თქმა. ყველანი გულდასმით ვუსმენდით. ბევრი რამ თქვა, მაგრამ მე განსაკუთრებით იმან გამახარა, დევის რომ აუწვა ყურები. შენ ნამდვილად დარწმუნებული ხარ, რომ ცუდი არაფერი ჩავიდენია, მაგრამ, თუ თუნდაც ერთი კაცი გამოვა და გაგამართლებს, მე ბოდიშს მოგიხდით.

დარბაზს გადახედა, კაციშვილი არ წამომდგარა, ერთსულოვნად ეთანხმებოდა ყველა. მერე სოფიკოსაც კარგა მწარედ გადაჰკრა: შენ ეს ამბავი გაიგე და იმის ნაცვლად, რომ დაგმო ამის გამკეთებელი ამხანაგები, ახლა გამოდიხარ და მათ იცავო? ეტყობა, არაფრადაც არ მიგაჩნია ის, რაც მათ მოიმოქმედესო...

სოფიკო აილანძა. თავი არ აუწევია.

ანიკო მასწავლებლის სიტყვებს ტაშისცემით შესვდნენ ბავშვები. ახლა უფრო თამამად გამოდიოდნენ, აშკარად ლაპარაკობდნენ იმაზე, რაზედაც შესტკიოდათ გული. უამრავ საკითხს შეეხნენ, ბევრ რამეზე ილაპარაკეს, მაგრამ, როგორც წესი, ყველა დევის უმსგავსო საქციელისა და, საერთოდ, მისი თავაშეებულობის გაკიცხვით ამთავრებდა, და ეს მაშინ, როცა ერთი დღის წინათ ამ თავნება ბიჭის წინააღმდეგ კრინტს ვერავინ დაძრავდა. იმდენი ილაპარაკეს მასზე, ვიდრე ზურა წიქოვანი არ წამოვარდა: ჩვენ აქ ლოლაძის საკითხს ვიხილავთ თუ ბარდაძისო.

— დაგავიწყდათ, რაზე ვართ შეკრებილი? რაა ჩვენი დღის წესრიგი?.. — ყვიროდა იგი. — „...ბარდაძის პერსონალური საქმე“, და არა მთელი ჩვენი მუშაობის განხილვა... რას გავს ეს?

— არ გვინდა „პერსონალური“!.. არ გვინდა ბარდაძის საქმის განხილვა!.. დაანებეთ თავი ბარდაძეს!.. — მოისმოდა ყოველი კუთხიდან. ზოგმა — „გაუმარჯოს ბარდაძესო“, — ისიც კი დაიძახა.

ისევ აირ-დაირია კრება. სკამზე არავინ იჯდა, ფეხზე დამდგარები ყვიროდნენ, კამათობდნენ, რაღაცას უმტკიცებდნენ ერთმანეთს, გარდა მესამე რაზმელებისა, რომლებიც თავჩაქინდრულნი ისხდნენ და დუმდნენ.

— რა მივიღოთ დადგენილება, რა?! — მე ჩემი მანუხებდა და მთელი ხმით გავკიოდი, მაგრამ როგორც წვეთი ზღვაში, ისე იკარგებოდა ჩემი ძახილი საერთო ხმაურში. წაკვარი ხელი ნაპოს და წაწურულე, ბარემ დახურე კრება, ვიდრე მისით არ დაშლილა-მეთქი.

— თორემ, ხომ იცი, მერე იტყვიან, კრებაც ჩაიშალაო. ნაპო წამოვარდა და მთელი ხმით დაიყვირა:

— კრებას დახურულად ვაცხადებ! შეგიძლიათ დაიშალოთ!

შევატყვე, ჩვენს კომიტეტის მდივანს ფერმა გადაჰკრა, რისხვით გამოგვხედა, მაგრამ ჩვენ თვალი ავარიდეთ. სასწრაფოდ აკრიფეთ ქაღალდები და უკვე აშლილ ბავშვებში გავვრიეთ.

ასე დავასრულეთ იმ დღეს კრება, მაგრამ ჩვენი ამბავი ამით არ დამთავრებულა. წინ უარესი გვედო.

კრებამ, ეტყობა, ერთგვარი შემფოთება გამოიწვია ჩვენს ხელმძღვანელებში. ვხედავდი, როგორი დაძაბულობა იყო მათ შორის. მესამე თუ მეოთხე დღეს, შტაბში რომ ვიყავი და კედლის გაზეთს ვაფორმებდი, იქ შემომესმა მათი ლაპარაკი. გოგი კატეგორიულად მოითხოვდა,



ყველაფერი დაწვრილებით ეცნობებინათ დირექტორისათვის — ვინ იცის, როგორ შეაფასებენ ბავშვების ასეთ გამოსვლას ზევით. ანარქია ხომ არაა? ხაზი ჩაიშალა, კრება ჩაიშალა, ვერც ერთი ჩვენი გადაწყვეტილება ვერ გავიტანეთ... რას იტყვიან? მოსწავლეები ისეთ რამეზე ლაპარაკობდნენ, ისეთ რამეებს ბედავდნენ, რომ... არა, ეს როგორ შეიძლება?!

ანიკო მასწავლებელი არ ეთანხმებოდა ამას. თავისებურად დინჯად, მაგრამ დაბეჯითებით ასაბუთებდა:

— საგანგაშო არაფერი მომხდარა. რაც ხდება, ზუსტად ჩვენი დროის შესაფერისია. ბავშვები გულწრფელად გამოდიან და ამბობენ სიმართლეს... არ მოვუსმინოთ?

— რას უნდა ვუსმინოთ? — გაცხარდა ზურა წიქოვანი. — მაგათ რომ ყური უგდო, ვინ იცის, რას მოინდომებენ... ჩვენ ჩვენი უნდა გავიტანოთ, თუ გვინდა, ავტორიტეტი შევინარჩუნოთ...

ანიკო მასწავლებელი არ ეპუებოდა: უნდა გავუგოთ ბავშვებს, მოვუსმინოთ... ჩვენ გადავეჩვიეთ ერთმანეთის გაგებას, და ესაა სწორედ, დღეს ყველაზე მეტად რომ გვიშლის ხელს მუშაობაში... საჭიროა ბავშვებს მოუხაროდეთ ჩვენკენ. ერთმანეთთან კონტაქტს უნდა ვეძებდეთ, კი არ უნდა ვუპირისპირდებოდეთო.

ზოგმა რა თქვა, ზოგმა — რა. გაცხარდნენ, ხმას აუწიეს, სულაც დაავიწყდათ, მე რომ იქვე, გვერდით ოთახში ვიყავი და ვმუშაობდი.

თავი არ გამიმჟღავნებია. რომ იცოდე, როგორ დამაინტერესა ყველაფერმა. იმდენი რამ გავოგე, რომ, ნუ იტყვი!.. თურმე რამდენი სიძნელე ყოფილა, რამდენი პრობლემა, რამდენი თავსატეხი... ისე კი არ არის საქმე, ჩვენ რომ შორიდან გვეონია. მაგრამ ამაზე შემდეგ მოგიყვები, ახლა კი ისევ ძველ ამბავს მივუბრუნდები.

გავიდა რამდენიმე დღე იმ კრებიდან და თითქოს ცხოვრება შეიცვალა — ყველაფერი როგორღაც გადასხვაფერდა: მასწავლებლები მეტი გულისყურით გვეპყრობოდნენ, გაფაციცებით გვადევნებდნენ თვალს. ზურა უფრო გამკაცრდა, უფრო საქმიანი გახდა, თუმცა შრომა ადრეც არ ეზარებოდა. უწინ გულმოდელილი, ხანაც სულაც მაისურში რომ დადიოდა ეზო-ეზო, ახლა მუდამ კოსტად იყო ჩაცმული და მოწესრიგებული; პიონერსელმძღვანელი, როგნედა, მართალია, ყოველთვის კოსტა და მხიარული იყო, მაგრამ ახლა უფრო მეტი ხალისით გვეკიდებოდა; გენო მასწავლებელმა ანება თავი ბიჭებთან ერთად გაბოლებას და, როგორც იქნა, ერთი-ორი სპორტული ღონისძიება ჩაატარა. მორიგეობაც გამკაცრდა. ახლა უკვე აღარ უშვებდნენ ჩვენს სანახავად ჩამოსულ მშობლებს საძილე ოთახებში თავიანთი გასკდომამდე დაბერილი პარკებითა და ჩანთებით, პალატებში საერთოდ აიკრძალა ჭამა-სმა; დამლაგებლებმაც მოუხშირეს სიარულს, უწინ რომ მხოლოდ დილით გამოჩნდებოდნენ ხოლმე თავიანთი გალეული ცოცხებით; ლია გედენიძის მეთაურობით სანიტარული კომისია შექმნეს და ვაი იმისი ბრალი, ვისაც ეს ბავშვები გამოიჭერდნენ უწესრიგობაში. რაც შეეხება მეურნეობის ხელმძღვანელობას, იმასთან არასოდეს არაფერი გვქონია სასაყვედურო. არ იცოდ-

ნენ, რითი ესამოვენებინათ ჩვენთვის, როგორ შეეწყობა სელი, რომ შრომა შეგვესუბუქებოდა. რასაც ეძვირებოდა, მაშინვე გავვიჩინდნენ.

არ გასულა დიდი დრო და ჩვენს ბანაკს სკოლის დირექტორი ეწვია. ხომ იცი, რა ფიცხი ქალაია. მანამდე არაერთხელ ჩამოსულა, მაგრამ ასეთი არასოდეს ყოფილა — უჩვეულოდ გულისხმიერი და ალერსიანი. რა არ გამოგვიკითხა, რაზე არ გველაპარაკა, მაგრამ ხაზის ჩაშლისა და კრების შესახებ კრინტიც არ დაუძრავს.

იქნებ არც უთხრეს არაფერი?.. ა?.. შენ როგორ ფიქრობ?.. მაკა ამბობდა, მგონი დაუმაღლეს კიდევცო, ისევ მათ რომ არ დასტყდომოდა თავს მისი რისხვაო. ვინ იცის!..

ისე იყო თუ ასე, იმ დღეს გვიან ღამემდე დარჩა. ჩვენ უკვე ვიწვეით, შტაბის ოთახში რომ ისევ გრძელდებოდა თათბირი.

მეორე დღეს არა და, მესამე დღეს ისევ მოიშალა ყველაფერი. თანდათან ისევ იმატა უწესრიგობამ, მოირღვა რეჟიმი. ყველანი მივხვდით, რომ ის ერთი გამოცოცხლება დირექტორის მოლოდინით იყო გამოწვეული და არა ჩვენი კრების წყალობით, და, მართალი გითხრა, გული გვეტკინა. ამდენი ვილაპარაკეთ, ამდენი ვიმსჯელებთ და ვითომც არაფერი! ლაპარაკი ლაპარაკად დარჩა, საქმე კი ისევ ძველებური გზით წავიდა... მაინც როდემდე უნდა იყოს ასე?

მესამეაზმელებმაც დაიბრუნეს ძველი იერი. მართალია, დევი ცოტათი თავშეკავებულად გამოიყურებოდა, მაგრამ მაინც აუტანელი იყო. ყველას დასცინოდა, კუნდა, ქირდავდა. საველეს მოსვენებას არ აძლევდა ათასგვარი დამამცირებელი წამოძახილით. აივლ-ჩაივლიდა თავისი ამქრით და რაიმე გესლანი არ ჩაელაპარაკებინა, არ იქნებოდა. მეტ-ნაკლებად სხვებიც ასე იქცეოდნენ, გარდა სოფიკოსი, რომელმაც სულ ჩაიგდო ენა და თვალს ვერ უსწორებდა საველეს, უწინ რომ გასაღიზიანებლად წარამარა „მუნჯოს“ ეძახდა.

საველეს სასახელოდ უნდა ვთქვა, ნამეტანს ითმენდა. ხანდახან გულიც კი მომდიოდა: აიღოს ერთი და სთხლიშოს ყურის ძირში იმ ყოყონა დევის... ღმერთმანი, ყველანი მის მხარეზე ვიქნებოდით.

ამგვარად გავიდა რამდენიმე დღე. ყველაფერი მომაბეზრებელი გახდა.

ხომ იცი, როცა გეჩქარება, დრო უფრო ნელა გადის. ზღაზუნით მისდევდა დღე დღეს. მუშაობაც მოდუნდა, ყოველგვარი სახალისო საქმიანობა ჩაკვდა, ხაზსაც მოეშვენ და აღარ მართავდნენ. რაც შეეხება შედეგებს, საჯაროდ სულაც აღარ აცხადებდნენ. კაცმა რომ თქვას, ან ვიღას აინტერესებდა, როცა სოცშეჯიბრება ჩაიშალა? ერთი სიტყვით, ბანაკი თვითდინებას მიეცა. თუმცა, დილით მაინც გავყავდით ბაღებში აქა-იქ შემორჩენილი ატმის დასაკრეფად. ცოტას წავიშუშავდით და ვიდრე უკან მოსაბრუნებლად მოგვაკითხავდნენ მანქანები, ვეყარებით გზისპირა ჩარგულ ალვის ხეთა ჩრდილში.

ჩვენი რაზმი იმ დღეებში სულ ბოლო ნაკვეთში მუშაობდა, სადაც ხესილი მთავრდება და ვენახები იწყება,

ლამაზი ადგილი იყო: ერთ მხარეს ბუჩქნარაყრილი გორაკები გვესაზღვრებოდა, საპირისპიროდ ჩვენი ბაღები იყო გადაშლილი. ზომიერად დაქანებული ველი ხელისგულივით ჩანდა. შორს, ბაღების ბოლოში, სოფლის კონტურები ისახებოდა მოთეთრო-მორაუხოდ, კიდევ იქით კი, მდინარის გასწვრივ, რკინიგზა მიიკლავებოდა. ხეხილნარსა და ზვრებს შუა ვიწრო არხი ჩამოდიოდა, რომელშიც მღვრიე ნაკადი მორაკრაკებდა. იქვე ერთი მომცრო ფიცრული ჯიხური იდგა, სადაც სამუშაო იარაღს, ტრაქტორის სათადარიგო ნაწილებსა და საწვავს ინახავდნენ.

სავლე, საქმეს რომ მორჩებოდა, ხშირად ტრიალებდა იქ. ერთ ახალგაზრდა ტრაქტორისტს დაუახლოვდა, ბეგოს ეძახდნენ. ჯარი უკვე გამოვლილი ჰქონდა, იმ წელს დაბრუნებულიყო შინ. კარგი ბიჭი ჩანდა, ბრვე, გულიანი, ვაჟკაცური.

იმ დღეს, თითქოს ბედად, ისე მოხდა, რომ სამუშაოს ადრე მოვრჩით და ჩვენები მანქანას შიგ ბაღში აღარ დავლოდნენ, ქვემოთ გავიდნენ, შარაზე, და იქ დაუწყვეს ცდა ალკების ჩრდილში. სავლე და მე ჯიხურთან დავრჩით. ტრაქტორისტი შორს იყო გასული სამუშაოდ. კარი ღია დატოვა, მალე მოვებრუნდებით, და ჩვენც უმისოდ წასვლა ერთგვარად გვეუხერხებოდა. კარგად გვესმოდა მისი მანქანის გუგუნე — ვაზებს წამლავდა მთავარი არხის შორიანლოს.

ვისხედით ჩრდილში და ჩვენთვის ვმასლათობდით ბეგოს მოლოდინში.

სად იყო და სად არა, უცებ, თითქოს მიწიდან ამოძვრაო, დევი გამოგვეცხადა. ორი ბიჭი ახლდა თან — გია ბერაძე, ხომ იცი, კალათბურთელი რომ არის, და თემუ-





რი — თავტაფას რომ ეძახიან. გულმა რეჩხი მიყო. ვიცოდით, საკარგკაცოდ არ იქნებოდნენ მოსულნი. თანაც ისე მოგვეპარნენ, ვერც კი შევნიშნეთ.

დავიბენით. ენა ჩაგვივარდა. არ ვიცოდით, როგორ მოვქცეულიყავით.

დაგვადგნენ თავზე და ისე გამომწვევად დაგვიწყვეს ცქერა, თითქოს გვეუბნებოდნენ, აბა, თუ ბიჭები ხართ, ახლა ამოიღეთ ხმაო.

დევი დონიჯშემოყრილი დასცქეროდა სავლეს დამცინავი ღიმილით. მარჯვენა ფეხი წინ წაედგა და გამალიზიანებლად ატყლაშუნებდა ლანჩას მოტკეპნილ მიწაზე.

— რაო, სავლე, — თანაც კევს აჭყლაპუნებდა, — ვერ გაძენი მუშაობით? ხომ ხედავ, ყველა წავიდა უკვე.

სავლეს კრინტი არ დაუძრავს, დემონსტრაციულად იბრუნა პირი და არც კი შეუხედავს მისთვის.

— ჰა, რაო, ხმის გაცემის ღირსადაც არ მთვლი? რას იბრუნებ მაგ გრძელ ცხვირს?.. რამე ხომ არ გეშლება?

სავლე ისევ დუმდა. დევიმ შეწყვიტა ფეხის თამაში, შორს გააფურთხა კევი და ისე შეიმართა, თითქოს დასაძგერებლად შეემზადაო. ბრაზმორეულს ქვემო ტუჩი უთრთოდა. დავატყვე, რაღაც მძლავრ-მძლავრ უნდოდა ეთქვა, მაგრამ ვერ პოულობდა შესაფერ სათქმელს. ბოლოს ამოიქმინა და გამოსცრა კბილებს შორის:

— შე მათხოვარო! ენა ჩაგივარდა?.. სხვაგან კი გაქვს წაგრძელებული!.. სულაც ამოგგლეჯ და ხელში მოგცემ, შე დამპალო! — და ის იყო, საყულოში უნდა სცემოდა, რომ სავლე უცებ წამოვარდა და ისეთი რისხვით დააკვესა თვალები, დევი ერთბაშად შეცბა. ასე ადვილი აღარ ეჩვენა ახლა მისი დაჩაგვრა. მართალია, სავლე მასზე გამხდარი იყო, მაგრამ უფრო მაღალი და დაკუნთულ-დაძაგრული. ზევიდან დაპყურებდა გამძვინვარებული. ერთ ხანს ასე იდგნენ ერთმანეთის პირისპირ და ხმას არ იღებდნენ. ბოლოს ისევ სავლემ გამოიჩინა გონიერება: შეტრიალდა და უხმოდ შევიდა ჯიხურში, რაღაცის ჩხირ-კედელაობას მოჰყვა, ვითომც საქმე ჰქონოდა რამე. დევი მაინც არ მოეშვა: იდგა ღია კართან და ათასნაირ უხამსობას აფრქვევდა მისი მისამართით. ის კი ვითომ გულმშვიდად ისმენდა ამას, თუმცა კარგად ვატყობდი, საცა იყო, გადაივსებოდა მოთმინების ფიალა.

— ჰა, გამოდით ერთი გარეთ, თუ შნო გაქვს! — არ ისვენებდა დევი, — მანდ არ შემომიყვანო, იცოდე!.. — ყური მიუგდო და რამდენჯერმე ისევ გაუშეორა, გამოხვალ გარეთ თუ არაო. პასუხი რომ ვერ მიიღო, უცებ ანთო და ჯიხურს მივარდა. ვიფიქრე, ახლა კი ნამდვილად შეუვარდება სავლეს საჩხუბრად-მეთქი და წამოვხტი... მაგრამ დევი სწრაფად მიიჭრა კართან, ზათქით მიხურა, თვალის დახამსამებაში გაუყარა რაზა, ჩამოაცვა ბოქლოში და ჩაკეტა. გასალები გამოაძრო და მუჭში ჩაბლუჯა.

— არა და, იყავი მანდ! — ღვარძლიანი ნიშნისგებით გასძახა სავლეს. — იცოდე, არ გეღირსება მაქედან გამოსვლა.

მე მეტი ვეღარ მოვითმინე:

— რაა ეს, დევი, რა კაცობაა?! ფათერაკს დაეძებ?

მან დამცინავად შემომხედა:

— რაო, შენც ხომ არ გინდა ძმაკაცთან ჩაგმწველი?

— გააღე ახლავე! — ბრძანების კილოთი ვუთხარი, მაგრამ იმას აინუნშიაც არ ჩაუგდია. — გააღე-მეთქი, რომ გეუბნები! — დაუყვირე გულმოსულმა.

იმან წარბები შეკრა. ძმაკაცებს გადახედა, თითქოს ეუბნებოდა, თუ ხედავთ, რას მიბედავსო. მივხვდი, აქ ჩემი ძალა არ იქნებოდა საკმარისი და ცოტათი დაუწვი ხმას, შემრიგებლური ტონი ვარჩიე:

— კარგი, დევი, გეყოფა, რა!.. მომეცი გასალები!

მას გაეცინა. ჩამოჯდა ბალახზე უზრუნველად, ჯიბიდან „მალბოროს“ კოლოფი ამოიღო, სიგარეტი პირში გაიჩარა და ამპარტავნულად გამომხედა. ბიჭებმაც წაუპოტინეს ხელი კოლოფს. თავტაფამ ასანთი დააძრო და სამივემ ერთად გააბოლა.

დევიმ დამცინავი ღმეჭით მკითხა:

— მოგცე, გინდა? — შავ თანამზე ჩამოკიდებული გასალები დამანახვა. ფაქიზად, სალოკი თითითა და ცერით ეჭირა თანამის კიდე და გასალებს ცხვირწინ მიქანქარებდა. — აბა, წაიღე. ოღონდ იმ პირობით, მობრძანდეს აქ ეგ დებილი მუნჯი, დაიხოქოს და პატიება ითხოვოს.

ცივმა ოფლმა დამასხა. ვიცოდი, სავლე მოკვდებოდა და ამას მაინც არ იკისრებდა. არადა, გული მიგრძნობდა, ეგ საქმე ასე უბრალოდ არ დამთავრდებოდა. ტრაქტორისტი ბეგოც რომ ჯიბრზე იგვიანებდა! იქნებ ავცდენილიყავით უსიამოვნებას. სულ აღარ ისმოდა მისი ტრაქტორის გუგუნი.

— კარგი, გეყოფა! მომეცი! — უფრო თხოვნით მივმართე, ვიდრე დაბეჯითებით.

ათასჯერ რომ ვთხოვე და არაფერი გამივიდა, ცოტა მუქარაც გაუპრე ხმაში:

— დევი, ხომ იცი, ეს საქმე ასე უბრალოდ არ ჩაგივლის? რად გინდა ახლა ეს?.. მოიტა გასალები!

— ვითომ რა მომივა, რომ არ მოგცე? — გამომწვევად შემომანერდა თვალებში.

— რაც დაგემართოს, შენმა თავმა ზღოს! — არ დავისხიე მეც.

— ერთი ენახავ, აბა!.. — თქვა და მოულოდნელად გასალები მინდორში მოისროლა.

ჯერ დავიბენი, მერე დაუყოვნებლივ გავიქეცი იქით, სადაც ჩემი ვარაუდით გასალები უნდა დავარდნილიყო. ბიჭებმა სიცილი დამაყარეს.

გასალები არსად ჩანდა.

გაბრაზებულმა გაძახე დევის:

— შენ მთლად გადაირიე!.. რა უნდა ვქნათ ახლა?

დევი მხართეძოზე წამოკოტრიალდა.

— აი, დარდი!.. თავში ქვაც გინლიათ! — თქვა და სიგარეტის ნამწვი წკიპურტით მოისროლა ჯიხურისაკენ.

რა უნდა მექნა? ისევ განვაგრძე გასალების ძებნა, მაგრამ ვერა და ვერ ვიპოვე.

ამ დროს თავტაფას ხეივანი შემომესმა:

— ეე, ამისა!.. ერთი უყურე, როგორ აღივლივდა!..

გავიხედე და ვხედავ, ჯიხურის კარების წინ ცეცხლის



პაწაწა ენები ლაპლაპებენ, გამხმარ ბალახ-ბულახს მოს-
დებოდა ალი და დირეს ელაციცებოდა.

– ბიჭებო, ჩქარა! – მთელი ხმით შევეყვირე. – შიგ
უამრავი საწვავია... ხომ ხედავთ, ირგვლივ ბალახიც კი
ზეთითაა გაელენთილი!..

არ ვიცი, რამ მომკვეთა მუხლები, თითქოს გავქვავ-
დი. ბიჭებიც რალაც გაოცებითა და დაბნეულად მისჩერე-
ბოდნენ წითელ-ყვითელ ენებს, რომლებიც ჯიხურის
ფიცრებს თითქოს უწყინრად ეთამაშებოდნენ.

– ხანძარი!.. – დავიღრიალე თავზარდაცემულმა და
ჯიხურისაკენ გავქანდი, თან ბიჭებს მივაძახე, მომეშვე-
ლეთ-მეთქი. სწრაფად გავიძრე ხალათი და იმით დაუწყ-
ყე ცეცხლს ჩაქრობა, მაგრამ არაფერი გამომივიდა. ერთ
ადგილას რომ ჩავაქრობდი, ეშმაკივით მეორე ადგილას
ამოყოფდა თავს. პატარა ენები ჯერჯერობით უვნებლად
ლოკავდნენ ფიცრის ზედაპირს.

– ბიჭებო!.. ვერ ვაქრობ!.. ჩქარა, მომეშველეთ!.. –
განწირულის ხმით დავიყვირე. შევნიშნე, ახლა კი შეც-
ბნენ ბიჭები. პირველი თავტაფა მოვარდა, ფეხებით იბეკ-
ნებოდა, და რომ დაატყო, მასაც არაფერი გამოსდიოდა,
შეშინებულმა უკან გამოხედა მეგობრებს. ახლა გიაც
წამომეშველა, მაგრამ კანჭები დაეწვა და განზე გასტა.

მივხვდი, ცუდად იყო საქმე, ცეცხლი ისე სწრაფად
ძლიერდებოდა, ველარაფერს ვუხერხებდი და თავზარდა-
ცემულმა თმაში ვიტაცე ხელი:


– დავიღუპეთ!.. აფეთქდება აქაურობა!..

ამის თქმა და თავტაფას გაქცევა ერთი იყო. თავქედ-
მოგლეჯილი გარბოდა. გია ერთი კი შეფიქრიანდა, მაგ-
რამ მერე იმანაც არჩია გარიდებოდა ხიფათს და მოუს-
ვა. ამის მნახველმა დევიმაც აღარ დაახანა და ისიც კის-
რისტებით გამეცალა.

ხალათი მთლად შემომეწვა, შიშველი ხელებით ცეც-
ხლთან ვერაფერს გავხვდი და მთელი ხმით ვიღრიალე:

– მიშველეთ-ე-ე-ეთ!..

რომ მოვავლე თვალი იქაურობას და დავინახე, ამო-



დენა ფართობში მარტოდმარტო ვიყავი, გული სულ გა-
დამიქანდა და წავხდი:

ცეცხლმა იმძლავრა. საწვავით გაყვანილი დირესა
და ახლომანლო ბალახ-ბულახს მოედო და აბრიალდა.
შეენიშნე, სავლე პატარა სარკმელს მოაწყდა და ზედ
ჯვარივით დამაგრებულ სალტეებს დაუწყო რყევა, მაგ-
რამ ველარაფერი დააკლო. შიგ კი კვამლი დატრიალდა.

გამწარებით მივევარდი კარს, დავეძგერე, იქნებ შე-
ვანგრიო როგორმე-მეთქი, შიგნიდან სავლე მეხმარებო-
და, მაგრამ უშედეგოდ. კანი უკვე დამეწვა აქა-იქ, ხე-
ლისგულეები უმოწყალოდ მიხურდა.

ყვირილ-ყვირილით შემოვუარე ირგვლივ ჯიხურს, იქ-
ნებ რომელიმე ფიცარი ამეგდო კედლიდან, მაგრამ ვერც
ეს მოვახერხე.

ჯიხური უკვე ბრიალებდა. ცეცხლი ტკაცატკაცით
გიზგიზებდა.

— მიშველე-ვეთ-ვეთ!.. მიშველე-ვე-ვეთ!.. — გავაბი
ყვირილი, თუმცა ვყვიროდი თუ ვხაოდი, ვერ გეტყვი.

კარგად არც მახსოვს ყველაფერი... მაგონდება ტრაქ-
ტორის მოახლოებული გუგუნის, ბეგოს შეშინებული ყვი-
რილი... როგორ ავარდა სახურავზე, გადმოანგრია შიფე-
რი და ჯიხურში ჩახტა... მერე როგორ ვშველოდი სახუ-
რავიდან სავლეს უძრავი სხეულის ჩამოთრევაში... ისიც
მახსოვს, უცებ საიდანღაც მანქანები რომ გამოჩნდნენ...
ყვირილი... წიოკობა... უამრავი ხალხის წრიალ-ტრია-
ლი... ჯიხურმა ყუმბარასავით იფეთქა და აქეთ-იქით
მიმოფანტა ცეცხლმოდებული ნაფოტები... ვილაც-ვილაცე-
ბი გამხმარ ბალახებში გაჩენილ ცეცხლის ენებს აქრობ-
დნენ... თვალი მოვკარი, როგორ დააწვინეს მინდორზე
მთლად გაშვებული სავლე, და გული შემიღონდა...

შენ ალბათ კარგად წარმოიდგენ, ყოველივე ამის შემ-
დეგ რა დღეები დაგვიდგებოდა ბანაკში. სკოლის ხელმძ-
ღვანელობა მთლიანად იქ გაჩნდა იმავე დღეს, მილიცია,
განათლების განყოფილების გამგე, კომკავშირის რაი-
კომის მდივანი, მშობლები, გამომძიებელი... რა ვიცი,
ვინ არ იყო. მეურნეობის დირექტორი, ეს ბრგე ვაჟაკი,
ქალივით იცემდა თავში ხელს. ჩვენი მასწავლებლები
ენაჩავარდნილები დადიოდნენ; ზურა წიქოვანს დანა
პირს არ უხსნიდა. როგნედა წარამარა აღვარღვარებდა
ცრემლებს:

— ეს რა მიქენით, ბავშვებო!.. რა დაგიშავეთ ასეთი?!
ასე რატომ გამიმეტეთ?!. სიკეთის მეტი რა მიქნია თქვენ-
თვის?!

გადაწყდა, დაშლილიყო ბანაკი და ყველანი შინ დაე-
ბრუნებულიყავით.

უხმოდ ვმორდებოდით ერთმანეთს, უსიტყვოდ, ხე-
ლის აქნევით ვეთხოვებოდით...

ბანაკი დაცარიელდა. ორი-სამი ბიჭილა დავრჩით.
ჩვენ არავინ მოგვაკითხა და ისე არ გავვიშვეს, უპატრო-
ნოდ. მე ამხანაგებს დავაბარე, ეცნობებინათ ჩემი მშობ-
ლებისათვის, რომ ჩამოვკითხათ ჩემთვის, მაგრამ არ
ვიცი, რატომღაც იგვიანებდნენ.

ბოლოს, როგორც იქნა, მომაკითხა მამაჩემმა.
ვიდრე ავტობუსი ჩამოდგებოდა, საავადმყოფოში გა-

ვირბინე. ზედ ჭიშკართან სოფიკოს გადავეყარე — შინა-
ბიდან გამოდიოდა — და შევცბი. სამი დღის წინათ წაიყ-
ვანეს მშობლებმა და აქ რომ დავინახე, გამიკვირდა.

უსერხულად შევაჩერდით ერთმანეთს.

— ჩამოვედი... — თავდახრილმა, ტკეპნით დაიწყო,
თითქოს თავს იმართლებდა. ცრემლები მოერიდა და თვა-
ლი ამარიდა, ჩემკენ პირმოუბრუნებლად განაგრძო: —
არ ვიცი, რას ვიზამდი, მაგას რომ რამე დამართოდა...
ნამდვილად თავს მოვიკლავდი... ჩემი ბრალია ყველაფე-
რი...

— შენ რა შუაში ხარ?! — გამიკვირდა მე.

— როგორ არა!.. განა არ ვგრძნობდი, მაგათი საქმე
უბრალოდ არ ჩავლიდა? ვიცოდი, დევი არ მოისვენებ-
და... და მაინც... არა, უეჭველად თავიდანვე უნდა მე-
ლონა-რამე...

— ჰო-ოო!.. — ვუთხარი გაგრძელებით და გამამხს-
ვებლად გავუღიმე. — მაგაში ჩვენ ყველანი ვართ დამნა-
შავე.

თითქოს გულზე მოეშვა, მზერა გამისწორა და გამო-
ცოცხლებულმა მომხანარა:

— იცი, როგორ გაუხარდა ჩემი ნახვა?.. იმდენ მად-
ლობას მიხდიდა, სულელი! — ჩაეცინა და ღიმილით დაუ-
მატა: — რალაც უცნაური ბიჭია... სულ სხვანაირი... თავი-
სებური... იმ კრების შემდეგ რამეს თუ ვიტყოდი სავლეს
სასარგებლოდ, დევი გიყვებოდა. მე სულელი კიდეც,
ჯიბრით ცეცხლზე ნავთს ვუსხამდი... ხანდახან განზრ-
ხადაც კი... ჰოდა, აი, რა მოყვა ამას!.. არა, ამას მაინც
როგორ ვიფიქრებდი, ა!.. — ჩაფიქრდა. მერე თავაუწვე-
ლად, თითქოს თავისთვისო, ისე განაგრძო: — სავლე ახ-
ლაც ისეთია, ვითომც არაფერი მომხდარიყოს. ერთ სა-
საყვედურო სიტყვას არ იტყვის, ერთს არ წამოიწუნე-
ნებს...

— შენ არ შეარქვი „მუნჯი“?.. ჰოდა, რაღას გიკვირს
მერე?

სევდიანად, ჩაფიქრებულად გაეღიმა. შევატყვე, რა-
ღაცნაირი უხერხულობა იგრძნო, ლოყები წამოუწითლ-
და. უცებ ნაძალადევად გამოხალისდა და სიტყვა ბანზე
ამიგდო:

— შენ აქამდე არ წასულხარ სახლში?

— არა.

— რას ელოდები?

— ჩემებს ვუცდიდი. მოუკითხავად არ ვამიშვეს. სხვებს
კიდეც არ გამაყოლეს — შინ არ გელოდებიან და ვაითუ
სადმე არიან წასულელებიო. საბავშვო ბაღის ბავშვებივით
გვიფრთხილდებიან ახლა... დღეს უკვე მივდივარ.

— რითი მიდინარ?

— ავტობუსით. მამაჩემი ავტოსადგურში მელოდება.
ჯერ ადრეა. ერთხელ კიდეც მოვინახულე სავლეს, გა-
მოვეთხოვე და დროც მოვა.

— რად გინდა ავტობუსი? — თითქოს გაუხარდაო, ისე
შემომძახა სოფიკომ. — აგერ არ არის ჩვენი მანქანა?
მე და მამა ვართ მხოლოდ. ადგილია და ყველაფერი.
დაგელოდებით.

ამით რომ დამთავრებულიყო ჩვენი ამბავი, კიდეც
არა უშავდა რა, მაგრამ...

ენგური და პოეტი

შენ და პოეტი
ერთურთს გავხართ,
ენგურო, ისე,
როგორც წვეთები
შენი ზვირთის,
მბრწყინავი მზისებრ.
ხარ პოეტივით პირდაპირი
და შემართული,
ტალღა და შხეფი
არის შენი
სიტყვა განთქმული.
ტალღით და შხეფით
ქსოვ სიმღერებს ნაირ-ნაირებს,
ხან ლაღად მღერი,
ხან მოწყენას
ხმაში გაირევ.
შენც პოეტივით
წუთისოფლის
ჩრდილსა და მზვარეს
ირეკლავ,
რეკავ ხან მშვიდობის,
ხან ბრძოლის ზარებს.
შენ არ ხარ ავი,
შენ გაავებს
ლანქერი, თქეში,
ნიაღვარები
გეჭრებიან
ლურჯ სინათლეში.

მგოსნის სიტყვასაც
ხდის მრისხანეს
სოფლის სიავე,
ამ დროს არ ინდობს
თვით სულზე ტკბილ თავისიანებს.
შენ ზღვისკენ ჩქარობ,
გინდა იქვე მარადისობად,
მარადისობას
ელტვის მგოსნის
სიტყვის მისნობაც.
ხალხის სულს სიტყვით —
პოეზიით რწყავდა მგოსანი,
შენ ბაღებს რწყავდი,
ახარებდი მშრომელს მოსავლით.
შენ და პოეტი,
როგორც ეგ მზე,
როგორც ეს მთვარე,
თავისუფლების სიყვარულში
ჰგავდით ერთმანეთს...
ერთმანეთს ჰგავდით
სიხარულით
და თვით ვაებით,
ბედის უეცარ განრისხებით
თუ დაყვავებით.
ენგურო ჩემო,
ქედზე კაშხლებს
გადგამთ უღლებად,
დროებით გართმევთ
არც რის სადარ თავისუფლებას,
ნათლად იქცევი
და გახდები პოეტის დარად

წკვარამის მტერი,
რომ სიბნელეს ეომო მარად.

ნეტავი იმ დროს

გადაქცეულებს ექსპონატებად,
ციცქერით გორდებს, ზურებს და
თორებს...
მტრებს არ აბრმავებს მზეზე ნათება
თქვენი,
არც ზაფრა ალარ ათრთოლებს.
არ ვიგონებდით,
ნამდვილად ჰქონდა
მტრებს შიში ქართულ
გველისპირულის...
ცხრამთას იქიდან მართლა
მოგვექონდა
ჩვენ
უკვდავების ლურჯი ბინული.
თქვენ არ იდარდოთ,
რომ არ გაჟრჟოლებთ
ტანში: „დაუხვდი და ჰკა მაგასა“.
ქართველის გული იტკივებს შორეთს
და ვერ იმუშებს დღემდე ნაგასაკს.
დღეს სხვა საჭურვლის
ისმის ქღარუნი,
ბირთვული ელდა მსოფლიოს
მოსდეს...
ნეტავი იმ დროს, ადამიანის
ყოფნა-არყოფნას
თქვენ წყვეტდით ოდეს.

პირდაპირ საგონებელში ვარ ჩავარდნილი.
აღბათ მიხვდები, ახლა რაც ხდება. ყველაფერს დაწ-
ვრილებით იკვლევენ. პოდა, მოსვენება არა გვაქვს
ცალკე მე და ცალკე საველესა და მის მშობლებს... რას
არ გვპირდებიან, რას არ გვთავაზობენ, ოღონდ არ გა-
ვამხილოთ სიმართლე, არ ვთქვათ ის, რაც სინამდვი-
ლეში იყო.
ამას წინათ ზურა წიქოვანი მეწვია შინ. მითხრა, იმ
კრების საქმე აინტერესებთ და ოქმი უნდა გააფორმო
სასწრაფოდო. ჩემი ჩანაწერები ნახა. შევატყვი, ბევრი
რამ არ მოეწონა, მაგრამ პირდაპირ ვერაფერი მითხრა.
ერთი კი გაბუდა, ისე, ვითომც სასხვათაშორისოდ:
— ცოტა რამ უნდა ჩაუშატოთ... ისე არ ივარგებს.
რაც უნდა იყოს, დოკუმენტი. — ჩაფიქრდა და მერე ისევ
შემომპაპრა: — ჩემზე აი, აქ, ბოლოში უნდა ჩაამატო,
რომ სასტიკად გავკიცხე დევი ლოლაძე და კატეგორიუ-
ლად გავაფრთხილე, არ გაუბუდა მის წინააღმდეგ გამო-

სული ამხანაგების მიმართ რაიმე, თორემ მთელი სიმკაც-
რით დაისჯებოდა. ერთი სიტყვით, რომ საჯაროდ ვამ-
ხილე და წესრიგისაკენ მოუწოდე. გასაგებია?
გასაგები როგორ არ იყო, მაგრამ...
— პოდა, ჩქარა მოუყარე თავი ყველაფერს და გაა-
ფორმე... დადგენილებაში დაწერე, რომ გაფრთხილდეს
მესამე რაზმი და მისი ხელმძღვანელი დევი ლოლაძე;
შემდეგში ყალბი მაჩვენებლების მოტანისა და ამხანა-
გებთან არაკოლეგიალური დამოკიდებულებისათვის მი-
ღებული იქნება სასტიკი ზომები... ერთი სიტყვით, შენ
მშვენივრად იცი, როგორცაა საჭირო.
დამიგდო სიტყვა და წავიდა დარწმუნებული, რომ,
როგორც ყოველთვის, ახლაც ისე გავაკეთებ ოქმს —
„როგორც საჭიროა“.
არადა...
რა ვქნა? როგორ მოვიქცე?.. ხომ უნდა დავამთავრო,
ბოლოს და ბოლოს, ეს ოხერი ოქმი?.. რა გავაკეთო?
მაინტერესებს, შენ რას მირჩევ.



კალათბურთი

მანანა გელაშვილი

ექვსიოდე წლის ბიჭუნამ ბაღის მერხზე ჩამომჯდარ დედას ნებართვა სთხოვა და ლამაზ შენობაში შეიძღურა. ერთი პირი იქვე ფოტოსტენდთან შეყოვნდა, ბევრი ვერაფერი გაიგო, იმას კი მიხვდა, რომ სურათებზე ვიდაც კალათბურთელები იყვნენ აღბეჭდილი, წარწერის მსხვილ ასოებშიც მხოლოდ რამდენიმე იცნო. მერე გვერდით ოთახში შეიჭვრიტა და საინტერესო რომ ვერაფერი ნახა, სახლა ხელმარცხნივ წავიდა და იქ, კიბის ქვეშ გაჩერდა. მოდიოდნენ და მოდიოდნენ ბიჭები. ზოგს ზურგზე ჰქონდა მოგდებული ნარინჯისფერბურთიანი ბადურა, ზოგი მისი ქნევით მოკუნტრუშობდა, ზოგი სულსწრაფი კი ბურთის თამაშ-თამაშით ახლოვდებოდა. წუთით ვესტიბიულში ყოვნდებოდნენ და იმ კარის იქით იკარგებოდნენ, რომელზეც ხაზგადასმული ფეხსაცმელი ეხატა. ბიჭების ნაკადი შეწყდა, მერე ერთი მოვარდა თავქუდმოგლეჯილი და დაფეთებული შევარდა დარბაზში. პატარამ გაბედა და მო-

ლიაგებულ კარში შეყო თავი. შეიხედა და სუნთქვა შეეკრა — უთვალავი ბურთი ხტოდა იატაკზე, დაფრინავდა ჰაერში, ეშვებოდა დარბაზის ირგვლივ დამაგრებულ კალათებში. მერე მწვრთნელმა კისერზე ჩამოკიდებულ სასტვენს ჩაჰბერა ყველა ბურთი იატაკზე დაეშვა, უხალისოდ გაგორდა და უმოძრაოდ გაირინდა, ფერად ტრუსებსა და მაისურებში გამოწყობილი ბიჭები კი მწკრივად მოეწყვენ და ყრიაშულიც შეწყდა. პატარამ კისერი წაიგრძელა, როგორ შენატროდა იმ ბიჭებს, როგორ უნდოდა თვითონაც მათ შორის ყოფილიყო.

— გიორგი, კარი დახურე! — მიმართა მწვრთნელმა მწკრივის ბოლოში მდგომ ბიჭს. დამფრთხალმა პატარამ უკან დაიწია, კარი დაიხურა და ისიც, გაწბილებული, გასასვლელისკენ წაფრატუნდა. — რა იყო, გენაცვალე? — ღიმილით დააწია მეგარდერობე ქალმა, — არა უშავს, ერთ-ორ წელიწადში შენც შეგეძლება აქ იარო და მაგათსავით ითამაშო...

ბიჭი ხმის ამოუღებლად გავიდა. დარბაზში კი გულმოდგინე ვარ-

ჯიში დაიწყო — ბურთის ტარება, სხვადასხვა დისტანციებიდან ტყორცნა, ფარქვეშ გასვლა, გადაწოდებები... მერე ბავშვები გუნდებად დაიყვნენ და ხანმოკლე საწვრთნელი მატჩიც დაიწყო. თითოეულის თამაში თუ მწვრთნელის შენიშვნებიც იმაზე მეტყველებდა, რომ ნორჩ კალათბურთელებს არა მართო ზუსტ ტყორცნებს, სათამაშო ტაქტიკას და იღეთებს ასწავლიან, არამედ თამაშის დროს აზროვნებასაც, აქ ხომ ნებისმიერ მოძრაობას თუ გადაცემას გონება უნდა უსწრებდეს წინ...

დღეს აქ დიდებული საკალათბურთო სასახლეა, თბილისის განათლების სამმართველოს ბავშვთა და მოზარდთა ოლიმპიური რეზერვის კალათბურთის სპეციალიზებული სკოლის ბაზა, ჩინებული დარბაზებით, გასახდელებით, საშხაპეებით, სამედიცინო კაბინეტით, მოხერხებული ტრიბუნებით. ორმოცი წლის წინათ კი კიროვის სახელობის პარკში რამდენიმე აგურმოყრილი ღია მოედანი იყო. საქმის ერთგული ძია გაბო, ჩუმი გულმოდგინებით, რუდუნებითა და მისთვის ჩვეული კეთილსინდისიერებით უვლიდა აქაურობას, უბნის ყმაწვილები კი სიქის გაცლამდე თამაშობდნენ 1891 წელს ამერიკაში დაბადებულ ამ შესანიშნავ თამაშს, რომლის ინგლისური სახელწოდება „ბასკეტბოლ“ ასე მორგებულად ითარგმნა ქართულად.


შეიძლება ითქვას, რომ სწორედ აქ დაიწყო ქართული კალათბურთი, აქ ჩაეყარა საფუძველი ქართულ საკალათბურთო სკოლას, რომელმაც არა ერთი ბრწყინვალე ოსტატი აღზარდა და მნიშვნელოვანი წვლილიც შეიტანა მთელი საბჭოთა კალათბურთის განვითარების ისტორიაში. დროთა განმავლობაში პრიმიტიულობა მოედნებმა სახე იცვალა, მოგვი-



ნებით გადაიხურა კიდევაც, რა თქმა უნდა. საფარიც ხის ლაიგო. შესაბამისად იზრდებოდა კალათბურთის მოყვარულთა რიცხვიც და ახლა უკვე მთელი ქალაქიდან მოედინებოდა აქ სათამაშოდ ახალგაზრდობა. ზოგს უკეთ გამოსდიოდა, ზოგს უარესად, კალათბურთის საოცარი სიყვარული და პატივისცემა კი ყველას ერთნაირი ჰქონდა. სათანადო მონაცემების მქონე მოთამაშენი გულმოდგინე წვრთნის, დაუღალავი ვარ-

მომავალი ოსტატი დაფრთიანდება. ალბათ ამიტომაც იქცა ჭეშმარიტ ზეიმად აქაური საკალათბურთო კომპლექსის გახსნა გასული შემოდგომის დამდეგს. ქართული კალათბურთის ყველა თაობის წარმომადგენლები მოვიდნენ მაშინ აქ, მათ შორის ისინიც იყვნენ, ვინც იმ პირველ პრიმიტიულ მოედანზე დაატარებდა ბურთს და დღევანდელი თვალსაზრისით სასაცილო სპორტულ ფორ-

ლი გამოიშალა—ქართული კალათბურთის ხვალისდელი ცვლა და იმედი, ისინი, ვინც ღირსეულად უნდა გააგრძელოს წინა თაობების მიერ საძიკველჩაყრილი ტრადიციები. ამისათვის კი საჭიროა სისტემატური შრომა, ვარჯიში, წვრთნა და კიდევ — კალათბურთის სიყვარული.
რაკი იმ ჩვენმა პატარა ბიჭმა ერთხელ შეიჭყიტა აქაურ სავარჯიშო დარბაზში, ორიოდ წლის მერე ის აუცილებლად მოვა კალათბურთის



ჯიშის შედეგად ოსტატებად ყალიბდებოდნენ და იმ განუმეორებელ ხელწერასაც სძენდნენ თამაშს, რომელიც ყოველთვის გამოარჩევდა და ახლაც გამოარჩევს ქართულ კალათბურთს. მას შემდეგ თბილისშიც, საქართველოს სხვა ქალაქებსა და რაიონებშიც ბევრი საკალათბურთო დარბაზი თუ მოედანი აიგო, მაგრამ ქართული კალათბურთის ბუდედ კვლავაც კიროვის პარკი დარჩა, იმ ბუდედ, სადაც უთუოდ კიდევ ბევრი

მაში ჩაცმული იცავდა ქართული კალათბურთის ღირსებას. მოვიდნენ, გაიხარეს, მოიწონეს ახალი ბაზა, სევდანარევი ღიმილით გაიხსენეს აქაურობასთან დაკავშირებული თავიანთი ახალგაზრდობა, მერე ბურთიც აიღეს ხელში და კალათბურთის მოყვარულთ თავისი თამაშისთვის დამახასიათებელი გამორჩეული ნიშანი გაახსენეს. შემდეგ კი მოედანზე ასამდე ნორჩი კალათბურთე-

სკოლაში, სადაც გულისხმიერი და გამოცდილი მწვრთნელები ამ შესანიშნავი თამაშის ანაბანას ასწავლიან. მაშინ მას უკვე უთუოდ ეცოდინება, რომ იმ ფოტოსტენდზე აღბეჭდილები არიან წინა და წინა თაობების სპორტსმენები, რომლებმაც საფუძველი ჩაუყარეს ამ სკოლას, სკოლას, სადაც დღევანდელი ნორჩები სწავლობენ შესანიშნავ თამაშს, რომელსაც ჰქვია კალათბურთი.
ფოტო ლ. იაკობაშვილისა



დაბადების სამოცი წელი შეუსრულდა ცნობილ პოეტს ნაზი კილასონიას.

ნაზი კილასონიას საყმაწვილო ლექსებს ლამის ენის ადგილ-დანვე იუვარებენ ქართველი ბავშვები; მშობლიური გარემოს, დედ-დაენის, სწავლის, შრომის, დედ-მამის, აღმზრდელ-მასწავლებლების. უოველივე კეთილშობილურის წრფელი სიყვარულით განათებული მისი პოეზია იოლად იკაფავს გზას მოზარდის გულისაკენ და სიცოცხლის ხალისით ავსებს მას. ნაზი კილასონიას არაერთი ლექსი იქცა სიმღერად.

იუბილარი პოეტის მწერლური ბიოგრაფია მჭიდროდ არის დაკავშირებული ჩვენს ჟურნალთან. ამ ჟურნალში დაიბეჭდა პირველად თორმეტიოდე წლის მოსწავლის ნაზი კილასონიას ლექსი; შემდგომშიც აქვე გამოქვეყნდა მისი საუკეთესო საბავშვო ქმნილებები. იგი წლების განმავლობაში მუშაობდა „პიონერის“ რედაქციაში და დიდი რუდუნებით იღვწოდა მკითხველთა გასახარად.

ჟურნალ „პიონერის“ რედაქცია და სარედაქციო კოლეგია სულითა და გულით ულოცავენ საყვარელ პოეტს თავისი ცხოვრების ღირსშესანიშნავ თარიღს, უსურვებენ დიდხანს ჯანმრთელ სიცოცხლეს და მრავალ შემოქმედებით წარმატებას.

გთავაზობთ ნაზი კილასონიას ახალ ლექსებს.



დღეს მილოცავს

დღეს მილოცავს მთელი სახლი,
რომ მე პიონერი გავხდი.
ჩემი ბებოც ნება-ნება
ამ მოლოცვას ებანება:
— ეს რა მოხდა, გენაცვალე,
თითქოს გოგო გამოცვალეს!
კლასიდან რომ მორბის მალე,
სულ საქმეზე იჭერს თვალებს.
ჯერ მომართმევს ყვავილ-რტოებს,
მერე კაბას იუთოებს.
დაანება ბუზღუნს თავი,
კეთილია, განა ავი.
ვენაცვალე, ჩემმა თამრომ
მიმილაგა კუთხე-თარო.
დროზე დგება, დროზე წვება,
ძმებს სულაც არ ეჩხუბება,
ცქრიალას და მუდამ ცოცხალს
შეაყვარა თავი ცოცხმა.
სულ სარეცნის კრეფაშია,
სულ „აინის“ ქებნაშია.
ამ ბოლო დროს გოგო თამრო
ოქრო ენით მარჩენს, მწამლობს.
ეს რა მოხდა?
ეს რა იქმნა?
ეს გოგო სულ
გარდა-იქმნა,

ისე საქმობს, ისე მღერის,
მეც გამხადა პიონერი!

მარტის ხმაური!

გაზაფხული ბალ-ვენახებს
სულ ფრიალით დაუვლის,
გამო, ბიჭო, ნახე, ნახე
შრიალი და ხმაური:
ეს ხომ თოთო კვირტებია,
ლალობენ და ირთვებიან.
ეს ხომ ქარის ნოტებია,
ესე იგი — ტოტებია.
რატომა ხარ, ქარო, ქურდი,
რად წამართვი ჩემი ქუდი?
რას მიძვრები ჩანთის შიგნით,
რად გჭირდება ჩემი წიგნი?
დღიურები იშლებიან,
შიგ ხომ ჩემი ნიშნებია?
„მარტიაო, გიჟი მარტი“, —
ენას მიყოფს კვირტი ატმის.
მერე წავა ხეხილებით
გათოხნილი გრეხილები.
ქარი ერთს კვლავ დაიმღერებს,
გადამისვამს თმაზე ხელებს,
გამომიღებს სკოლის კარებს
და შეილივით ჩამაბარებს!..

პროფესია

დიდი არის ჩვენი კლასი,
შიგ ბავშვი ვართ ბარე ასი.
ჩემო ძმაო, ჩემო დაო,
მერხებიდან ხშირად ვდაობთ:
მომავალის ბილიკებით
ვინ გამოვალთ? ვინ ვიქნებით?
ამ ქვეყანა — სოფელშია
ყველა ირჩევს პროფესიას.
თითქოს შეხვდათ ლატარია —
მხატვრის შვილი მხატვარია!
მწერლის შვილი მწერალია,
სულ ქალაქში მცქერალია.
და კლასში გეყავს ბარე ორი,
ბარე ორი პროფესორი.
მოჭადრაკის შვილის დაფა
გვიფრიალებს, როგორც აფრა.
სოლო კატო, ციცქნა კატო
აქედანვე ადვოკატობს.
მამაჩემი ხარატია,
ღამეც ბევრი გაათია,
ერთ ამბებს და ყოფებშია,
უყვარს თავის პროფესია.
ხარატობას ასე აქებს —
კეთდებაო დიდი საქმე!
არის დიდი გარანტია:
მეც გავხდები ხარატია!

როგორც ვატყობ, გოგონები უფრო აქტიურობენ წერილების წერაში, ვიდრე ვაჟები. რაშია საქმე? ნუთუ მათ არაფერი აქვთ გასარკვევი, არაფერი აფიქრებთ და აღელვებთ, არაფრის რჩევა არ უნდათ?

„პიონერის“ რედაქციამ ტყუილად როდი გამოპყო თავისი ჟურნალის ფურცლებზე ეს ჩვენი სასაუბრო ადგილი! ნუ დაიზარებთ, ყმაწვილებო, ვიკამათოთ, გავარჩიოთ საკითხები. სავალდებულო როდია ყოველთვის დახმარება და რჩევა ითხოვოთ ჩვენგან. თქვენც გექნებათ რაიმე პრენტენზია, სურვილი, რა შეიძლება უკეთ გაკეთდეს. ახლა, როცა ჩვენს ცხოვრებაში, კერძოდ, სკოლის ცხოვრებაში, ასეთი მკვეთრი ძვრები ხდება, როცა ბევრი სიახლე ინერგება, განა ჩვენ დუმილით უნდა შევხვდეთ ცვლილებებს? თქვით, აქტიურობა გამოიჩინეთ, თორემ რა გამოდის?!

დუმილის პოლიტიკა არც ერთ საქმეს არ არგებს. საჭიროა მეტი ცეცხლი, მონდომება და სიფხიზლე! ახლა კონკრეტულად ერთ წერილზე, რომელიც თბილისელმა მოსწავლემ ნინო ბ-მ გამოგვიგზავნა. აი, რას გვწერს იგი:

„ძვირფასო რედაქციავ!

ჩემი საყვარელი ჟურნალის „პიონერის“ ფურცლებზე ახალი რუბრიკის „მწერლის ფოსტის“ შემოღებამ ძალზე გამახარა. მინდა ჩემი გულისნადები გაგიზიაროთ და რჩევაც გთხოვოთ.

საქმე ჩემს მამას ენება. არ გეგონოთ მასზე ცუდის თქმას ვაპირებდე, პირიქით, ჩემი მამიკო პატიოსანი, მშრომელი, ოჯახის მოყვარული კაცია.

მე ერთ რამეზე მწყდება გული. მამასა და ჩემს შორის მეგობრობის ხილია ჩამტვრეული, თუმცა იგი არც არასოდეს ყოფილა ალბათ გადებული. მართალია, მამას რთული სამუშაო აქვს (იგი ქარხანაში მუშაობს) და სახლში დაღლილი ბრუნდება, მაგრამ არ მახსოვს, იგი ჩემთან ერთად დამჯდარიყოს, რაიმე

მწერლის ფოსტა

საინტერესო ამბავი მოეთხროს, ეთამაშოს ჩემთან, ან უბრალოდ დაინტერესებულებოდეს ჩემი ცხოვრებით. როცა დედა უსაყვედურებს ხოლმე, — ბავშვს მეტი ყურადღება სჭირდებაო, მამა ამბობს — რა ვქნა, მე ჩემს მოვალეობას ვასრულებ, ვზრუნავ, რომ თქვენ სასმელ-საჭმელი არ მოგაკლდეთო. დედა ხარ და ბავშვის აღზრდა შენთვის მომინდვიაო.

რატომ ჰგონია მამას, რომ მისი მოვალეობა მხოლოდ იმაში გამოიხატება, რომ ჩვენ სასმელ-საჭმელი არ მოგვაკლდეს? მე კი მასთან სულიერი სიახლოვე მწყურია. მე მისი საუბარი, მეგობრული თანაგრძნობა, მხარდაჭერა და რჩევა მჭირდება.

მე უკვე მერვეკლასელი ვარ. მრავალი კითხვა და აზრი მიტრიალებს თავში. რა ბედნიერი ვიქნები, ერთ მშვენიერ დღეს, რომ ჩამხედოს თვალებში მამიკომ და მკითხოს: „რა გიღიხინს, რა გიჭირს, ჩემო ნინიკო?“

არადა, თქმასაც რომ ვერ ვუბედავ, მერიდება.

თქვენს რჩევას ვთხოვლობ, ჩემო ძვირფასო რედაქციავ, დამეხმარეთ. ნინო ბ. თბილისი“.

წერილი მეტად მტკივნეულ საკითხს ენება, მამათა და შვილთა ტრადიციულ ურთიერთობას, ზოგჯერ სასურველს, ზოგჯერ კი კონფლიქტურს.

საქმე იმაშია, რომ ეს საკითხი, კერძოდ, ნინოსა და მამამისის ურთიერთდამოკიდებულება, კომპლექსურ შესწავლას საჭიროებს. ისმება მრავალი კითხვა, რომლებმაც საბოლოოდ უნდა გაარკვიოს მამის პიროვნება. არიან ადამიანები, რომელთაც შვილები ძალიან უყვართ, მაგ-

რამ ვერც სიტყვითა და ვერც საქციელით სათანადოდ ვერ გამოუნახებთ თავიანთი გრძნობა. ზოგი მოუხეშავია, ზოგი გულჩათხრობილი, ზოგს სულ არ ენერება ალერსი, ზოგი ჩუმი, ზოგი ჯიჯღინა, ჭირვეული... ათასი ჯურის ხალხი არსებობს ამ ქვეყანაზე. არიან მოალერსენი, ენაჩაშაქრულნი და შვილების მოვლა-აღზრდაზე გადაგებულნი...

არაერთი მაგალითია ცნობილი დიდი ადამიანების ცხოვრებიდან, როცა, მიუხედავად იმისა, რომ ისინი სახელმწიფოებრივი თუ საზოგადოებრივი საქმეებით ძლიერ ყოფილან გადატვირთულნი, ოჯახისათვის, შვილებისათვის მაინც გამოუნახავთ დრო. მათ მტკიცედ ჰქონდათ შეგნებული ოჯახისადმი, შვილების აღზრდისადმი დიდი პასუხისმგებლობა. შვილების აღზრდის კეთილშობილურ საქმეს ისინი ისეთივე მაღალი შეგნებით ეკიდებოდნენ, როგორც სახელმწიფო, საზოგადოებრივ საქმეებს. არ იყვნენ ცალმხრივნი, იმას, რაც თავად შეძლოთ გაეკეთებინათ, სხვას არ მიანდობდნენ. ალბათ, იმიტომაც იყვნენ დიდი ადამიანები, რომ ჩინებულად შეძლეს ასეთი შეთავსება. და დღესაც მათი დარიგებები შვილებისადმი მრავალი ოჯახისათვის სამაგალითო სახელმძღვანელოა.

გავიხსენოთ ულიანოვების, — დიდი ლენინის მშობლების, ოჯახი. ამ ოჯახზე ბევრი წიგნი დაწერილა, გადაღებულია ფილმები, დაიდგა სპექტაკლები... მართალია, ულიანოვების ოჯახში ბავშვების აღზრდას უმეტესად დედა განაგებდა, მაგრამ შვილებს არც ილია ულიანოვი აკლებდა მზრუნველობას. აქ უფროსები ურთიერთშემხატებილებულად ასრულებდნენ ოჯახის მეთაურთა მისიას. ამ დახვეწილ ინტელიგენტ და ფრიად განათლებულ კაცს, ილია ულიანოვს, როგორ წამოსცდებოდა მეუღლისათვის ეთქვა: „მე ჩემს მოვალეობას ვასრულებ, ვზრუნავ,

რომ თქვენ სასმელ-საჭმელი არ მოგაკლოთ. დედა ხარ და ბავშვის აღზრდა შენთვის მომინდვიაო“.

ასეთი სიტყვები ითქმის ოჯახში, სადაც მამაკაცს აკლია განათლება, ინტელექტი. მანვე თავის დროზე, იტყობა, ბევრი რამე ვერ შეითვისა.

საყოველთაოდ ცნობილია კარლ მარქსისა და მისი მეუღლის ეუენი მარქსის ოჯახის ამბები: მათ თავიანთ ქალიშვილებს ჯეროვანი განათლება მისცეს და სამაგალითოდაც აღზარდეს. და ამ საქმეში კარლ მარქსსა და ეუენი მარქსს არასოდეს არ გაუნაწილებიათ ფუნქციები, მე გასმევთ-გაჭმევთ, ჩაგაცვამთ-დაგახურავთ, შენთვის კი ბავშვების აღზრდა მომინდვიაო. ცნობილია, რა მატერიალურ გაჭირვებას განიცდიდა მარქსის ოჯახი, მიუხედავად ამისა, ოჯახში იზრდებოდნენ და იხვეწებოდნენ სახელოვანი ადამიანები. ცნობილია მათი საქმეები რევოლუციურ ბრძოლაში...

მიუხედავად იმისა, რომ დიდი ადამიანები თავიანთ შვილებთან ახლო იყვნენ, თავიანთ შეგონებებს ისინი წერილობითაც ამტკიცებდნენ, ალბათ იმიტომ, რომ აღზრდის ფილოსოფია, მათი ბრძნული აზრები სხვათაც გამოსდგომოდათ.

ამ მხრივ საყურადღებოა ჩვენი სასიკაძულო მწერლის მიხეილ ჯავახიშვილის წერილობითი რჩევადარიგება თავისი ქალიშვილის, ქეთევანისადმი. ეს წერილი ბევრჯერ გამოქვეყნებულა და კარგი იქნება, თუ ყველა მოზარდი გაეცნობა მას.

ამგვარი ცოცხალი მაგალითი ბევრია დიდი ადამიანების ცხოვრებიდან. შეიძლება ნინო ჯერ კიდევ არ გასცნობია მათ, მაგრამ ბუნებრივია მისი სურვილი, რომ მის ოჯახშიც იყოს მეგობრული ატმოსფერო უფროსებსა და უმცროსებს შორის.

ამ შემთხვევაში რა ქნას იმ კაცმა, რომელსაც არ გააჩნია შვილთან სულიერი სიახლოვის სურვილი? შვილის აზრებსა და მისწრაფებებს იგი ვერაფერს უგებს, არ შეუძლია მასთან მეგობრული თანადგომა...

ერთი სიტყვით, აქ რთული სიტუაციაა...

„მრავალი კითხვა და აზრი მიტრიალებს თავში – არადა, თქმასაც ვერ ვუბედავ, მერიდება“, – წერს ნინო. აი, სადამდე მისულა საქმე, მამას სიტყვის თქმას ვერ უბედავს, ერიდება... იქნებ აჯობოს, თავად ნინომ გამოიჩინოს მშობლისადმი მეტი ყურადღება, გამოიწვიოს და აამოქმედოს იგი? მაგალითად, ითავოს და თეატრში, კინოში, სპორტულ სანახაობებზე, ან ქალაქგარეთ მოაწყოს ოჯახის კოლექტიური წასვლა. ერთი სიტყვით, თავად გოგონამ შექმნას ისეთი ატმოსფერო, რომ მამა გამოიყვანოს „კარჩაკეტილობიდან“, „აამეტყველოს“ ეს მუნჯი და გულჩათხრობილი კაცი. მერიდება და ვერ ვუბედავო. შემდგომ ასეთი გაუცხოება შეიძლება უფრო გაიზარდოს და ვინ იცის, იქნებ სამუდამოდაც გაცივდეს მამაშვილური სიყვარულის გრძნობა.

მამასა და ჩემს შორის მეგობრობის ხილია ჩამტვრეულიო. ხიდი კი ვილაცამ უნდა გაამთელოს. ისევ შენ, ნინო, შენი მოწადინებითა და გულმოდგინებით, რადგან შვილის ალერსი და ტკბილი სიტყვა მშობლისათვის ყველაზე კარგი წამალია. სცადე, იქნებ ამ ჩვენმა რჩევამ გასჭრას, იქნებ შენმა საქციელმა გამოაღვიძოს მამის გულში მიძინებული გრძნობა.

თინათინ გოგოლაძე



მინადო ტიტია

გორის ღაპითაია

მხატვარი
ელშარდ აგოგაძე

მ ო თ ხ რ ო ბ ა

ყოველთვის სიხარულით მიმიწევდა გული სოფლისაკენ. იქ ზომ მზრუნველი მინადო ბებია, ჩემი სოფლელი თანატოლები და ბებიას ბრაზიანი ძალი გერია მელოდნენ; იქ ზომ თავისუფლად შემეძლო მერბინა, მებანავა მდინარე ნახურში და რაც მთავარია, მშობლების გაუთავებელი ჭკუის სწავლებისაგან დამესვენა.

მინადო ბებია მარტო ცხოვრობდა, მეუღლე ადრე გარდაეცვალა და ახლა ისღა დარჩენოდა, სიამაყის გრძნობით ეყურებინა საძინებელი ოთახის კედელზე დაკიდულ სურათზე გამოჩვამულ, წვერულვაშიანი, ხანჯალ-დამბაჩიანი ახლგაზრდა კაცისთვის. ბებიას ერთადერთი ქალიშვილი, ანუ დედაჩემი, ქალაქში გათხოვდა ინჟინერზე და დარჩა ბებია მარტოდმარტო სოფელში. მხოლოდ გერია ჰყავდა გვერდით ნამდვილ ერთგულ მეგობრად.

მწვანედ მოხასხასე ეზოს სიღრმეში კრამიტით გადახურული პატარა ოდა იდგა. მის უკან სამზადი და ნალია კოპწიაობდა, ეზოში უამრავი ხეხილი ხარობდა. საბოსტნე ნაკვეთის დიდ ნაწილზე კი საზამთრო და ნესვი ეთესა ბებიას. მათი სურნელება შორიდანვე სწვდებოდა ყნოსვას. განსაკუთრებით ბავშვებს აღიზიანებდა ეს სურნელი.



— რა იქნება, ნესვი და საზამთრო რომ გვაჭამო, — შემომპარა ერთხელ ბიძინამ.

— ბებიას ვთხოვ, უარს არ მეტყვის, — ვუბასუხე.

მართლაც ბებიამ იმავე დღეს მოგვიწყვიტა ერთი ნესვი და ორი დიდი საზამთრო, რომლებიც ნახურის პირას საბანაოდ წასულმა ბიჭებმა თან წავიღეთ და ძალიანაც ვისიამოვნეთ. ხუთშაბათს კილევ ჩავიტკბარუნეთ პირი, ამჯერად ასწლოვანი ჭადრის ჩრდილში, ბებიას მოცემული რამდენიმე ცალი ნესვითა და საზამთროთი.

როცა მწიფე ნესვს არჩევდა, ბებიამ სხვათაშორის მითხრა, მხოლოდ ორი მწიფე ნესვი და სამი საზამთროა დარჩენილი, მოსამწიფებელი



კი რამდენიმეო. კვირას დედაშენი და მამაშენი უნდა ამოვიდნენ ქალაქიდან და იმათ უნდა დავახვედროო.

მაშინ ვერ მივხვდი, რას ნიშნავდა ეს გაფრთხილება, მერე კი...

შაბათ საღამოს, როცა მთელი ჩვენი უბანი ბაძუ ქანთარის დიდი კაკლის ძირას „ჯარობაზე“ შეიკრიბა, ბიძინამ გვერდზე გამიხმო.

— ბიჭები ბებიაშენის საზამთროს მოსაპარავად მივდივართ.

— არ გაბედოთ, თორემ გერიას ცოცხალი ვერ გადაურჩებით, არ იცით, რა ავია!?

— შენ ნუ გეშინია, ვახტანგი მჭადის ნატეხით მაგ თქვენ გერიას მოშორებით გაიტყუებს, მე და გიული კი ტრიფოლიატს გამოვჭირით, შეგძვრებით და მოვიპარავთ, — ვითომ დამამშვიდეს ბიჭებმა.

— ვერ მოიპარავთ, გერია ისეთი ძალღია, თქვენი ხრიკები კი არა,

მთელი სოფლის ოინები ვერ გაჭრის, დასალუპავი თავი თუ გაქვთ, კი ბატონო, — უდარდელად მიუვგებ. ბიჭები ჩაფიქრდნენ. მერე ვახტანგმა დიდი მოაზროვნესავით თითი საფეთქელთან მიიღო და წამოიძახა:

— მომისმინეთ, ბიჭებო! თვითონ ზურაბი რომ შეიპაროს?! ძალღი მისია, პატრონს იცნობს და არაფერს დაუშვებს, მოწყვიტოს და ღობეზე გადმოგვაწოდოს. რას იტყვით, აა?

— გენიალურია! — კვერი დაუკრეს სხვებმა.

— დავუშვათ, ძალღი გავაცურეთ, მაგრამ ბებიას რა ვუყოთ? — კვითხე შიშით.

— თუ გერია ჩვენს მხარეზე იქნება, შენი ოთხმოცი წლის ბებია რას მიზღვდება? — დამამშვიდა ვახტანგმა.

— თქვენ არ იცით, ბებიას და გერიას გამცურებელი ჯერ არ დაბადებულა, — კილევ ერთხელ ვცადე გადამეთქმევიინებინა. მაგრამ ამაოდ. და მეც დავყაბულდი, ბოლოს და ბოლოს ხომ უნდა დამემტკიცებინა ჩემი ქალაქური შემართება და ვაუკაცობა. საკუთარ ბოსტანში ნესვისა და საზამთროს მოპარვაზე დიდი ვაჟკაცობა კი რაღა უნდა ყოფილიყო.

ჰოდა, გადავიპარე ბებიას ბოსტანში. გერიამ ცივი თვალები მომაბჯინა, ორჯერ დამიყუფა, მოტრიალდა და თავის ბუნაგში შეძვრა.

მეორე დღით გვიან წამოვდექი, შინაგან ცახცახს ვერასვხით ვერ ვიოკებდი. ჩემდა საუბედუროდ, ბებია და გერია ბოსტანში იდგნენ. ბებიას ხელში ჩემი ფეხსაცმელები ეჭირა და გამოცდილი კრიმინალისტივით რაღაცას ჩაჰკირკიტებდა. აშკარა იყო, დანაშაულის კვალს ეძებდა. ისიც აშკარა იყო, რომ ეჭვი ჩემზე ჰქონდა აღებულის. ოთახის ჭუჭრუტანიდან ცალი თვალით კარგად ვხედავდი, როგორ აცალა ბებიამ ფეხსაცმელის საძირეს ზედ შერჩენილი ტრიფოლიატის ეკალი, როგორ მიუახლოვდა მწვანე ღობეს. რაღაც შეამოწმა, მერე ფეხსაცმელიც მარტს დედაჩემისაგან ნაჩუქარი კაბის ჯიბეში ჩაიღო, ეტყობოდა, ნივთმტკიცებად სჭირდებოდა. ახლა

ბოსტანი შემოიარა, ნესვები და საზამთროები დათვალა, ეს ბრძანებები ბის წასაყენებლად და დანაშაულის დამამძიმებელ გარემოებად სჭირდებოდა. კმაყოფილებით გადახედა გერიას, ალბათ იმიტომ, რომ დარწმუნდა — ჭურდობა მისი უდარდლობითა და უყურადღებობით არ მომხდარიყო და აუჩქარებლად გამოემართა სამზადისაკენ.


მე უკანა კარიდან გავიპარე, რომ ცხელ გულზე არ შევჩეხებოდი.

ნალიას შევაფარე თავი, მაგრამ გერიამ ყეფა ამიტეხა. ბებიას ჩემი იქ ყოფნა ამცნო. იძულებული გავხდი სიმინდის ნაქუჩალივით გაფითრებული, სამზადისაკენ წავლასლასებულიყავი.

ბებიას არც შემოუხედავს ჩემთვის, თბილ რძეში მჭადი ჩამიფშვნა და მაგიდაზე დამიდგა.

უხალისოდ მოვამთავრე ფუხხოლია და გარეთ გავლა დავაპირე, მაგრამ ბებიას გაუეყილმა ხმამ შემაჩერა.

— ის ბიჭები გამიფრთხილეს, საზამთროსა და ნესვის ჭურდობაზე ნურავის ეტყვიან, თორემ შენ და გერია გამელანძლებით.





კაპიტალისტი კანონს აჩაფრებ აბეჭდს

მთქარელი ბავშვობა

- რამდენი წლისა ხარ?
- თხუთმეტის.
- უფრო ზუსტად?
- თითქმის თოთხმეტის.
- კიდევ უფრო ზუსტად?
- ცამეტზე ცოტა მეტის...

არასოდეს არ დამავიწყდება ეს დიალოგი პორტუგალიის ქალაქ მარინიაგრანდის შუშის ქარხანაში. ათობით მცირეწლოვანი, ოფლში გაღვარული ბავშვი სწრაფად მიმოღის საამქროში; ხელში უჭირავთ მიღები ბოლოზე მსხლის ფორმის გავარვარებული მინის ბურთებით, რომლებიც წამების განმავლობაში უნდა მიიტანონ ღუმელიდან ოსტატამდე. მათ შემყურეს მინდოდა მერწმუნა, რომ ეს იყო მხოლოდ და მხოლოდ თამაში, რომელიც აგერ-აგერ დამთავრდებოდა, მაგრამ ბავშვები კვლავ რჩებოდნენ ამ გავარვარებულ ჯოჯოხეთში.

ასე შევეჩახე პირველად პირისპირ ცნებას „ბავშვთა შრომა“, რაღას არ უწოდებენ ამ სოციალურ ბოროტებას ადგილობრივი ჟურნალისტები: „ეროვნული უბედურება“, „XX საუკუნის პატარა მონები“, „კონკურენციის მსხვერპლნი“, ეს მოვლენა განსაკუთრებით გავრცელებულია ქვეყნის ჩრდილოეთ ნაწილში. მართო ბრავის პროვინციაში არის 200-ზე მეტი სამკერვალო და ფეხსაცმელების საწარმო, სადაც მცირეწლოვანი ბავშვები შრომობენ. საერთოდ ქვეყანაში 200 ათასი ბავშვი დიდების სამუშაოს ასრულებს და მინიმალურ ხელფასს იღებს...

— მე აღისა მქვია, თორმეტი წლისა ვარ. ყოველ დღით რვის ნახევარზე ვდგები და ღამის 11 საათზე ვწვივები. ჩემი გამომუშავება არ აღე-

მატება თვეში სამ ათას ესკუდოს (ათასი ესკუდო — 4 მანეთი და 41 კაპიცია)...

მკითხველს შესაძლოა დაეხადოს აზრი, რომ პორტუგალიაში, სადაც ტრადიციულად განვითარებულია მრეწველობის უაღრესად შრომატევადი დარგები — საფეიქრო, სამკერვალო, ფეხსაცმელების წარმოება, მუშა ხელის უქმარისობაა. მაგრამ სინამდვილეში ასე არ ირის — ოფიციალური მონაცემებით პორტუგალიის შრომისუნარიანი მოსახლეობის 8 პროცენტი უმუშევარია. ამრიგად, როგორც ხედავთ, „ბავშვთა შრომის“ მიზეზი სხვა რამეა, კერძოდ, მეწარმეთა სურვილი, რაც შეიძლება მეტი მოგება მიიღონ მცირე დანახარჯებით — ერთსა და იმავე სამუშაოებში ბავშვებს ისინი გაცილებით უფრო ნაკლებს უხდიან, ვიდრე უფროსებს. არის კიდევ ერთი მომენტი, რაც კაპიტალისტებს ძალიან აძლევთ ხელს. ბავშვები არ აწყობენ გაფიცვებს, არ არიან პროფკავშირის წევრები, არ მოითხოვენ სამუშაო პირობების გაუმჯობესებას, მცირე დანაშაულისათვის ყოველწუთს შეიძლება მათი სამუშაოდან დათხოვნა.

ბავშვთა შრომას პორტუგალიაში, გარდა მორალური ზიანისა, კიდევ სავალალო სამომავლო პერსპექტივა მოაქვს.

რამდენი ათასი ბავშვი რჩება წერა-კითხვის უცოდინარი, ანდა 2-3 კლასის განათლებით? წარმოიდგინეთ რა შანსები ექნებათ მათ, დაიკავონ ღირსეული ადგილი საზოგადოებაში რამდენიმე წლის შემდეგ. ახლანდელ მოზარდებს მოუწევთ ქვეყნის ეკონომიკის მოდერნიზება. ეყოფათ კია ამისთვის მათ ტექ-

დასასრული. იხ. მე-19 გვ.



ყურადღებო, კაცნადებო კონკურს!

საკავშირო ექსპედიცია „საბჭოთა კავშირი ჩემი სამშობლო“ მიზნად ისახავს მოზარდი თაობისათვის ჩვენი დიდი სამშობლოს გაცნობას, მისი წარსულისა და გამოჩენილი ადამიანების შესახებ ცნობების შეკრებას. იგივე მიზანი აქვს ვიქტორინა კონკურსს, რომელსაც ჟურნალი „პიონერი“ აცხადებს საქართველოს სსრ მთამსვლელთა ფედერაციისთან ერთად.

ჩვენი რესპუბლიკის ტერიტორიის უდიდესი ნაწილი მთებს უკავია, მისი ჩრდილოეთი საზღვარი კავკასიონის ქედია, რომელიც აფშერონის ნახევარკუნძულიდან შავ ზღვამდეა გადაჭიმული. ამ ქედის მარად-თოვლიანი მწვერვალები თავიანთი სირთულითა და სილამაზით ყოველთვის იზიდავდნენ მთამსვლელობისა და მოგზაურობის მოყვარულთ. მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში დაიწყო ევროპელ მთამსვლელთა მიერ ამ მწვერვალების დაპყრობა და მეცნიერული შესწავლა. ყველა ასვლაში მათ გამყოლებად ადგილობრივი მცხოვრებლები ახლდნენ.

ჩვენი მთებისა და მწვერვალების სპორტულ და მეცნიერულ შესწავლაში დიდი წვლილი აქვთ შეტანილი ქართველ მთამსვლელებს.

დღეისათვის კავკასიონის ძირში მდებარე მაღალმთიანი რაიონები თვითმყოფადი კულტურით, მდი-

ყურადღებამ, ვაქცხდებით კონკურსს!

I ეტაპის კითხვები

1. როდის და რომელ მწვერვალზე ასვლით ჩაეყარა საფუძველი საბჭოთა ალპინიზმს? ვინ იყვნენ ამ ასვლის ხელმძღვანელები?
2. გუმბათოვანი ეკლესია ხევში. ა. ყაზბეგის რომელ ნაწარმოებშია იგი აღწერილი? რომელი მწვერვალის ფონზე მოჩანს ეს ეკლესია?
3. ვინ იყო იოსებ მოხევე მღვდელი? ვის ნაწერებში ვხვდებით ცნობას მწვერვალზე მისი ასვლის შესახებ?
4. ლევან გოთუას პირველი ლიტერატურული ნაწარმოები მთამსვლელობაზე.
5. „სადაც დიდებულს მთასა მყინვარსა ორბნი, არწივნი ვერ შეშხებიან, სად წვიმა-თოვლნი, ყინულად ქმნილნი მზისგან აროდეს არა ჰდნებიან, უწინდელს დროში ღვთისა მოხავთა გამოუქვავათ მუნ მონასტერი და იმ ყინულში შეთხრილს ღვთის ტაძარს ბეთლემს უწოდებს დღესაცა ერი“.

51281

- რომელი ნაწარმოებიდან არის ეს ნაწყვეტი? ვისადმია მიძღვნილი ეს ნაწარმოები? რა იცით ამ გამოქვავულის აღმოჩენის შესახებ?
6. სად მდებარეობს საქართველოში ყველაზე მაღალი მეტეოროლოგიური სადგური? მისი სიმაღლე.
7. ვინ იყო პირველი მთამსვლელი ქალი, რომელიც მყინვარწვერზე ავიდა?
8. საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე რომელი რევოლუციონერი, შემდეგში ცნობილი სახელმწიფო მოღვაწე ავიდა მყინვარწვერზე და იალბუზზე?
9. ვისი სახელობისაა ყაზბეგის მთამსვლელობის მუზეუმი, რა იცით მის შესახებ?
10. რით არის ამჟამად აღსანიშნავი ჭვრის უღელტეხილის მიდამოები?
11. რომელი უცხოელი ავიდა პირველი მყინვარწვერზე, როდის და რა მიზნით?
12. რომელი მწვერვალიდან იღებს სათავეს მდინარე თერგი?
13. როდის და რატომ შეერქვა მყინვარწვერს „ყაზბეგი“?
14. მყინვარწვერის სიმაღლე.

დარი ფოლკლორული მასალით, თანამედროვე ყოფით საინტერესო კვლევის საგანია, რამაც, ვფიქრობთ, განსაკუთრებით ჩვენი მოსწავლე ახალგაზრდობა უნდა მიიზიდოს. ამ ინტერესის გასაღვივებლად, კვლევაში მონაწილეობის მიღების მსურველთა დასახმარებლად მიმართული ჩვენი ვიქტორინა-კონკურსი.

კონკურსი ტარდება სამ ეტაპად. ყოველი ეტაპის ბოლოს ყურნალში გამოქვეყნდება პასუხები ამ ეტაპის კითხვებზე, რაც კონკურსის მონაწილეებს საშუალებას მოგცემთ, თვითონვე შეამოწმოთ თქვენს მიერ რედაქციაში გამოგზავნილი პასუხების სისწორე.

რედაქციაში გამოსავზავნი პასუხები შეგიძლიათ შეადგინოთ როგორც ინდივიდუალურად, ასევე კოლექტიურად. სასურველი იქნება პასუხებთან ერთად გამოგზავნოთ თქვენს მიერ გადაღებული ფოტოსურათები, ზომა მხოლოდ და მხოლოდ 13X18, ნახატები (არა უმეტეს სახატავი რვეულის ზომისა).

ჩაიწერეთ და გამოგზავნეთ თქმულებები, ლეგენდები, ხალხური ლექსები, რომლებსაც კავშირი ექნება კონკურსის მოცემულ ეტაპზე დასმულ კითხვებთან.

პასუხები გამოგზავნეთ რედაქციის მისამართზე: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14. ყურნალ „პიონერის“ რედაქცია. კონკურტზე დააწერეთ „კონკურსისათვის“.

წლის ბოლოს კონკურსის ყიური შეაჯამებს შედეგებს. გამარჯვებულები 1989 წლის იანვრის არდადეგებზე მოწვეული იქნებიან თბილისში და გადაეცემათ ფასიანი საჩუქრები.

საქართველოს მთამსვლელთა
ფედერაცია,
ჟურნალ „პიონერის“ რედაქცია.



თაქ. სსრ კ. მარქსის
სახ. სახ. რესპობ

გაიდარის ჩანთა



გორის კამოვი

მხატვარი თეიმურ ზსიკიძე

მ ო ტ ზ რ ო ბ ა

ბ. კამოვის ვრცელ მოთხრობაში „გაიდარის ჩანთა“ ნაჩვენებია გამოჩენილი საბჭოთა საბავშვო მწერლის არკადი გაიდარის გმირული საქმიანობა სამამულო ომის ფრონტზე და პარტიზანულ რაზმში, ნამბობია, რა დაუღალავად განაგრძობდა მწერალი ლიტერატურულ შრომას, როგორც ემზადებოდა ახალი წიგნების შესაქმნელად. ბრძოლებს შორის სულიწმინდის დროს დაწერილი დღიურები, დაუმთავრებელი თუ ახალდაწყებული ნაწარმოებები თან დაჰქონდა ჩანთით. მან ვერ მოასწრო თავისი გეგმების განხორციელება — იგი დაიღუპა, რის შემდეგაც ჩანთა უკვალოდ გაქრა... ავტორი გვყვება, რომ ომის უმძიმეს დღეებში გაიდარი განუწყრელად იყო დაკავშირებული ბავშვებთან, რომლებიც მის გვერდით აღმოჩნდნენ ყველაზე მოულოდნელი ვითარების დროს. გათავაზობთ ამ მოთხრობის ნაწყვეტს.

გ უ ლ ა ს დ ი ლ ო ბ ა

ვალოდის და ვასიას ოთახი ღუმელის უკანა კუნჭული იყო. აქ მდგომი პატარა მაგიდა საწერი მაგიდის მაგივრობას უწყვედა მათ. კედელზე სახელმძღვანელოებითა და დაფურცლული რომანებით სავსე თარო ეკიდა. სახლში ნავთს უფროსი ილდებოდნენ. ოთახი მხოლოდ ჭერზე ჩამოკიდებული სადღესასწაულო თორმეტსაზიანი ლამპის შუქით ნათდებოდა, სამაგიეროდ, მათ მხარეს გადიოდა რუსული ღუმელის კედელი თავისი საწოლით.

არკადი პეტროვიჩმა მოიხსნა ქამარი რევოლვერით და მაგიდაზე დადო, გაიძრო ჩექმები, ხელისგულით მოსინჯა, რომელი აგური უფრო ცხელიაო, მსუბუქად აძვრა მაღალ საწოლზე და შევებით ამოისუნთქა, ზურგზე დაწვა, რომ გაციებული ფილტვები გაეთბო. გვერდით, ისე, რომ არ მოუსხნია, ჩანთა დაიდო.

ვასიამ გაიდარს თავქვემ ჭრულპირიანი ბალიში ამოუდო, ვალოდისამ კი ქურქი დაასურა და, როგორც ამას დედა აკეთებდა ხოლმე, ცხვრის

ტყავის გვერდებში ამოგება დაუწყო, მაგრამ ჩანთამ შეუშალა ხელი.

ვალოდისამ ჯერ კიდევ მაგიდასთან ჯდომისას შეამჩნია ის. ვასშმის დროს ჩანთა გაიდარს მუხლებზე ედო.

— გადააგდეთ ერთი ეგ თქვენი აირწინალი, რას დაათრევთ ყველგან, — ურჩია დიდივით არკადი პეტროვიჩს. — სხვა სამხედროებმა დიდი ხანია გადააგდეს.

გაიდარს ჩაეცინა, თავი ასწია, წინ გადმოიგდო ბრუზენტის განიერი თასმა და თვითონვე შემოიგო ქურქი.

— აირწინალი მეც გადავაგდე, — უპასუხა მან, — მისი ჩანთით კი ქაღალდები დამაქვს.

ვალოდისა არკადი პეტროვიჩის სახესთან დაიხარა და ჩასწურჩულა:

— საიდუმლოა?

— არა, — გაიცინა გაიდარმა, — უბრალოდ ჩანაწერებია, რომლებიც მუშაობის დროს დამჭირდება.

— როგორ მუშაობთ? — კიდევ უფრო ჩუმად შეეკითხა ვასია და გული ისე გაუნერდა, თითქოს იმ საიდუმ-

ლოს მოლოდინში იყო, რომელიც ახლა უნდა გახსნილიყო. **მეტივენი**
— როგორ ვმუშაობ? **მეტივენი**
ითხა, გაიდარმა. — სულ უბრალოდ: ვიღებ სუფთა თორმეტგვერდიან რვეულს ან საერთოს — ასგვერდიანს, კიდევ უკეთესია, თუ შემხვდა სქელი, ორასგვერდიანი დავთარი; ვიღებ და ვაკაკუნებ შიგ ფანქრით... როცა წერა მომწყინდება, მაშინ სასაცილო ცხვირ-პირებს ვხატავ.

მაგრამ ვასშობისას გაიდართან გატარებული ერთი საათის წყალობით ბიჭმა უკვე იცოდა, რა იღუმელი ნაწიბურები აცილებდა ერთმანეთს გაიდარის საუბარში სერიოზულს თამაშობიდან, და თვითონაც ჩაება აზარტულ თამაშში.

— თქვენი რვეულის ნახვა არ შეიძლება? — ხმაში შეპარული მოკრძალებით იკითხა ვალოდისამ.

— რა-ტომ? — სერიოზულად გაიკვირვა არკადი პეტროვიჩმა.

— მინდა გავიგო, რამდენ შეცდომას უშვებთ!

გაიდარმა ჩაიციხა, ბიჭის საზრიანობა და სიყოჩაღე მოეწონა, ბალიშიდან აიწია, ჩანთას ნაჭრის საკეტი შეხსნა, საერთო რვეული ამოიღო და ვალოდისას გაუწოდა, თან ყურადღებით აკვირდებოდა, რა მოხდებოდა.

ვალოდისა დაიბნა. იფიქრა, გაიდარი, როგორც სხვა ყველა უფროსი, იტყვის: „სისულეებს თავი დანებე, მაგის დრო არ არის, რაიმე უფრო სერიოზულით გაირთე თავიო“... ახლა კი, როდესაც გადმობრუნებულ, თითებგაფარჩხულ ხელისგულებზე რვეული ისე ედო, თითქოს ძუძუმწოვარა ბავშვი ანდესო, ვალოდისამ არ იცოდა, რა ექნა, და რჩევისა და დახმარების იმედით ძმას შეხედა.

ვასიასაც აინტერესებდა, რა იყო რვეულში და როგორ იწერება წიგნები, ეს სახეზეც ეტყობოდა და წაწვდილ კისერზეც, ისე იჭყიტებოდა და ათვალეირებდა ჩვეულებრივ საქართო რვეულს; მაგრამ, მეორე მხრივ, ისე, როგორც უფროსი, გულისხმობდა, რაკი ვალოდისამ თვითონ წამოიწყო ეს თამაში, თვითონვე იხსნას თავი. ვინ-



ძლო, სხვა დროს ფრთხილად მოიქცესო.

ძმები რვეულს თვალს არ ამოკრებდნენ. რვეულს კოლენკორის ყდა ჰქონდა. ზემო ყდა აპრენილიყო, ლამობდა მილივით დახვეულიყო. ყდის ქვეშ, ნაცრისფერ ხაოიან ქალღმერთზე ქიმიური ფანქრით მსხვილი ბეჭდური ასოებით გამოყვანილი იყო:

არკადი პეტროვიჩი გაიდარი

და კიდევ რალაც იყო ჩაწერილი, საიდანაც მხოლოდ ორი სიტყვის ამოკითხვა შეძლო: „სსრკ მწერალთა...“ ეტყობოდა, რვეული წყალში ჩაჯარდნილიყო და ქიმიური ფანქრით გაკეთებული წარწერა გადაშლილიყო, ფურცლები კი ოდნავ ამობერილიყვნენ. ვალოდია ცდილობდა ყდა გაეხსნა — ამოდ: იგი ისევ ისევოდა. მაშინ აიღო და გაშალა რვეული.

ლაშა მკრთალად ანათებდა სა-

წოლს. ვალოდიამ მხოლოდ უფერული, თითქმის ერთმანეთზე დამსხდარი წვრილი პწკარების ტალღოვანი ხაზები გაარჩია.

— თვალებს გაუფრთხილდი, — ურჩია გაიდარმა.

— მე სიბნელეშიც ვკითხულობ, — უპასუხა ვალოდიამ, ესმოდა, რომ მხოლოდ მასხრობით შეიძლებოდა განეგრძო ის არაჩვეულებრივი, რაც ახლა ხდებოდა, მაგრამ მართლა ვერაფერი ვერ წაიკითხა.

მაგარი ფანქრის ნაკვალევი სინოტივისაგან გადარეცნილიყო. სტრიქონები არაბულ დამწერლობას წააგავდა და უცხო თვალისთვის სრულიად გაურჩეველი იყო.

— თქვენ თვითონ როგორ კითხულობთ? — ჰკითხა ვალოდიამ.

— მე არ ვკითხულობ, — უპასუხა გაიდარმა, — მე მხოლოდ ვწერ.

— მოსკოვში რომ დაბრუნდებით?

— არც მოსკოვში წავიკითხავ. ხედავ, ყველგან რიცხვი წერია? შევხედავ: „4 ოქტომბერი“, ვიფიქრებ,

რა ჩავიწერე 4 ოქტომბერს? და მომეწონა მაგონდება.

ძმებს გაეცინათ. — არა, სერიოზულად, — ბოხი ხმით ჩაერია ვასია.

— ყველა ადამიანმა იცის თავისი ხელწერა, — თქვა გაიდარმა. — ამიტომ ყოველგვარ ჩახვეულებს ადვილად ვკითხულობ. როდესაც შინ მოვხვდები, მანქანაზე გადავაბეჭდვინებ. რამდენიმე ცალი მექნება. ერთს ეპიზოდებად დავჭრი და შევკრავ, — ეპიზოდები ბავშვებზე, მებრძოლებზე, პარტიზანებზე, მოლაღატეებზე.

— რას მოგცემთ მასეთი შეკვრები? — ისევ იკითხა ვასიამ.

— ყველაფერი იმაზე იქნება დამოკიდებული, რაზე ვიმუშავებ. თუ საგაზეთო ნარკვევზე, მაშინ ერთი-ორი ეპიზოდი სახეებით საკმარისია. ისე კი შეიძლება ასი ნარკვევი და ორმოცდაათი მოთხრობა დავწერო.

— ასე ბევრი? — ვერ მოითმინა ვასიამ.

— რა ბევრია, — უპასუხა არკადი

საქართველოსი კანონს ახლა უნდა ამოვიტყოს

ნიკური ცოდნა, ინტელექტუალური მარაგი, თუ დღეს 10-12 საათის განმავლობაში მომქანცველი შრომით შოულობენ ლუკმაპურს?

უამრავი კითხვა გროვდება, პასუხები კი ჭერჭერობით არ ჩანს. მოპარული ბავშვობა ეს მოპარული მომავალია.

კაკაია უსახლკაროთა გერი

თავშესაფარი, სადაც არ უნდა იყოს იგი, ნიუ-იორკში, ლოს-ანჯელესში თუ ჩიკაგოში, ბავშვებისათვის სრულიად შეუფერებელი ადგილია. უმეტეს მათგანში მძვინვარებს ეპიდემიები. უსახლკარო ბავშვები ორჯერ უფრო ხშირად ავადმყოფობენ სასუნთქი ორგანოების სერიოზული დაავადებით, ვთქვათ, ფილტ-

ვების ანთებით, ვიდრე მათი დანარჩენი თანატოლები.

უსახლკარო ბავშვები ცუდადაც იკვებებიან. გამოკვლევებმა დაადასტურა, რომ მათ ოთხჯერ უფრო ხშირად ემართებათ კუჭ-ნაწლავის დაავადებები. ამის ერთ-ერთი მიზეზია ის, რომ ასეთი ბავშვები სვამენ გაჭუჭყიანებულ რძეს. უსახლკარო ბავშვების 2 პროცენტი ნახევრად მშიერიცაა. განსაკუთრებულ შემფრთხილებას იწვევს ის გარემოება, რომ უსახლკარო ბავშვთა 16 პროცენტისეთი ქრონიკული დაავადებები სჭირს, როგორცაა სისხლის მიმოქცევის მოშლა, გულის სნეულებანი, ფილტვების დაავადება და სხვა. მაგრამ უსახლკარო ბავშვთა უმეტესობა მოკლებულია აუცილებელ სამედიცინო დახმარებას.

ყველას, ვინც ოდესმე ყოფილა ამ თავშესაფრებში, თან სდევს მოგონებები უსასრულო ავადმყოფობაზე. „ეს იყო კოშმარი, — ამბობს ბარბარა ანენი, რომელმაც მეუღლესთან



და სამ შეილთან ერთად სამი თვე გაატარა სენტ-ლუისის თავშესაფარში — გრიპის ეპიდემია დაუსრულებლად გვიბრუნდებოდა. ამ დაზოგი სხვა მიზეზების გამო მათმა შეილმა, 13 წლის მაქსმა კარგად დაიხსომა თავშესაფარი. იგი ყოველნაირად ცდილობს თავი აარიდოს ამ თემაზე საუბარს. მე რე მას ეკითხებიან, რომ მოგიწიოს თავშესაფარში დაბრუნებამ, რას იზამდიო? „ცოცხალი თავით არ წავიდოდი, — განაცხადა მან გაცხარებით. — გავიქცეოდი, როგორმე ვიშოვიდი 75 ცენტს, რომ ავტობუსზე დავმჯდარიყავი და ილინოისამდე ჩამეღწია. მე რე კი ტყეში დავიდებდი ბინას. მე მიყვარს ტყე. მე ყველგან მომწონს, თავშესაფრის გარდა“.



პეტროვიჩმა.—არ არის ბევრი,— ფიქრიანად და თითქმის დანანებით თქვა მან.—თუ დიდი წიგნის დაწერა გადავწყვიტე, შეიძლება მართლა არ მეყოს.

დაუშვათ, ნარკვევში უბრალოდ მოყვები, როგორ შეაღწია ჯარისკაცმა ივანოვმა მტრის ღრმა ზურგში, „მოენე“ მოიყვანა და ამის გამო დააჯილდოვეს მედლით „მამაციობისათვის“. მაგრამ თუ ჩავიფიქრებ, ივანოვი მოთხრობის ან რომანის მთავარ გმირად გავხადო, მაშინ ეს ცნობები უკვე არ არის საკმარისი.

მაშინ მე გავისხენებ, რომ მეტყვევის შვილს, ვალოდია შვაიკოს შეუძლია სიბნელეში კითხვა, რომ უმთვარო და უვარსკვლავო სიბნელეშიც კი ის მთელ ას მეტრზე ხედავს. გავისხენებ და ამ მონაცემებს ივანოვს მივაკუთვნებ.

მერე ჩემს რვეულში მოვძებნი გვერდს, სადაც სერენტ პეტროვის ამბავი მიწერია, ცაცია ხელით ხელყუმბარებს ოცდათხუთმეტ მეტრზე რომ ისროდა. ერთხელ სერენტი

მარჯვენა ხელში მძიმედ დაიჭრა. დარჩა მარტო — მეგობრები დაელუპა. პიტლერულმა იფიქრეს, იოლად ჩავიგდებთ ხელშიო! პეტროვმა ხელყუმბარის საკეტი კბილებით ამოგლიჯა და ზუსტი ტყორცნით რამდენიმე ჯარისკაცი მიაწვინა.

მერე კიდევ გავისხენებ საავიაციო მედესანტე სიდოროვს. სიდოროვი სატრანსპორტო თვითმფრინავიდან სტებოდა. მას ოცეულის ამხანაგი მიჰყვა უკან, რომლის პარაშუტიც არ გაიხსნა. სიდოროვმა ამხანაგი პაერში დაიჭირა და ორივენი ერთი პარაშუტით დაეშენენ მიწაზე.

რიგითი ივანოვი ჩემს მომავალ წიგნში თავის თავსაც ემსგავსება, შენც, ვალოდიასაც, სერენტ პეტროვსაც, მედესანტე სიდოროვსაც. ეს იქნება სახე, რომელშიც თავმოყრილი იქნება ბევრი სხვადასხვა ადამიანის ჩვევები. მაშინ მეც მომიხდება ჩემს გმირს სხვა გვარი მივცე: ტუტიშკინი, სეკოლჩუკი, ან სედელკინი.

— სედელკინი!..—გადანიარხარა ვალოდია, ვასიამ კი უბრალოდ გაიღიმა.

— სედელკინი, — დაემოწმა არკადი პეტროვიჩი, თან თვალები უცინოდა, ცოტა მოიცადა და დაუმატა: ან თემურ გარაევი.

— ეს სომ მართალი არ იქნება, — თქვა ვალოდია და თავისი ნათქვამის თვითონ შეეშინდა, — თემური ჯერ კიდევ ბიჭუნაა.

— შენ და ვასიაც სომ ბიჭუნები ხართ, — უპასუხა გაიდარმა, თან ვალოდიას მუხლებიდან თავისი რვეული აიღო და ჩანთაში დაუწყო ჩატენა. — ბიჭუნები ხართ, მაგრამ სადარაჯოზე დგახართ, სახლს იცავთ; ესმარებით ალყაში მოხვედრილ ხალხს; კიდევ, ვინ იცის, რისი გაკეთება მოგიწევთ!

გაიდარს სველა აუტყდა. ვალოდია კატასავით ჩამოხტა ღუმელიდან და რკინის დიდი ფინჯნით გაგრილებული, მაგრამ ჯერ ისევ თბილი ჩაი მიუტანა. არკადი პეტროვიჩმა სულმოუთქმელად გადაჰკრა.

— კიდევ მაჩვენეთ გორკის ხელმოწერა, — სთხოვა ვალოდია.

არკადი პეტროვიჩმა ისევ გაიხსნა გიმნასტურის ჯიბე და ჯერ ბრტყელულუიანი, ძვლით გაწყობილ სახელოურიანი პატარა ნიკელის ვალტერი ამოაძვრინა, მერე კი — ტყავის წიგნაკი.

ვალოდიას და ვასიას ერთი თვის მანძილზე ბევრი იარაღი სჭვრიათ ხელში — ჩვენიც და ნადავლიც. პაწაწა ვალტერი რომ დინახეს, რომელიც მხოლოდ ასლო მანძილზე ვარგა სასროლად, ვასიას გაეცინა:

— რად გინდათ ეს პისტოლეტი? ბელურებზე სანადიროდ? თქვენ სომ პარაბელუმი გაქვთ?

— პარაბელუმი მტრისთვის არის, — უპასუხა არკადი პეტროვიჩმა, — ეს კი სათამაშოა, — და ვალტერი ისევ ჯიბეში ჩაიღო, — ჩემთვის მაქვს, ალყის დროს ყველაფერი შეიძლება მოხდეს.

ორლოვის რაზმში გაიდარი გულჩათხრობილ კაცად ითვლებოდა. სინამდვილეში არკადი პეტროვიჩი უბრალოდ უფრო თავშეკავებული და ჩუმი გახდა ფრონტზე. დღევანდელი მოულოდნელი გულანდილობის მიზეზი კი სახლის სტუმართმოყვრული სიმყუდროვე, ცხელი ჩაი, ზურგგვერდში ცხელი აგურები და გულლია, ჭკვიანი, ცნობისმოყვარე ბიჭების მომხიბვლელობა იყო.

რაც არ უნდა ეფიქრათ და ეთქვათ მასზე, იგი მხოლოდ ბავშვებთან გრძნობდა თავს თავისუფლად, ესმოდა მათი და სწამდა, რომ მათაც ესმოდათ მისი.

...ვალოდიას გორკის ხელმოწერის ნახვის სურვილი დაეკარგა და „სსრკ მწერალთა კავშირის“ წიგნაკი დაუბრუნა გაიდარს. გაიდარმა გამობერილი ჯიბე შეიკრა და თვალები დახუჭა. ძალიან ეძინებოდა.

ვასიამ შიშველი ფეხი სკამზე ჩამოდგა და იატაკზე გადმოვიდა. ვალოდია კი ისევ იჯდა. მხოლოდ ამ წუთში მისვდა, რომ მათ სახლში არკადი პეტროვიჩის გამოჩენით გა-





მოწვეული დღესასწაული სინამდვილეში დიდი სასიკვდილო საფრთხე იყო გაიდარისთვისაც და საერთოდ ყველა სტუმრისთვისაც. ნიკელის ვალტერი, რომელიც ჯიბეს ბერავდა, დღეში ათჯერ მაინც აგონებდა მწერალს თავის სასტიკ ვალს.

ვალლოდიას, მდიდარი წარმოსახვის წყალობით, არ ეძნელებოდა წარმოედგინა: აი, ის ლუმელზე ზის. იქვე თვლებს გვერდზე გადაბრუნებული, ქურქწამოსურული გაიდარი. დიდ ოთახში, მაგიდასთან აუჩქარებელი საუბარი და ჭურჭლის წკრიალი ისმის.

უცერად ოთახში ვასია შემოვარდება და დაიყვირებს:

„გერმანელებმა სახლს ალყა შემოარტყეს!“

სტუმრები იარაღს მისწვდებიან, კართან და სარკმელთან დადგებიან. ვალოდია იატაკქვეშ ჩაძვრება — არა, კი არ დაიმალება, მშობლების მიერ გადამალულ ორ ხელყუმბარას და შაშხანებისა და პისტოლეტების ვაზნებით სავსე მონპანსიეს თუნუქის მაღალ ქილას გამოიტანს.

და აი, ლამპა აღარ ანთია. მიწები ჩამსხვრეულია. ოთახი წამით ნათდება შაშხანებიდან და პისტოლეტებიდან გამოსროლილი ცეცხლით.

ვალოდია გაიდარისაკენ მიხრახვს, ის სარკმელთან დგას და, თითქოს ტირიში იყოს, აუჩქარებლად ირჩევს სამიზნეს, ისვრის პარაბულუმს.

„არკადი პეტროვიჩ“, — ჩურჩულებს ვალოდია და თავის არსენალს აწვდის.

„ყოჩაღ, — აქებს გაიდარი, ვალოდიას იარაღს ართმევს და იმწამსვე სარკმლიდან ხელყუმბარას ისვრის. — დაწევი!“

ბრძოლა სულ უფრო სასტიკი ხდება. გაიდარი ვალოდიას თავისთან უხმობს, ხელში რაღაცას უდებს და თითებს უშუჭავს.

„მოსკოვში წაიღებ, — ესმის ბიჭს არკადი პეტროვიჩის გაციებული ხმა, — მხოლოდ მიხეილ ივანეს ძე კალინინს მისცემ ხელში.“

პისტოლეტის მორიგი სროლის დროს ვალოდია ასწრებს თითების

გაშლას — ხელში მუშისა და გლეხი ქალის გამოსახულებიანი მძიმე ოვალური საგნი უჭირავს წარწერით — „საპატიო ნიშანი“.



გელოლა

„მაგრამ უცნაური ამბები დატრიალდა რაზმის ირგვლივ... ერთხელ, ღამის წყვილიაღში, როდესაც დარაჯები თავიანთი შაშხანების ხიშტის წვერებსაც კი ვერ ხედავდნენ, უცერად საბრძოლო განგაში ატყდა, თურმე მტერი უკვე ახლოს მოფოფხებულებოდა.“

არკადი გაიდარი.
„მელოლის ბუდი“.

მეტყვევის სახლში გაიდარის პირველი გამოჩენა მე სამი ადამიანისაგან შევიტყვე: ანა ანტონოვანს, ლელია და ვასილ შვაიკოებისაგან, რომლებთანაც შეხვედრა ჩვენ კიდევ მოგვიხდება. სწორედ მათგან გავიგე: როგორც კი არკადი პეტროვიჩი გამოჯანსაღდა და პარტიზანებთან ქოხში დაბრუნდა, იმავე დღეს ტყიდან ნაშუადღევის სამ საათზე ვალოდიამ მოიბრძინა.

— ხოვაიტე ედუ — გერმანელები! — იყვირა კარიდან და გაიქცა.

— შენ სად მიდიხარ?! — შეეშინდა ანა ანტონოვანს.

ვალოდიამ, მეზობლებს რომ არ გაეგონათ, მხოლოდ ტუნებით ანიშნა:

— ქოხებისაკენ.

ორლოვის ჯგუფი შვაიკოს მთიანეთში დაანაწილებით ოთხ კილომეტრ მანძილზე იდგა. ალექსანდრ დიმიტროვიჩის მონაყოლიდან ვიცი, რომ ვალოდია ტყვიასავით შევარდა რაზმში, ეტყობოდა, მთელი გზა შეუჩერებლივ ერბინა — სახე მიტკალივით ჰქონდა გათეთრებული, ფილტვებში დარჩენილი ჰაერი მხოლოდ ერთი სიტყვის სათქმელად ეყო:

— გერმანელები!..

გაიდარი იქვე აღმოჩნდა.

— არ გაჩერდე, იარე, — უთხრა მან ვალოდიას, მასთან ერთად ტყის პირას ორჯერ დაარტყა წრე და მხოლოდ მერე ჰკითხა: — რამდენი არიან?

მაგრამ ვალოდიამ თავი გააქნია, ძალა არ ჰყოფნიდა, რაიმე ეთქვა. არკადი პეტროვიჩი დაეხმარა:

— სამასი, ორასი, ასი?..

— ასზე მეტი!..

— ესე იგი ორმოცდაათზე მეტი არ იქნებიან, — მიხვდა გაიდარი.

— კოცონებს წყალი დაასხით, ტყეში შევედივართ, — ბრძანა პოლკოვნიკმა.

— სად ნახე? — ჰკითხა ვალოდიას გაიდარმა. — აქედან შორს არიან?

— მამამ ხოცკში გამგზავნა დავალებით. მე პირდაპირ სანადირო ბილიკებით გადავჭერი გზა, ვხედავ, ფორნები მოდიან. თან ხმებიც გავიგონე, მაგრამ რას ამბობდნენ — ვერ გავარჩიე. გზის პირას მივიპარე. ვხედავ, ფორანი დგას, ლაქებიანი ბრეზენტი ახურავს. ერთ ადგილას ბრეზენტიდან ტყვიამფრქვევს გამოუყვია ლულა. ფორნებს გვერდით ჯარისკაცები მოჰყვებიან. უკვე კარგად ისმის, რას ლაპარაკობენ...

— რას ლაპარაკობდნენ?! — ჰკითხა მოთმინებადაკარგულმა არკადი პეტროვიჩმა.

— ძალიან სწრაფად ლაპარაკობდნენ. ვერაფერი გავიგე. მხოლოდ „Hutte“ და „Ragerfeuer“ გავარჩიე — „ქოხი“ და „კოცონი“. ამას ჯერ კიდევ სკოლაში გავდიოდით, თემაში „ბიონერული ზაფხული“.

...პოლკოვნიკ ორლოვს მოაგონდა, რომ დროის მცირე მონაკვეთში ვალოდიამ სამჯერ გააფრთხილა



დიდი, პარტიზანულ რაზმში მფრინავებიც იყვნენ. სრულიად შესაძლებელი იყო, ხელში ჩაეგდოთ ერთი ან ორი სტრანსპორტო მოვითმფრინავი, — „იესუს-52“, რომლებითაც ალყაში მოქცეულ რამდენიმე ათეულ მებრძოლს შეეძლო ფრონტის ხაზზე გადაფრენილიყო.

— თუ დაგაკავენ, — არიგებდა არკადი პეტროვიჩი, — უთხარით, რომ ამხანაგებთან მიდიხართ ლეპლიავოში. სახელები გასსოვთ? თუ გაჯავრდებიან, რატომ ტრიალებთ გადასასვლელთანო, მოიმიზეზეთ, — დედამ გამოგვაგზავნა იმის გასაგებად, შეიძლება, თუ არა გერმანელების ხიდიოთ კანევის ბაზარზე გადასვლაო.

გაიდარმა საათი შეიხსნა და ბავშვებს გაუწოდა: — დავალებიდან დაბრუნდებით თუ არა, დამიბრუნეთ.

ძმებმა საჭირო ცნობები მოიტანეს, მაგრამ კანევისკ აეროდრომზე თავდასხმის განხორციელება არკადი პეტროვიჩმა ვერ მოასწრო...

ხალიდან გაშვებული შესაძლებლობები

იცოდა თუ არა ვალოდიამ, რომ გაიდარმა ხელნაწერები მიხვილი ივანოვიჩის დაუტოვა? ყველაფრიდან ჩანს, რომ იცოდა.

ისინი სომ სშირად სვდებოდნენ ერთმანეთს. არკადი პეტროვიჩს კი შეეძლო ეთქვა ადიუტანტისთვის, რომ თავისი ქალღმერთის შენახვა სჭირდება და რჩევაც ეთხოვა. არ არის გამორიცხული, რომ სწორედ ვალოდიამ ურჩია გაიდარს, მათ სახლში დაეტოვებინა რეჟულები.

მეორე ვარიანტიც შესაძლებელია. იმ საღამოს, როდესაც არკადი პეტროვიჩმა ხელნაწერები ტყისმცველს გადასცა, ძმები ოთახში არ იყვნენ: სახლს იცავდნენ. ქუჩაში გამოსულმა გაიდარმა, შესაძლოა, ვალოდია დაინახა და უთხრა:

„ახლახანს მამაშენს რეჟულები დაუტოვე. სწორედ ის რეჟულები, შენ რომ გიჩვენე; თუ არ გაგიძნელებდა, გაუფრთხილდი, თუ ცოცხალი დავრჩი, გამომადგება“.

გაიდარმა რომ ვალოდიას მიმართა თხოვნით, ამას მოწმობს ვალო-

ისინი და ერთხელაც ვერ წაასწრეს პიტლერელებმა ბანაკს ქოხებთან.

ეს შემთხვევითი ამბავი არ იყო. ვალოდია, უნდა ვიფიქროთ, საიმედოდ იცავდა ბანაკს. ეტყობა, კარგად იცოდა სოფლებში არსებული ვითარება, ეტყობა, სულ უთვალთვალვდა გერმანელებს...

აი, როგორი განსაკუთრებული დამსახურებისათვის გახდა ვალოდია გაიდარის ადიუტანტობის ღირსი და უფლება მოიპოვა, როცა უნდოდა, მისულიყო ქოხებთან.

არკადი პეტროვიჩი დაუმეგობრდა ბიჭუნას. მათ შორის რამდენიმე ხანგრძლივი და სერიოზული საუ-

ბარი გაიმართა. რაზე?.. ამას, ალბათ, ჩვენ უკვე ველარასოდეს გავიგებთ.

ერთხელ არკადი პეტროვიჩმა ძმებს სერიოზული დავალება მისცა: ლეპლიავოში წასულიყვნენ და დნებრზე გადებულ პონტონის ხიდზე მოენდინათ დაკვირვება. გაიდარს უნდოდა გაეგო, რამდენი ჯარისკაცი იცავდა გადასასვლელს, რამდენ ხანში იცვლებოდნენ ისინი, სად პქონდათ განლაგებული ტყვიამფრქვევები.

არკადი პეტროვიჩი კანევის აეროდრომზე თავდასხმის გეგმას ამუშავებდა. კანევის გარნიზონი არ იყო



დიას მხოლოდ ერთი წერილი, რომელსაც უჩვეულო ისტორია აქვს.

როგორც გვახსოვს, 1942 წელს ჯერ ვასია შვაიკო, მერე კი მისი უმცროსი ძმა პოლოცოვამ გერმანიაში გაასახლა. ვალოდინა ისე წავიდა, შინიდან ერთი კარტოფილიც კი არ წაუღია. დედას ეშინოდა, გზაში შიმშილით მოკვდებოდა.

მაგრამ არ მომკვდარა. მასთან ვაგონში რომ ბიჭები და გოგონები მგზავრობდნენ, თავიანთ მცირე საკვებს უნაწილებდნენ ვალოდიას.

სულ ცოტა ხნის წინ ვლადიმერ შვაიკო ავღაღაგოვიური ტექნიკუმის სტუდენტი იყო, კომკავშირელი, მამის თანაშემწე და გაიდარის ადიუტანტი. ახლა ყველანი ერთად მიჰყავდათ ისეთი მატარებლით, როგორითაც წინათ საქონელი გადაჰყავდათ. გერმანიაში კი საგანგებოდ შექმნილ ტუსადთა ბაზარზე საგანგებოდ ახალ ხელობას დაუფლებული ვაჭრები ცალობით ყიდდნენ უკრაინიდან ჩამოყვანილ „აღმოსავლელ მუშებს“ ფაშისტ-მონათმფლობელებზე.

„აღმოსავლელი მუშები“ განთიადიდან დაღამებამდე მუშაობდნენ. მათ ცუდად ატყვევდნენ, მაგრამ მტანჯველ დაღლილობაზე და შიმშილზე უარესი იყო ყოველ წუთს მიყენებული დამცირება. ზოგიერთები ვერ იტანდნენ, მაგრამ ვალოდინა უძლებდა და სხვებსაც ესმარებოდა, ატანათ.

ყოველ საღამოს, ძილის წინ ის თავის თავს და ამხანაგებს უამბობდა სახლში წაკითხულ წიგნებს. ომამდე არც ისე ბევრი ჰქონდა წაკითხული, ამიტომ ზოგიერთ რომანსა და მოთხრობას რამდენჯერმე ყვებოდა. განსაკუთრებით ხშირად სთხოვდნენ ეამბნა სტივენსონის „განძობა კუნძული“, ვოინიჩის „კრაზანა“ და გაიდარის „მედოლის ბედი“.

ფაშისტურ ტყვეობაში ვალოდინა წელიწადნახევარი იმყოფებოდა. საბედნიეროდ, რამდენიმე მეგობართან ერთად გამოქცევა შეძლო; ისინი რამდენიმე თვეს იმალებოდნენ და მერე საბჭოთა არმიას შეუერთდნენ.

ვალოდინა მოხალისედ შევიდა არ-

მიაში, და ძველი წითელარმიული ფორმა და სამკუთხა ხიშტიანი გაქერცილი შაშხანა მიიღო.

მაღე ბატალიონში გამოაცხადეს, — ხვალ შეტევაზე გადავდივართ.

„ბრძოლაში ყველაზე საშინელი დრო შეტევაზე გადასვლის მოლოდინია“, — წერდა პოეტი-ფრონტელი გუტენკო.

რას აკეთებდა ასეთ მძიმე საათებში, ბრძოლის წიწ, რიგითი ვლადიმერ შვაიკო? იგი წავიდა, სამხედრო ავტოფურგონში იყიდა წერილკონვერტი, ესე იგი რვეულის ფურცლისხელა მაგარი ქაღალდის ფურცელი, რომელიც ორად იკეცებოდა. მისი ერთი მხარე სახაზავით იყო დანაზული, რომ დაწერილიყო სად და ვის ეგზავნება ბარათი, აგრეთვე გამგზავნის მისამართი. დანარჩენი ადგილი კი ტექსტისათვის იყო განკუთვნილი.

იმავე ფურგონში იყიდა ვალოდინამ სასკოლო კალმისტარი და ბოთლი მელანი. მოძებნა მყუდრო ადგილი და წერილის წერას შეუდგა.

მისაილოვკაში მარტოდ დარჩენილ დედას და დას კი არ სწერდა წერილს, ან ნათესავებს ბერდიჩევში, მოსკოვში გასაგზავნად წერდა.

ვალოდიას გაგზავნილმა წერილმა მშვიდობით ჩააღწია ადგილზე, ფრონტის გზებზე არ დაკარგულა. ახლა ეს წერილი ძვირფასი ისტორიული დოკუმენტია. აი, ისიც:

„მოსკოვი.

საბჭოთა მწერლების კავშირი.

ძვირფასო მეგობრებო!!!

ძალიან ვთხოვთ შემატყობინოთ არკადი გაიდარის ბედი... მე მისი ახლო მეგობარი ვიყავი 1941 წელს, ოქტომბერში...

გერმანელების მიერ ქალაქ კიევის ოკუპაციის დროს მწერალი ამხ. გაიდარი კიევთან ახლოს იმყოფებოდა, საიდანაც წითელი ჯარის ნაწილებთან ერთად ჩვენს ტყვეობაში მოხვდა. სწორედ აქ გავიცანი იგი.

აქ არკადი გაიდარი დაუკავშირდა ჩვენს ადგილობრივ პარტიზანულ რაზმს. რაზმში იგი თითქმის ერთი თვე იმყოფებოდა.

ნოემბერში, ერთ-ერთ ტბაზე, ამ რაზმის ხელმძღვანელთან ერთად

იგი მძიმე ვითარებაში მოხვდა. მაგრამ ზოგიერთი ცნობით ამხ. გაიდარმა გააღწია მტრის გარემოცვიდან და დაიშალა. ამის შემდეგ მისი ასავალ-დასავალი ვეღარ შევიტყვე.

ჩვენს ტყვეში ყოფნისას არკადი გაიდარმა მთხოვა, წითელი არმიის მოსვლის შემდეგ მომეწერა თქვენთვის (ხაზგასმა ჩემია — ბ. კ.).

ვთხოვთ მომწეროთ, იქნებ თქვენ მაინც იცით რაიმე მის შესახებ.

3. შპანიკო“.

ვალოდიას ვერსიაში, თუ რა მოუვიდა გაიდარს, ნათლად გაისმის ტრაგიკული ამბის გამოძახილი:

1) 1941 წლის ოქტომბრის ბოლოს ლეპლიავის გარეუბანში ხუთი პარტიზანი შეეჯახა ჩასაფრებულ გერმანელებს, ერთი მათგანი დაიღუპა, დანარჩენებმა მოახერხეს გაერღვიათ მტრის გარემოცვა;

2) ნოემბრის პირველ რიცხვებში „პარტიზანული რაზმის უფროსი“, ორი ამხანაგით, მართლაც მოხვდა „მძიმე ვითარებაში“: მათ დაედევნენ, დაიჭირეს და დახვრიტეს.

წარმოედგინა თუ არა ვალოდიას, რომ გაიდარი დაიღუპა? დიას, მხოლოდ ზოგიერთი მონაცემების მიხედვით — „არკადი პეტროვიჩმა გარღვია... და დაიშალა“. თუმცა არსებობდა სხვა ცნობებიც, რომლებიც ვალოდიას სასწაულის იმედს აძლევდა. მოკლე წერილში (წერილი ასოებით დაწერილი ერთი ფურცელი) იგი ორჯერ ითხოვს შეატყობინონ მას „არკადი გაიდარის ასავალ-დასავალი“.

მიუხედავად ხმებისა და, იქნებ, მიუხედავად ნამდვილი ფაქტებისა, მას კიდევ ჰქონდა იმედი, ეგებ მწერალი ცოცხალი გადარჩაო. ეს არ იყო მარტო ძლიერი სურვილი. შესაძლებელია, ვალოდიას და გაიდარს თავისი საქმეები ჰქონდათ და ადიუტანტს საჭიროდ მიაჩნდა მოესხენებინა მათ შესახებ. ყოველ შემთხვევაში, ერთი მისთვის დატოვებული დავალება — წერილი გაეგზავნა მწერალთა კავშირში — მან, რამდენადაც შეეძლო, სწრაფად შეასრულა.



უნდა ვიგულისხმოთ, რომ ასეთივე პასუხისმგებლობით შეასრულებდა ის სხვა დავალებებსაც, თუკი საერთოდ არსებობდა რაიმე სხვა დავალება.

მოსკოვიდან ვალოდიას იგივე უპასუხეს, რაც დედამისს — რომ, არაოფიციალური ცნობებით, არკადი პეტროვიჩი დაიღუპა. ვალოდიას სთხოვდნენ უფრო ვრცლად მოეთხროთ გაიდარის ცხოვრებაზე მტრის ზურგში და იმაზეც, თუ რომელ საბრძოლო ოპერაციებში იღებდა მონაწილეობას არკადი პეტროვიჩი, როცა პარტიზანულ რაზმში იმყოფებოდა.

მაგრამ რიგითი შვაიკოსაგან მწერალთა კავშირში მეტად აღარც ერთი სიტყვა არ მოსულა. ან სადმე დაიკარგა პასუხი მოსკოვიდან, ან დედაქალაქამდე ვერ მოაღწია ვალოდიას მეორე წერილმა, ანდა, რადგან გაიდარი დაიღუპა, ვალოდიამ საჭიროდ აღარ ჩათვალა შემდგომში მიწერ-მოწერა.

ერთი სიტყვით, მოხდა ტექნიკური შეუთანხმებლობა, რომელიც შეიქნა იმის ერთ-ერთი მიზეზი, რომ ომის დასასრულს და გამარჯვების შემდეგაც ერთხანს არ მოიძებნა მეტყვევ შვაიკოს სამალავი.

მოსკოვში ხომ გაიდარის შესახებ ყოველ სიტყვას ყურადღებით სწავლობდნენ. უფრო ვრცელ წერილში ვალოდიას შეეძლო ეხსენებინა გაიდარის ქაღალდები, რომლებიც მან მამას დაუტოვა, ანდა უბრალოდ რაღაც საიდუმლო სამალავი.

ამ სიზუსტეს აუცილებლად მიაქცევდა ყურადღებას ლებლიავოში თავისი გამგზავრების წინ კაპიტანი ბაშკიროვი და წვრილად გამოჰკითხავდა ანა ანტონოვნას, რომელსაც მინაილოვკაში შეხვდა.

მაგრამ...

...მამაცურად იბრძოდა ვალოდია. ქვეითი ჯარიდან იგი სატანკო ნაწილში მოხვდა. მანქანა დაუმტერივს. თვითონ ვალოდია ორივე ფენში მძიმედ დაიჭრა. ბედნიერი შემთხვევით გადაურჩა ამპუტაციას. გამოჯანსაღების შემდეგ მარშალ კ. როკოსოვსკის პირად დაცვაში გაიგ-

ზავნა, მაგრამ წინა ხაზზე გაგზავნა ითხოვა — იგი ოცნებობდა მოეძებნა და იქნებ გაეთავისუფლებინა კიდევ ძმა, მაგრამ ვასია ვალოდიას ფრონტზე არ შეხვედრია. დაიჭრა მეორეჯერ, მერე შესამეჯერ... უკანასკნელად — უკვე გერმანიის მიწა-წყალზე.

ანა ანტონოვნა ომის დამთავრების შემდეგ ლვოვში დასახლდა. მალე მასთან გადავიდა ვალოდიაც.

1961 წელს მოსკოვში საბავშვო ლიტერატურის გამომცემლობამ გამოსცა კრებული „ა. პ. გაიდარის ცხოვრება და შემოქმედება“. მასში პირველად დაიბეჭდა ა. ფ. ბაშკიროვის ანგარიში, სადაც ნახსენები იყო შვაიკოს ოჯახი. ნათქვამი იყო, რომ პარტიზან გაიდარს დღიურები და ხელნაწერები პქონდა, რომლებიც მისი დაღუპვის შემდეგ გაქრა.

მაგრამ ვალოდიას ეს წიგნი ხელში არ ჩავარდნია... და ერთხელაც არავის უკითხავს ყოფილი ადიუტანტისთვის: „ვლადიმერ მინაილოვიჩ, მეტყვევ შვაიკო, რომელსაც გარემოცვის დროს ხვდებოდა გაიდარი, შემთხვევით, თქვენი ნათესავი ხომ არ არის?“

„გაიდარის პოლკი“

1965 წელს ეიტომირის ოლქში, ვასილი მინაილოვიჩ შვაიკოსთან მივიდიოდი, ჩემთვის ეს იყო უკანასკნელი იმედი, რაიმე გამეგო მამამისის სამალავის შესახებ.

მაგრამ მომავალი შესვედრა სხვა რამის გამოც მალეღებდა. მე ბევრი გამეგონა ბავშვებთან გაიდარის მეგობრობის შესახებ. ამაშიც იყო რაღაც გასაოცარი საიდუმლოება.

სადაც არ უნდა ჩასულიყო არკადი პეტროვიჩი — პერმში, არხანგელსკში, ხაბაროვსკში, მოსკოვში თუ რომელიმე მიყრუებულ სოფელში, ერთი-ორი დღის შემდეგ მის გარშემო უკვე ტრიალებდნენ მასთან საიდუმლო საქმეებით დაკავშირებული ბიჭები. გაიდარის ერთი სიტყვაც კი საკმარისი იყო, რომ თითოეულ მათგანს თავგანწირულად შეესრულებინა ყოველგვარი დავალება.

მწერალი რუვიმ ფრაერმანი იყო-

ნებს: ჯერ კიდევ ოცდაათიანი წლებში, დასაწყისში, როდესაც ვალოდიას რის სახელი ჯერ კიდევ არ იყო დიდად ცნობილი, საკმარისი იყო არკადი პეტროვიჩი სახლიდან გამოსულიყო, რომ საიდანღაც გაჩნდებოდნენ ბიჭები, სამხედრო წესით წარუდგებოდნენ და ეკითხებოდნენ:

— არკადი პეტროვიჩ, არავითარი ბრძანება არ არის?

გაიდარიც უპასუხებდა:

— დღეს არ არის. თუ იქნება — დაგიძახებთ. წადით თქვენი საგუშაგოებისაკენ.

„სად იყო ეს საგუშაგოები, ან რა საგუშაგოები იყო, გაუგებარია“, — დასძენდა ფრაერმანი.

ერთხელაც საჭირო გახდა ბავშვების დახმარება. მაშინ გაიდარი მივიდა ფანჯარასთან, რომელიც ქუჩაში გადიოდა, გამოაღო და რამდენჯერმე ფრთხილად დაუსტვინა. უკვე მოსკოვური საღამო იდგა, თითქოს ვერავის უნდა გაეგონა ქალაქის სმაურში ეს სტვენა, მაგრამ სულ მალე შემოსასვლელთან ზარის სმა გაისმა, კართან თორმეტი წლის ბიჭი იდგა:

— არკადი პეტროვიჩ, თქვენი ნიშანი გავიგონე და ბრძანების მისაღებად გამოვვარდი.

— არის თქვენთვის დავალება, — უპასუხა გაიდარმა. — ყველა თქვენგანს გაძლევთ საბრძოლო ბრძანებას...

ბიჭების დახმარებით იმ დღეს შესაძლებელი გახდა დაღუპვას გადარჩენილიყო ხანში შესული ადამიანი, ნიჭიერი მწერალი, რომელიც მძიმედ ავად გახდა და სუსტი გული პქონდა.

მაგრამ საოცარი ის იყო, რომ იგივე სურათი განმეორდა ომის დროსაც.



ანამსხვით... სკოლაში

„შეუძლებელია დაითვალოთ, რამდენი „ადიუტანტი“ ჰყავდა გაიდარს იმ ჩვენთან ვრთად განვლილ გზაზე (მტრის ზურგში — ბ. კ.), — იფონებდა პოლკოვნიკი ა. ორლოვი. — საკმარისი იყო მისულიყო არკადი პეტროვიჩი რომელიმე სოფელში, რომ მის გარშემო სხვა, თუ ის იქ იყო, არავინ არ სწამდათ. თავს ამოყოფდა, როგორც სოკოები იზრდებიან წვიმის შემდეგ, ვინმე პეტრო ან გრიშო და დიდი ხალისით ატყობინებდა, რა მდგომარეობაა სოფელში, ან რამდენი გერმანელია შიგ.

შეიძლებოდა გეფიქრა, თითქოს გრიშო საგანგებოდ იჯდა და გველოდა, ბოლოს და ბოლოს როდის გამოვჩნდებოდით.

უსაზღვროდ მაცოცხდა არკადი პეტროვიჩის ეს ნიჭი, წამში რომ იხვეჭდა ბავშვების ნდობას — ხუთი წლის პატარებიდან დაწყებული კომკავშირელებამდე. მით უმეტეს, რომ ასეთ დროს არავითარ საალერსო და კეთილ სიტყვებს მათ არ ეუბნებოდა; პოდა, მაინც გუნდებდნენ უხვოდ გარშემო“.

ნახევრად ნაცნობმა ბიჭებმა — კომკავშირელებმა, არკადი პეტროვიჩის თხოვნით, პიტლურელების მიერ აღყაშემორტყმული სემიონოვსკის ტყიდან დაჭრილები ფორნებით გამოიყვანეს, ამან საშუალება მისცა პოლკოვნიკ ორლოვს და გაიდარს რკალიდან გაეყვანათ ყველა, ვისაც კი იარაღის ტარება შეეძლო...“

ბიჭები ხომ საკუთარ სიცოცხლეს სწირავდნენ.

რატომ გამახსენდა ყველაფერი ეს ჟიტომირისაკენ მიმავალ გზაზე? აქამდე გაიდარის „ადიუტანტებზე“ მხოლოდ რაღაც გაშეგონა, ახლა კი მომელოდა ნაცნობობა ყოფილ ბიჭუნასთან, რომელიც თვითონ ასრულებდა არკადი პეტროვიჩის მიერ მიცემულ საშიშ დავალებებს.

ვფიქრობდი: „ერთიც ვნახოთ, ვასილი მისაილოვიჩმა თავისი საკუთარი შთაბეჭდილებით და შეგრძნებით ახსნას, რაში მდგომარეობდა გაიდარის მიმზიდველობა?“

მე თვითონ ხომ ერთხელაც არ მინახავს არკადი პეტროვიჩი.

თარგმნა დოდო პადაშკორიაშვილი

ხუთშაბათობით ერფურტელი (გდრ) მოსწავლეები სკოლაში ჩანთებითა და ანკესებით მიდიან. არ გეგონოთ, ვითომ სასერიწოდ მიისწრაფოდნენ. საქმე ისაა, რომ, ზოგიერთ სკოლაში ახალი ფაკულტატიური საგანი — სპორტული თევზაობა შემოღებული და ბავშვებს ანკესები სჭირდებათ, როგორც სასწავლო ნივთი. მასწავლებლები, რომლებიც თავად აქტიური სპორტსმენ-მეთევზეები არიან, ხალისით უყვებიან მოსწავლეებს თევზებზე, მდინარეებსა და ტბებზე, ჰაერის დაბინძურებასთან ბრძოლის აუცილებლობის შესახებ, ასწავლიან თევზაობის წესებს. თეორიული კურსის გავლის შემდეგ იწყება პრაქტიკული მეცადინეობა. თევზაობის გავრცელებები ერთნაირად მოსწონთ ბიჭუნებსა და გოგონებს.



თითქმის უკვდავი

ეს საოცარი და მართლაც რომ უკვდავი ხე ბაობაბი (იგი 1000-4000 წლამდე ცოცხლობს) ყველასთვის კარგადაა ცნობილი. მისი ნაყოფისგან, რომელიც C ვიტამინსა და კალციუმს შეიცავს; ყავისებურ სასმელს ამზადებენ. ნაყოფის ჩენჩოსაგან დებულობენ საბონს, თესლებისაგან — მცენარეულ ზეთს, ფესვებისგან მკვებავ კრემს სახის კანისათვის. ხის ქერქის ბოჭკო ქაღალდის, ტანსაცმლის, წყალგამტარი ქუდებისა და ჭურჭლისათვის გამოიყენება. აფრიკის ცნობილი მკვლევარი დავით ლივინგსტონი წერდა, რომ თავისი თვალით ნახა, როგორ იწვა ერთმანეთზე მიყოლებით ბაობაბის ტოტებზე 20-30 კაცი.

ზოგჯერ ეს ხე მგზავრთა სადგომადაც გამოდგება ხოლმე.

ბოტსვანის ქალაქ კასანისში ბაობაბის ფულურო ადგილობრივ ციხედაც გამოიყენეს. ნამიბიაში კი ბაობაბის ფულუროში აბანოა მოწყობილი.

უჩვეულო პარკი

ინდოელი მოქანდაკე ნეკ ჩანდი 8 წლის განმავლობაში ქმნიდა ამ უჩვეულო პარკს, რომელსაც 16 ჰექტარი უკავია.




აქ მოთავსებული ასამდე ქვის ფიგურა ინდოეთის ისტორიის პერსონაჟებს ასახეობს. პარკის დამთავალიერებლებს ეგებებიან მითების გმირები და ღმერთები, ქვეყნის მმართველები და მათი მეუღლეები, მეომრები, მოციქვავები, მაიმუნები, იშვიათი ჯიშის ჩიტები...

წყალი საპარის წიაღიდან

უცნაურად მოგეჩვენებათ, საპარის უდაბნოს მორწყვა საპარის წყლითვე რომ მოხერხდეს, არა? მაგრამ ეს რეალური პროექტი გახლავთ. ჯერ კიდევ 60-იან წლებში ლიბიის უდაბნოში, ქალაქ სირირთან აღმოაჩინეს უზარმაზარი მიწისქვეშა წყალსატევი, რომელიც 20-40 ათასი წლის წინათ წარმოიშვა. სწორედ ამ ადგილებშია განზრახული 270 ჰაბურდილის გაბურღვა. აქედან წყალი ლიბიის, ტრიპოლისა და მხელთაშუა ზღვისპირა რაიონებში გადაიქაჩება. უკვე დაიწყო წყალსადენის მშენებლობა. რკინა-ბეტონის ქარხანა გამოუშვებს 72-ტონიან მილების სექციებს, რომელთა დამეტრი 4 მეტრი იქნება. მშენებლობის დამთავრება საუკუნის ბოლოსაა განზრახული.

ეტლი ბარბანტუსასთვის

მამზურგის ერთ-ერთი უნივერსალის მფლობელმა თავისი ფირმის რეკლამისათვის დაამზადებინა უზარმაზარი ეტლი, რომელშიც ერთდროულად... ოცი ბავშვი ეტევა.





პილი

მორი კორასონდენტთა ჟურნალი № 5

ბაკურიანში

გათენდა. ცივა. თოვლივით ქა-
თქათებს ნისლი.

ამომავალი მზე ნელა მოცურავს
რძისფერ ნისლში, თითქოს მზეთუ-
ნახავი ქალთევზა ბანაობდეს ზღვის
თეთრ ქაფში. ჩასვლისას მზე ოქ-
როს თავთავს ემსგავსება. მისკე-
ნაც ოქროსფერი ხალიჩა თითქოს
გაფენილი, არშიად „ზღვა“ აქვს. იგი
კობტა პირველსა და კობტა მეორეს
შორის დაუზოგავად აფრქვევს
თავის მცხუნჯარე სხივებს; რომ-
ლებიც თითქოს იმიტომ შეყვონე-
ბულან ბნელში დარჩენილ შუქურა-
სავით, რომ სიამოვნება მოგვანი-
ჭონ, გაგვხალისონ.

ტყეც... ლამაზია, მშვენიერი, შრი-

ალა და დუღუნა. მის სიმყუდროვეს
ფოთლების შეშფოთებული, ამაღე-
ლვებელი ჩურჩული მხოლოდ ხან-
დახან თუ დაარღვევს. სადღაც მის
სიღრმეში ცხენი ჭიხვინებს და ძა-
ლლი ყეფს.

ტყეში ბევრი სოკოა. მათი გამო-
ცნობა ადვილია, თუ ყველას „სახე“
იცი. დიახ, მათ ყველას საკუთარი,
განსხვავებული „სახეები“ აქვთ: ირ-
ემას უხდება ირემივით პატარა „რქე-
ბი“, იგი მუქი ყავისფერია. წერეწო
წეროსავით ერთ გრძელ ფეხზე
დგას, ქუდი გაშლილ ქოლგას მიუ-
გავს (რუსულად ასეც ეძახიან —
„Зонтик“). „Дождевик“-ს ქართუ-
ლად მეტად ულამაზო სახელი —
„ფშუკურა“ ჰქვია. ეს სოკო, სანამ
ახალია, თეთრია და როცა ლბობას
დაიწყებს, ყავისფერდება, მუქი ყა-
ვისფერი რომ გახდება, თუ ხელს
მოუჭერ, ბოლი ამოუვა. ასე დაბე-
რებულ ფშუკურა სოკოს აქაურები
„ბებიას ღუმელსაც“ ეძახიან. იგი
ტყისპირა მინდვრებზე ამოდის წვი-
მის შემდეგ: თითქოს წვიმის დედო-
ფალს ტყიდან გამოსვლისას მოლზე
გაუვლია და თავისი ნაფეხურები
ლამაზ, თეთრ ღილებად დაუტოვე-

ბიაო... მინდვრის ხატუნსავე
ჩი ფშუკურები თეთრ „როკოკოე-
ბად“ დაუბნევიან გულისპირზე...

ხომ ლამაზია ბაკურიანი ზამთარ-
ში, მაგრამ ზაფხულობით სულ
სხვაგვარად, ზღაპრულ ხალიჩად
გადაგვეშლება ხოლმე თვალწინ, ჯა-
დოსნურ სამყაროდ, რომელიც არა-
სოდეს მოგებზრდება...

მანია ნაღარაიშვილი,
თბილისი, მე-2 ექსპერიმენტული
სკოლა, VI კლასი.

ზამთარი

მოდგა თეთრი ზამთარი,
გადაპენტა მთა-ბარი,
თოვლი დიდზე დიდია,
ღამე მშვიდზე მშვიდია.

ფისო

ფისო, ფისო, პრანჭიავ,
ცხვირი დაგიმანჭავს.
კუდზე თავს უკუნია,
ველარ გაგიკლანჭავს.

დიდი ვოლოდინი

შემოდგომა იწურება,
გადაყვითლდა მთა და ველი,

აქტიური სიახლის კიბაზურია

— რა გვიკარნახა IX საკე-
შირო შეკრებამ? პიონერული
ორგანიზაციის განვითარების
პერსპექტივები; გაგვაცნო გან-
ვლილი გზის გაკვეთილები; გა-
გვაგებინა, თუ რა როლი შეას-
რულა რაზმეულის ცხოვრება-
ში შეკრების გადაწყვეტილე-
ბამ.

— რა გვასწავლა შეკრებამ?
გაბედულება, პრინციპულობა
და პირდაპირობა, — გვითხრა
კიროვის რაიონის პიონერთა
რაიონული შტაბის წევრმა,
67-ე სკოლის პიონერმა ხათუ-
ნა მონიაევამ.

თბილისის 1-ლი სკოლის სა-
აქტო დარბაზში შეკრებულ
აქტივისტთა მსჯელობის საგანი

იყო პიონერული მუშაობის ახ-
ალი ფორმების ძიება.

შეკრება-დისკუსია წარმა-
რთებლად დევიზით: „ვსწავ-
ლობთ თვითმმართველობას,
ვსწავლობთ დემოკრატიას“. მას
უძღვებოდა კომპაგვირის თბი-
ლისის საქალაქო კომიტეტის
მდივანი ქეთევან ქუთათელა-
ძე. ამ დღეს პიონერთა საქა-
ლაქო შტაბმა ძველი „ტრადი-
ცია“ იმიტაც დაარღვია, რომ
უღიშლამო პიონერული პატა-
კების წარმოდგენის ნაცვლად,
მისმა წევრებმა „მრგვალი მა-
გიდის“ გარშემო საქამათოდ
ბევრი მათთვის მტკივნეული
საკითხი გამოიტანეს: თუ რა-
ტომაა მოწყენილობა რაზმე-

ულში, რატომ აქვს მის ბევრ
წევრს უზრუნველი განწყო-
ბილება; როგორ ესმით პიო-
ნერებს თვითმმართველობა,
როგორია კომპაგვირული ხე-
ლმძღვანელობა პიონერები-
სადში.

გაგაცნობთ ზოგიერთი პიო-
ნერის გამოხატვას:

პაბატა პაბატაშიძე (თბი-
ლისის პიონერთა საქალაქო
შტაბის თავმჯდომარე): რატომ
დავარღვიეთ პატაკების წარ-
მოდგენის ძველი ტრადიცია?
იმიტომ, რომ უკვე მოგებზრ-
და პთელი რაიონის პიონერთა
ორგანიზაციის მუშაობაზე ზო-
გადი ანგარიშების მოხმენა.
ყველაფერს უფრო მოვალეო-
ბის მოხდის სურვილი ემჩნე-
ოდა. ვიდრე საქმის ნამდვილი
სიყვარული.

გიორგი წარიბლაშვილი
(თბილისის 1-ლი ექსპერი-

მენტული სკოლის რაზმეულის
საბჭოს თავმჯდომარე): კამათი
გამოიწვია ოქტომბრელების,
პიონერებისა და კომპაგვირე-
ლების ურთიერთობაში მემკვი-
დრეობითობის დარღვევამ.

სკოლაში გადაწყვეტიტთ,
რომ რაზმმა თავისი სურვილი-
თ აირჩიოს რაზმის ხელმძღვა-
ნელი. ამოირჩიონ ის, ვისაც
პიონერები ჭერ კიდევ თავი-
ანთი ოქტომბრელობის დროი-
დან იცნობენ. თანაც, ზოგჯერ
კომპაგვირის კომიტეტის მიერ
გამოგვანნილი კანდიდატურა
ვერ ამართლებს...

გიორგი თარბაშაძე (მე-18
საშუალო სკოლის კომპაგვირის
კომიტეტის მდივანი): ჩვენთან
მდგომარეობა ცოტათი შეიც-
ვალა. ყოველი კვირის პირველ
დღეს ვიწვევთ კომპაგვირის
კომიტეტისა და რაზმეულის
საბჭოს ერთობლივ სხდომას.

მერცხლები შორს გაფრენილან,
აპრილამდე აღარ ველი.

კახაბერ ჩხანიძე,
თბილისი, 69-ე საშუალო
სკოლა, IV კლასი.

ბაბია

ავადა გვეყავს ბებია,
გუშინ გაგვიციბია,
აბა, ჩქარა ვუშოვოთ,
რაც კი რამ წამლებია!
აფთიაქში გავრბივართ
წამლებისთვის ნორჩები,
— ნუ წახვალთო, — ბებიაბ, —
თქვენი ცქერით მოვრჩები!..

მანანა ბარანიძე,
თბილისი, 148-ე საშუალო
სკოლა, V კლასი.

მინდა სიცილი

„სიცილი, როგორც სუფთა ჰაერი,
მე მინდა ახლა...“

მ. ფოცხიშვილი

გული დარდისგან ჩაიფრფლა,
ჩაიღვენთა,
ცრემლებად დადნა.
გული დარდისგან დაიტანჯა და
სიცილი
მოსწყურდა ახლა.
მინდა სიცილი სმამაღალი,
წრფელი, გიჟური,

იქნება გალხევს გულში ეკლად
განხილული

ცრემლის ყინული.
მინდა ვიციხო, ვიხარხარო,
როგორც გრძნეულმა,
იქნება სძლიოს ცრემლს სიცილმა
ჩემმა, ველურმა.

„სიცილი, როგორც სუფთა ჰაერი,
მე მინდა ახლა...“

გული დარდისგან დაიტანჯა და
სიცილი

მოსწყურდა ახლა.

მამას

მე ვხატავ, ძვირფასო,
სავსეს სიყვარულით —
შენს სახეს მშვენიერს, ამაყს,
მე ვხატავ შენს თვალებს, —
ვხატავ მწვანე თვალებს,
თითქოს ცრემლიანს და ლამაზს.



ოთარ თოფურიძე, 8 წლის

მინდა ამ ნახატში გრძნობით
ჩავაქსოვო

შენი სიყვარული, მამა!
დღეები მიჭრიან და წლებიც ილევა,
შენ კი უბერებლად დგახარ,
ჩემო სანატრელო, ჩემო დარდიანო,
ჩემო საყვარელო მამა!

მარიამ სომხიშვილი,
გორი, მე-8 საშუალო სკოლა,
XI კლასი.



გ უ რ უ ლ ი

ბექა რამიშვილი

ყველას კონკრეტული საქმე
აბარია. ამ დროს განვიხილ-
ავთ. რა გაკეთდა და რა არა
რასმეუღლი. ვის სჭირდება
ყველაზე მეტად დახმარება.
თამარიკო შურაბია (ლე-
ნინის რაიონის პიონერული
შტაბის თავმჯდომარე): პიო-
ნერულ თვითმმართველობაზე
ბევრი რამ არის დამოკიდე-
ბული. ერთ მაგალითს მოვიყ-
ვან: ჩვენი რაიონის 183-ე
სკოლაში სრული პიონერული
და კომკავშირული თვითმმარ-
თველობაა. აქ ამასწინათ მო-
სკოვის 185-ე სკოლის მოსწავ-
ლეები იყვნენ სასწავლებლად
ჩამოსულები. ისინი ორ-სამ
თვეს დარჩნენ და თბილისე-
ლებთან ერთად სწავლობდნენ.
ჩვენ მოგვწონს ეს ფორმა.
...დისკუსიის დახასრულბს,
როცა შტაბმა ყოველივე გა-

ნიხილა, გაჩნდა კონკრეტული
წინადადებებიც:
მწე სკოლის რაზმეულის
საბჭოს თავმჯდომარემ ნიკა
ჯაშა უბის წიგნაკი გადაშალა
და თავისი ორი ჩანაწერი წა-
გვიკითხა: „რასმის ზელმძღვა-
ნელს მხოლოდ დემოკრატიუ-
ლი პრინციპით ავირჩევთ.
საანგარიშო შეკრებაზე ასარ-
ჩევ კანდიდატურას თავის სა-
მოქმედო პროგრამას მოვ-
თხოვთ, გავიგებთ, რას ფიქ-
რობს, როგორ ამირებს პიონე-
რების წინამძღოლობას, თანაც
ერთ ადგილზე ასარჩევო კან-
დიდატურა ერთი კი არა, აუ-
ცილებლად ორი და სამი იქ-
ნება. ავირჩევთ იმას, ვინც
შემდგომი მუშაობისთვის უფ-
რო საინტერესო პროგრამას
წარმოადგენს“.
ზომიარაძე პიონერული სა-
ქმე საინტერესო არ არის. რა-

ზმეული მას თავსმოხვეულად
თვლის. რაზმეულმა პიონერე-
ბის სურვილით უნდა აირჩიოს
თავისი საყვარელი საქმე.
თვითმმართველობა ბევრს
სწორად არ ესმის. დემოკრა-
ტია და თვითმმართველობა
ერთმანეთში ნუ გვერევა.
პიონერული ყელსახვევი
და სამკერდე ნიშანი სკოლაში
ყოველდღე უნდა ატარო, თო-
რემ როგორ მივხვდეთ, რომ
პიონერი ხარ? თუ პიონერულ
დავალბას არ ახრულებ, არა-
ფერს აკეთებ, მაშინ რატომ
გაკეთია პიონერული ყელსახ-
ვევი ან რატომ გქვია პიონერი?
უწრო მეტი საინტერესო.
კონკრეტული საქმე და არა
საზეიმო სიტყვები!
რას მოგვიტანს პიონერული
ცხოვრების ახალი ეტაპი? რა
არის ამისთვის საჭირო? მე-
რედა. რა გვიშლის ზელს? —



კამათი და საუბარი არ დამთა-
ვრებულა, იგი რაიონული შტა-
ბების შეკრებებზეც გაგრძელ-
დება. აქვე შეგახსენებთ ერთ
ადგილს პიონერთა IX საკავ-
შირო შეკრების გადაწყვეტი-
ლებიდან: „შეკრება იწონებს
საყოველთაო პიონერული დი-
სკუსიის შედეგებს და საქირ-
ოდ თვლის, მომავალშიც ჩა-
ტარდეს დისკუსიები ყველა პი-
ონერისათვის მნიშვნელოვანი
პიონერული პრობლემების გან-
სახილველად“.
ნათელა ფაილოძე



საქრებულო

იური ბოგდანოვი

ა-ა, თქვენ გინდობათ ჩვენი პიონერული ბანაკის დათვალეობა? მობრძანდით... სწორედ რომ კარგ დროს მოხვედით. ჩვენთან ახლა წყნარი საათია. აი, აქეთ, გეთყვება, ამ ბილიკზე. ფრთხილად, აქ წარწერაა: „დანაღმულია“. ოღონდ! ეგ ნუ შეგაშინებთ — ჩვენი მეხუთე-რაზმელი მხატვარი ასობის წერაში ვარჯიშობს აქ — შეკრებისათვის ვემზადებით.

ნუ შიშობთ ყურადღებას წარწერებს. მხოლოდ გარეშეებისთვისაა ეგ წარწერები უჩვეულო. გეგონებათ, ვიღაც არამზადამ სავანგებოდ ააჭრელა აქაურობა ხალხის დასაშინებლად. მაგრამ, გულახდილად გეტყვით, ჩვენი ბიჭები უამისოდაც ვისაც გნებავთ... აი, ხედავთ, ხეზე რომ ზის მშვილდისარმომარჯვებული?.. არა, იქით, მდინარის გადაღმა. მე მათ კილომეტრზე ვგარძნობ. გაივლის ზაფხული და თუნდაც ეგრევე მესაზღვრედ გამავგზავნონ, ვერც ერ-

თი გაშუში ვერ დამისხლტება. ძილშიც კი ნებისმიერ ფაჩუნს ვიგებ, წარამარა საწოლქვეშ ვიხედები, სულ რაღაც მეღანდება, ერთი სიტყვით, კურდღელივით ყურებდაცქვეტილს მძინავს... ნუ, ნუ შიშობთ ყურადღებას — ჩვენ არ გვესვრის. ეტყობა, ხუამოტოს ტომის ბელადს ჩუნგუმუნგუს ელოდება. მე ვიცი, იგი სადაც იმალება. მთელი დღე საკუჭნაოში ზის და ქათმებს პუტავს, ღამე კი თავსაბურავს იკეთებს. ჩამოვლენ მისი მშობლები და ველარც იცნობენ. ძალიან ნერვიული გახდა — ცდილობს დროზე მოასწროს, აი, იმ ორავანდით გამწვანებულა... აი, ისიც, სუფთა ჰაერზე გამოსულა... ამბობენ, შაბათს ბრძოლა უნდა იყოსო. მე კი... სწორედ ქალაქში მივდევარ საქმეზე და ექიმსაც მინდა ვეჩვენო...

აი, იქ, ბეტონის ჩარახულფანჯრებიან სახლში ჩვენი აღმზრდელები ცხოვრობენ. მართალია, დიდი ხანია აღარ მინახავს არც ერთი. როგორც ამასწინათ მითხრეს, ჯერ კიდევ ამ

გაზაფხულზე დეიდა მამა... საჭირო უზიდებოდა მათთან... აბა, უჩინ-ლით ხომ არ დაიხოცებიან?!

ფრთხილად, მავთულს არ დაადგათ ფეხი. აქ ორმოა... ღრმა არ არის. გუშინ აქ სპილოებზე ნადირობა გამართეს და ეს მახეც მათთვის მოაწყვეს. მე ვუთხარი, სად გაგონილა სპილოებისთვის ორმოს ამოთხრამეთქი. საღამოს კი ჩემთან მოირბინეს და მახარეს, მთელი მეოთხე რაზმი შიგ ჩაცვივდაო. თურმე ორმოცი კაცი სავანშოდ მიდიოდა სიმღერით, კიდევ კარგი, არავინ დაშავებულა. მხოლოდ ეგ არის, ჩვენი აღმზრდელი კლარა ივანოვნა არ აპირებს იქიდან ამოსვლას, ამბობს, მირჩევნია ისევ აქ მოგვკვდე, ვიდრე მიწის ზევითო.

აი, მოვედით კიდევ... თითქმის. როგორმე იმ სახლში უნდა მოვხვდეთ, თხრილი რომ აქვს შემოვლებული. ხიდზე თუ გადავალთ, მერე აღარაფერი გვემუქრება.

იქ კაბინეტი... მქონდა. ახლა მწვანე კუთხეა, ერთხელ შევიხედე, და რას! ვხედავ — ჩემს მაგიდასთან დათვი მოკალათებულა და ჩემსავე ქალღმერთს კითხულობს, მგელი კი... იქვე ტახტზე ნებივრობს და ტელე-

საქრებულოს მოყვარულთათვის

„მუდმივძრავიანი“ ავტომობილი

პირველკლასიელმაც კი იცის, რომ მუდმივი ძრავები არ არსებობს და მაინც მუდმივი ძრავის იდეა მოხვედრებას არ აძლევს ადამიანს. ბოდა, ჩვენც გადავწყვიტეთ... თუმცა ნუ ავჩქარდებით.

დახედეთ ჩვენს ნახატს. ამ უცნაური ფორმის ავტომობილს ჩვეულებრივ ოთხი წაცვლად, რვა ბორბალი აქვს, თანაც მათი ნახევარი სახურავზეა განლაგებული. უცნაური მანქანა მშვიდად დგას ადგილზე მანამ, სანამ არ გადააბრუნებენ. დიან, როგორც კი გადააბრუნებთ, მანქანა უშალ წინ გავარდება, ორ-სამ მეტრს გაივლის და შეჩერდება, თუ გვინდა კვლავ ავამოძრავოთ, ისევ უნდა გადავაბრუნოთ და ასე, რამდენიც გვინდა.

რით არ არის „მუდმივი“ ძრავა? არც ბატარები ჰქონდა და არც აკუმულატორები. ახლა კი გავარკვიოთ, როგორ არის მოწყობილი ეს ჩვენი მანქანა. მოგხსნათ გვერდითი კედლები და შევიხედოთ მანქანაში. მაშინვე მოგვხდება თვალში ორ შიგნით (ბორბალზე) და ორ უკანა — ზედა და ქვედა ღერძზე გადატარებულ ძაფზე ჩამოკიდებული მასიური ტვირთი — სიმძიმე. თუ ეს სიმძიმე წვეთითაა, იგი დაბლა დაშვებას იწყებს, ძაფს ახვევს და ბორბლებს ამოძრავებს. როცა სიმძიმე ქვედა შიგნით დამეშვება, მანქანა გაჩერდება. ხოლო თუ გადავაბრუნებთ, სიმძიმე კვლავ წვეთით მოექცევა და მანქანას ამოძრავებს. რა თქმა უნდა, ჩვენ ვიხუმრებთ, როცა მუდმივ ძრავაზე გვლაპარაკებოდით. აწუხ ტვირთს პოტენციური ენერჯის მა-

რაგი გააჩნია და სწორედ ეს მარაგი იხარჯება ავტომობილის გადასადგილებლად. სათამაშოს რომ ვაბრუნებთ, ჩვენ ტვირთსაც ვწევთ და კვლავ ვქნით მას პოტენციური ენერჯის მარაგს.

და მაინც ეს ჩვენი მანქანა იმით არის საინტერესო, რომ მასში ნათლად ჩანს პოტენციური ენერჯის კინეტიკურში გადახველის პრინციპი. როცა მანქანა დახურულია, ამას არც თუ ისე ადვილად მიხვდება კაცი, ისე, რომ შეგიძლიათ კარგი თავსატეხი გაუჩინოთ თქვენს მეგობრებს.

ახლა კი მოდით, საქმეს შევუდგეთ. პირველ რიგში დაგვირდებათ 4—6 მმ სისქის ფირფიცარი — მისგან მანქანის გვერდები გამოიხერხება. ასეთივე ფირფიცარისაგან გამოიხერხეთ მანქანის უკანა კედელი, წინა კედლის ელემენტები და ორი სახურავი — ქვედა და ზედა. კორპუსის დეტალების შეერთება შეგიძლიათ კოტებით და ნებისმიერი წებოთი (პვა, ბფ—2 ანდა კაუჩინის). გახსოვდეთ, რომ სახურავები სულ ბოლოს უნდა დააყენოთ, მას შემდეგ, როცა ყველაფერს მოათავებთ.

ტვირთის დასამზადებლად სასურველია რაიმე მძიმე ლითონი გამოიყენოთ — უმჯობესია ტყვია. ყველაზე მოსახერხებელი ფორმა კი ცენტრში გახვრეტილი დისკო გახლავთ.

ბორბლებად წყობიდან გამოსული საბავშვო სათამაშოს ბორბლები გამოიყენეთ. სასურველია, მათი გარე დიამეტრი იყოს არა ნაკლებ 50 მმ, ღერძები კი დაახლოებით 4 მმ სისქის იყოს.

ორი ბორბალიც 4 მმ ღერძზე მაგარდება. ძაფი ჯერ ტვირთ-დისკოს ნახვრეტში უნდა გაატაროთ და ხის კონუსური წკირით უნდა დაამაგროთ, შემდეგ ძაფი ორივე ბორბალზე გადაატარეთ, ორ-ორ-



ფონით კურდღელს პაემანს უნიშნავს.

თქვენ რა, ფერი დაკარგეთ? ნუ გეშინიათ, დერეფანში ვისაუბრებთ, თორემ აქ, ღია ცის ქვეშ, მგონი, რალაც მზე აცხუნებს... თქვენ როგორ ფიქრობთ?

მაგრამ შვიდამდე უნდა გავაღწიოთ აქედან. როგორც კი საყვირი ახმიანდება, დოლები ახმაურდება და კოცონის ალი მაღლა აიჭრება, ისინი შეუტევენ ხუამოტო კუეუკავის, ესე იგი, წითელკანიანები — თეთრკანიანებს, თავად მოგვხსენებთ. მე გალავანში საძრომი ვიცი. ასეთ დროს შეუმჩნევლად ტყეში ვიპარები ხოლმე. მიყვარს ბუნებასთან განმარტობა... განსაკუთრებით, სალამოს, როცა სიწყნარეა, თანაც არც მგელს გადავეყრები, არც დათვს. მხოლოდ პეპელა თუ აფრინდება, ან კალია დაიწრიბინებს, მაგრამ მე ესეც მაკრთობს.

რა მოგივიდათ, მიშველეთ! აღმნიანი ცულად გახდა! აი, რა — თქვენ აქ მომიცადეთ, მე კი გავიქცევი და რაციით ვერტმფრენს გამოვიძახებ. იქნებ როგორმე გააღწიოთ აქედან.

თარგმან სულხან ჯორჯანელი

ინსაზალიაჲ, რამაზ აბოთრი შვილი

კლასგარეშე



ინფორმაცია

დღეს შემოგთავაზებთ კიდევ ერთ თანამს: ავილოთ სამი თეფში და სხვადასხვა ზომის ხუთი მონეტა. შეიძლება — მანეთიანი, 50, 20, 15, და 10 კაპიკიანი მონეტები. დავალაგოთ ისინი თეფშზე შემდეგი თანმიმდევრობით: მანეთიანს ზედ დავადოთ 50, შემდეგ კი, მათივე ღირებულების კლების მიხედვით —

ერთ ჯერზე გადავადგილოთ მხოლოდ თითო მონეტა; მცირე ღირებულების მქონეზე არასოდეს არ მოვათავსოთ უფრო დიდი ღირებულების მონეტა; მონეტების დასაწყობად დროებით შეგვიძლია გამოვიყენოთ მეორე თეფშიც. ყველაზე ადვილია პირველი ორა

მათემატიკური



ინტერესი

20, 15, და 10 კაპიკიანი მონეტები. გადავწყოთ მონეტები მესამე თეფშზე, ოღონდ ისე, რომ არ დაირღვეს შემდეგი სამი პირობა:

მონეტის გადალაგება: ამისათვის 10 კაპიკიანი უნდა გადავდოთ მესამე თეფშზე, 15-იანი კი — მესამეზე. ახლა 20 კაპიკიანის გადასატანად გავათავისუფლოთ მესამე თეფშიც: 10 კაპიკიანი დავადოთ 15-იანს, ხოლო 20 კაპიკიანი გადავიტანოთ

ჯერ შემოატარეთ თითოეულ უკანა ღერძს და ერთ რგოლად შეჭკარით. შეამოწმეთ, ადვილად მოძრაობს თუ არა ტვირთი ზევით-ქვევით, კედლებს ხომ არ ეხება. გადააბრუნეთ მანქანა და ძირს დადგით, იგი ადვილად და მსუბუქად უნდა დაიძრას. წინ გადაბრუნებისას მანქანა გვერდზე წაწვინეთ, მერე ბორბალს ხელი მოკიდეთ და აწიეთ — ასე მანქანა მაქსიმალურად შესაძლებელ დისტანციას გაივლის.

როცა დარწმუნდებით, რომ ყველაფერი ნორმალურად მუშაობს, დაუყენეთ მანქანას ზედა და ქვედა სახურავები, მოუსუფთავეთ მოდელს პირაპირები და შედგით.



მესამე თეფშზე. მეორე თეფშზე და-
ლაგებული მონეტების მესამეზე გა-
დასაწყობად კი უნდა შევასრულოთ
სამი მოქმედება: 10 კაპიკიანი გადა-
ვიტანოთ მეორედან პირველ თეფშ-
ზე, 15 კაპიკიანი — მესამეზე, ბო-
ლოსკი კი, პირველიდან მესამე თეფშ-
ზე გადავიტანოთ 10 კაპიკიანი.

ამრიგად, პირველი თეფშიდან მე-
სამეზე სამი მონეტა უკვე გადავა-
წყვეთ. ანალოგიურად შეგვიძლია
მესამედან პირველ და მეორე თეფშ-
ზე სამი მონეტის გადაწყობაც. ორი-
ვე ამ შემთხვევაში, იგივე რჩება
მოქმედებების რაოდენობა და მათი
შესრულების რიგი. ოღონდ, არ უნ-
და დავივიწყოთ ჩვენი პირობა,
ე. ი. ის, თუ რომელ თეფშზე გვსურს
საბოლოოდ მონეტების გადატა-
ნა და დროებით მათ დასაწყობად
რომელს გამოვიყენებთ. ამიტომაც
შეგვიძლია ჩავთვალოთ, რომ უკვე
შეგვიძლია წინასწარ დასახელებულ
ადგილზე ნებისმიერი სამი მონეტის
გადაწყობა და, ასევე, მესამე თეფშ-
ზე დარჩენილი ორი მონეტის გადა-
ტანასაც შეგვიძლია უკვე შევუდგეთ:

გადავდოთ 50 კაპიკიანი მეორე
თეფშზე და ზედ დავაწყოთ 20, 15
და 10 კაპიკიანი მონეტები. მათი
გადმოტანა მესამე თეფშიდან არ გა-
გვიჭირდება, რადგანაც წინასწარ
დასახელებულ ადგილზე სამი მონე-
ტის გადატანის წესი უკვე ვიცით.
ამრიგად, გამოვიდა, რომ პირველი-
დან მეორე თეფშზე გადავალაგეთ
უკვე ოთხი მონეტა. გავიხსენოთ მე-
სამე თეფშზე ამ მონეტების გადა-
ლაგება: ამისათვის პირველი სამი
მონეტა უნდა გადავაწყოთ მეორე
თეფშზე, 50 კაპიკიანი დავდოთ მე-
სამეზე. და ბოლოს, მეორე თეფშზე
მოთავსებული ყველა მონეტა მესამე
თეფშზე გადავიტანოთ.

დარჩა ერთი ეტაპი: მანეთიანი
მონეტისა და შემდეგ, მეორე თეფშ-
ზე მოთავსებული მონეტების გადა-
წყობა მესამე თეფშზე. დარჩენილ
ოპერაციებს უფრო ადვილად შეას-
რულებთ, რადგან ერთი ადგილიდან

მეორეზე ოთხი მონეტის გადატანის
ხერხი უკვე იცით.

როგორც ხვდებით, ამ საინტერესო
თამაშის პროცესში მოცემული
პრობლემის მსგავსი ამოცანის გა-
დაწყვეტა, ოღონდ, უფრო ნაკლები
მონეტებით, ჩვენ საკმაოდ ხშირად
დაგვჭირდა. კერძოდ, ჩვენ შევის-
წავლეთ ერთი თეფშიდან მეორეზე
სამი მონეტის გადატანა, შემდეგ —
უკვე ოთხი მონეტის გადაადგილები-
სათვისაც იგივე წესი გამოვიყენეთ.
ხოლო ამის მერე, ამ ოთხი მონეტის
გადაადგილების წესი გავავრცე-
ლეთ ხუთი მონეტის გადაწყობაზეც.
შევეცადოთ, ჩამოვაყალიბოთ
იგი ალგორითმის სახით:

ვთქვათ, გვაქვს მხოლოდ ორი მო-
ნეტა. საჭიროა პირველიდან მესამე
თეფშზე მათი გადატანა: a_1 ვიგულისხ-
მით 10 კაპიკიან მონეტად, a_2 — 15
კაპიკიანად, m_1 — იმ თეფშის ნომ-
რად, რომელზეც თამაშის საწყის
ეტაპზე გვიწყობა მონეტები, m_2
იყოს საშუალოდ თეფშის ნომე-
რი, ხოლო m_3 — იმ თეფშისა, რო-
მელზეც მონეტები უნდა გადავი-
ტანოთ. a_1 მონეტის გადატანა m_1 -
დან m_2 -ზე აღვნიშნოთ $m_1 \xrightarrow{a_1} m_2$.
ამ აღნიშვნებით m_1 თეფშიდან m_3 -
ზე a_1 და a_2 მონეტების გადატანის
ალგორითმი, m_2 საშუალოდ თეფ-
შის გამოყენებითა და თამაშის პირო-
ბების გათვალისწინებით, ასე ჩამო-
ყალიბდება:

ბრ. 1: თუ a_1 მონეტა m_1 თეფში-
დან გადავიტანეთ m_2 თეფშზე, ეს

$$\text{ნიშნავს} - m_1 \xrightarrow{a_1} m_2;$$

ბრ. 2: a_2 მონეტა m_1 თეფშიდან
გადავიტანოთ m_3 -ზე —

$$m_1 \xrightarrow{a_2} m_3;$$

ბრ. 3: $m_3 \rightarrow m_1$:
ჩამოვაყალიბოთ პირველიდან მე-
სამე თეფშზე სამი მონეტის გადა-
ტანის ალგორითმი: ვთქვათ, a_3 არის
20 კაპიკიანი.

ბრ. 1: ორი მონეტის გადატანის
ალგორითმით m_1 -დან m_2 თეფშზე
გადავიტანოთ a_1 და a_2 მონეტები

$$\text{ე. ი. } m_1 \xrightarrow{a_1, a_2} m_2;$$

ბრ. 2: გადავიტანოთ m_1 -დან m_3
თეფშზე a_3 მონეტა —

$$m_1 \xrightarrow{a_3} m_3;$$

ბრ. 3: $m_2 \rightarrow m_3$.
გამოვსახოთ ეს ალგორითმი

მთლიანად: $m_1 \xrightarrow{a_1, a_2, a_3} m_3$.
თუ ჩვენთვის ზოგადად ცნობი-
ლია $(n-1)$ მონეტის გადატანა, სა-
დაც $n=2, 3, 4, 5$, მაშინ n მონე-
ტის გადასატანად გამოსადგევი იქნე-
ბა შემდეგი ალგორითმი:

$$\text{ბრ. 1: } m_1 \xrightarrow{a_1, \dots, a_{n-1}} m_2;$$

$$\text{ბრ. 2: } m_1 \xrightarrow{a_n} a_3;$$

$$\text{ბრ. 3: } m_2 \xrightarrow{a_1, \dots, a_{n-1}} m_3$$

რადგანაც ერთი მონეტის გადა-
ტანა ადვილად შევძელით, ამიტომ,
ნებისმიერი ნატურალური n -თვის,
მაშინაც კი, როცა $n > 5$, ამ ბოლო
ალგორითმით შეგვიძლია პირველი-
დან მესამე თეფშზე მონეტები გადა-
ვიტანოთ. ეს მოქმედება შესრულ-
დება იმ შემთხვევაში, თუ გვეცო-
დინება ერთიდან მეორე თეფშზე
 $(n-1)$ მონეტის გადატანა. ალბათ
მიხვდებით, თეფშების ნომრებს აქ
არსებითი მნიშვნელობა არცა აქვს,
ასევე — მონეტების დალაგებას ღი-
რებულებისა თუ მოცულობის კლე-
ბის მიხედვით. მონეტების ნაცვლად
შეგვიძლია სხვა სხეულების გან-
ხილვაც, თუ მოცემული გვექნებოდა
მათი ერთმანეთზე დალაგების წესი.

კიდევ მეტი თვალსაჩინოებისთვის,
გვინდა, უკვე ჩამოყალიბებული ალ-
გორითმი კიბეზე ასვლას შევადა-
როთ: n კიბის საფეხურზე ასასვლე-
ლად საჭიროა, რომ ჯერ კიბის პირ-
ველ საფეხურზე (ე. ი. პირველი მო-
ნეტის გადაადგილება) ავიდეთ. რა
თქმა უნდა, ამის შემდეგ ისიც უნდა
იცოდეს, ერთი საფეხურიდან მეორე-
ზე როგორ მოახერხო გადასვლა.
ეს კი იმას ნიშნავს, რომ $K-1$ -ე საფე-
ხურიდან, k საფეხურზე უნდა გადა-
ვიდეთ ნებისმიერი K -სთვის. ეს



იგივეა, რაც n მონეტის გადალაგება, თუ ვიცით n_1 მონეტის გადაწყობა.

შევეცადოთ, მათემატიკური ტერმინებით ჩამოვაცალიბოთ ზემოთ თქმული:

შემიძლია $k-1$ ნომრის საფეხურზე ასვლა;

ვიმყოფები $k-1$ ნომრის საფეხურზე და ვიცი, როგორ გადავიდე k ნომრის საფეხურზე ნებისმიერი ნატურალური k -სთვის.

ამ შემთხვევაში, კიბეს ბოლომდე ავივლით, რა სიმაღლისაც არ უნდა იყოს იგი. კიდევ უფრო მკაცრი მათემატიკური ფორმით, კიბეზე ასვლის ალგორითმის ჩამოყალიბების შედეგად, მივიღებთ მათემატიკური ინდუქციის პრინციპს.

ვთქვათ, საჭიროა დამტკიცდეს დებულება $U(n)$. $U(n)$ სამართლიანია იმ შემთხვევაში, თუ შესრულდა ორი პირობა:

თუ დებულება $U(k)$ სამართლიანი იქნება $k-1$ -თვის;

და თუ $U(k-1)$ -ის სამართლიანობიდან გამომდინარეობს $U(k)$ დებულების ჭეშმარიტება;

მათემატიკური ინდუქციის პრინციპის პირველი პუნქტი შეესატყვიება ასვლას კიბის პირველ საფეხურზე, ხოლო მეორე კი — $(k-1)$ -ე საფეხურიდან k საფეხურზე გადასვლას.

ახლა იმის შესახებ, როდის დაიბადა ჩვენი ეს თამაში:

იგი ინტერვი წარმოშობისაა. არსებობს ლეგენდა უძველეს ინდურ ქალაქ ბენარესში არსებული ტაძრის შესახებ, რომელშიც ინდუსთა ღვთაებას ბრაჰმას სწორედ ქვეყნიერების შექმნისას დაუდგამს ალმასის სამი ღერო, ერთ-ერთ მათგანზე ჩამოცმული 64 ოქროს რგოლით. ყველაზე განიერი რგოლი ღეროს ძირში ყოფილა, მას თურმე სხვები მოჰყვებოდნენ, ოღონდ ისე, რომ ყოველი მომდევნო რგოლი აუცილებლად ყოფილა ქვედაზე ოდნავ ვიწრო. ლეგენდა გვამცნობს, ქალაქის მცხოვ-

რებლებს დღე და ღამე უნდა გაესწორებინათ მუშაობით, რომ ეს ოქროს რგოლები ერთი ღეროდან მეორეზე გადაეტანათ. თანაც, საგანგებო წესიც უნდა დაეცვათ თურმე: რგოლები აუცილებლად სათითაოდ გადაეტანათ და თანაც ისე, რომ განიერი რგოლი არასოდეს არ მოქცეოდა თავზე თავისზე ვიწროს. ბრაჰმას წინასწარმეტყველების მიხედვით კი, როგორც კი, გადაიტანდნენ მეორე ღეროზე 64-ვე რგოლს, დადგებოდა მისგანვე შექმნილი ქვეყნიერების დასასრულიც.

თქვენ, რა თქმა უნდა, გულუბრყვილოდ მოგეჩვენებათ ეს ლეგენდა. იტყვიან, ეგ რომ მართალი ყოფილიყო, ქვეყნიერება კარგა ხნის დასრულებული იქნებოდაო და, მართალიც იქნებოდა. მაგრამ ალბათ მაინც საინტერესო იქნება, შევიტყოთ, თუ რა დრო დაეხარჯებოდათ ამ საქმეზე ბენარესის მცხოვრებლებს, თუ ყოველი რგოლის გადატანას ერთი ღეროდან მეორეზე მხოლოდ ერთ წამს მოანდომებდნენ?

გამოვიყენოთ ზოგადი n რგოლისათვის ჩვენს მიერ შედგენილი ალგორითმი. S_n -ით აღვნიშნოთ რგოლისთვის ადგილის შესაცვლელად საჭირო გადატანების რაოდენობა — n რაოდენობა, მივიღებთ:

$$S_n = 2S_{n-1} + 1. \quad (1)$$

რადგანაც ალგორითმის პირველი და მესამე ბრძანებების შესასრულებლად საჭიროა S_{n-1} ოპერაცია, ხოლო მეორისა კი — 1 და, ამას გარდა, უნდა გავითვალისწინოთ, რომ $S_1 = 1$, მაშინ მივიღებთ, რომ:

$$S_2 = 3, S_3 = 7, S_4 = 15, S_5 = 31.$$

როგორც ხედავთ, ჩვენს მიერ ნაჩვენებ თამაშში, სულ 31 მონეტის გადატანა დაგვჭირდა. თუ ამავ გზას გავყვებით, S_{64} -ის პოვნა ძალიან გაგვიძნელებს, მაგრამ... თუ კარგად დავაკვირდებით S_2, S_3, S_4 და S_5 -ს, მივხვდებით, რომ ისინი წარმოადგებიან შემდეგი სახით:

$$S_2 = 2^2 - 1; S_3 = 2^3 - 1; S_4 = 2^4 - 1; S_5 = 2^5 - 1.$$

ამიტომ შეიძლება, ყოველი S_n გამოითვალოს ფორმულით:

$$S_n = 2^n - 1 \quad (2)$$

მოცემული ფორმულის ჭეშმარიტება დამტკიცდება მათემატიკური ინდუქციის პრინციპით. რა თქმა უნდა, ერთი მონეტის გადაადგილებისთვის საჭირო ოპერაციათა რაოდენობას ფორმულა ზედმიწევნით აღწერს. ე. ი. დებულება სამართლიანია $k-1$ -სთვის. დავუშვათ მისი ჭეშმარიტება ნებისმიერი $n-k-1$ -სთვის და დავამტკიცოთ იგი $n-k$ -სთვის. ამას ადვილად შევძლებთ:

$$S_k = 2S_{k-1} + 1 = 2(2^{k-1} - 1) + 1 = 2^k - 1.$$

ამის შემდეგ, მათემატიკური ინდუქციის პრინციპის მიხედვით, (2) ფორმულა შეგვიძლია დამტკიცებულად ჩავთვალოთ და გამოვიყენოთ იგი S_{64} -ის გამოსათვლელად, მივიღებთ:

$$S_{64} = 18. 446. 744. 073. 709. 551. 615 > 18. 10^{18}$$

ეს იმას ნიშნავს, რომ ლეგენდის თანახმად, ქვეყნიერების დასასრული უნდა დადგეს S_{64} წამის შემდეგ. ხოლო, იმისათვის, რომ შევიგრძნოთ ამ უზარმაზარი რიცხვის (18 კვინტილიონ 446 კვადრილიონ 744 ტრილიონ 73 ბილიონ 709 მილიონ 551 ათას 615) სიდიდე, უნდა დავუშვათ, რომ საათში 100 წუთია, წუთში — 100 წამი, წელიწადში კი 10.000 საათი, მაშინ ქვეყნიერების დასასრულისათვის 2.10⁸ საუკუნეზე მეტი დრო ყოფილა საჭირო. თუ ამ რიცხვებს შევადარებთ ქვეყნიერების ასაკის აღმნიშვნელ ციფრებს, მივიღებთ რომ: მზის ასაკია 5.10⁹ საუკუნე, დედამიწისა — 3.10⁶, დედამიწაზე სიცოცხლის არსებობისა — 1.10⁶, ხოლო კაცობრიობის ასაკი უდრის 500 საუკუნეს.

ასე რომ, ეს ძველი ინდური ლეგენდა მართალი რომ გამომდგარიყო, ქვეყნიერების დასასრული ჯერ კიდევ მრავალი ათასი საუკუნის წინათ იქნებოდა დამდგარი.

მინი სპეციალური სტოქსტობს

100-150+



100



სპაპი 117+

30 80-100+



ბრილაქა 80-100



70-85



77+



70



50-100



პაპალა 80-70



პანარი 80-100+ შობი 85



50-60



50 ?
ხამანჯა

პტინია 60-70



45



40+



30-45



35-40



30-35

არა 30



20-30



20-25



15-25



10-27



10-15



12-20



12-25



9



გუპი 5



3-4



3-7



გუპილა



მელუა 2-3 თპი



ბატარიაი 1-40 საათი

ნ. ხარაზიშვილი — ერთი ადგილის დედის შვილები (ნარკვე- ვა)	გარეკ.	2
ა. ლორია — დაუმთავრებელი ოქმი (მოთხრობა)		8
ბ. მავაშვილი — ლექსები		9
მ. გელაშვილი — კალათბურთი (ნარკვევი)		10
ნ ა ზ ი კ ი ლ ა ს ო ნ ი უ — 80		12
თ. გომგალაძე — შვილის აღერხით (წერილი)		18
ბ. დავითაძე — მინალო ბებია (მოთხრობა)		14
შენი უცხოელი თანატოლები (წერილი)		16
ყურადღება! ვაცხადებთ კონკურსს!		16
ბ. პამოვი — გაიდარის ჩანთა (მოთხრობა)		18
ჭ ა დ ო ს ნ უ რ ი ს ა რ კ ე		25
ა ი ს ი		26
კ ო ც ო ნ ი		26
ი. გომგალაძე — წყნარი საათი (მოთხრობა)		28
მოდელირების მოყვარულთათვის (წერილი)		28
ი. გლიაძე, რ. გომგალაძე — მათემატიკური ინტუიცია (წერილი)		29
ვის რამდენს ცოცხლობს?		32
ც ხ რ ა კ ლ ი ტ უ ლ ი	გარეკ.	3
თ. ჯალალანი — ქეთევან მაღალაშვილი (წერილი) გარეკ.		4

გარეკანის 1-ლ გვერდზე „კიდევაც დარიღებინა...“ —
ოლეგ გველესიანის ფერადი სლაიდი.

მთავარი რედაქტორი ბაბუღია შელია

სარედაქციო კოლეგია: ანა ალავერდუშვილი, ნუგზარ აფხა-
ზაძე (პ/მგ. მდივანი), ზურაბ გომგალაძე, მანანა გელაშვილი, ან-
თანდილ გურგენიძე, დოდო ვადაშვილი, იოსებ სამსონაძე,
გაიფო ფოსტაძე (მხატვარი-რედაქტორი), ნოდარ შამანა-
ძე, სიმონ შამგინაძე, ლიანა შაფიერული, ზურაბ ბუმბუაძე.

რედაქციის მისამართი: 880096, თბილისი, ლენინის ქ. № 14, ტე-
ლეფონები: მთავარი რედაქტორის — 98-97-05, 98-81-81, პ. მგ.
მდივანის — 98-97-08, 98-58-05, განყოფილებების — 98-97-09, 98-97-01.
გალაქცია ასაწყობად 28.08.88 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად
20.05.88 წ. ქალაქის ფორმატი 60×90¹/₈. ფიზიკური ნაბეჭდი
ფურცელი, 4,9. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 4,4; შეკვ. 772.
ტირაჟი 156.000 ეგზ., უე 09848.

საქართველოს კ კ ც-ის გამოცემლობის სტამბა. 880096, თბილი-
სი, ლენინის ქ. № 14.

თბილისში მცხოვრებ ავტორებს პასუხი წერილობით არ ეცნობებათ.

«Пионери», журнал ЦК ЛКСМ Грузии и Грузинского
Республиканского Совета Всесоюзной пионерской
организации имени В. И. Ленина для школьников.
Выходит один раз в месяц на грузинском языке.


Главный редактор
ШЕЛИЯ БАБУЛЯ АКАКИЕВНА

Адрес редакции: 380096, г. Тбилиси, ул. Ленина, 14.
Отпечатано в типографии издательства ЦК КП Грузии,
380096, г. Тбилиси, ул. Ленина, 14.
Издательство ЦК КП Грузии, 380096, г. Тбилиси,
ул. Ленина, 14.
Формат 60×90¹/₈, учетно-изд. л. 4,4; усл. печ. л. 4,9.
Тираж 156000 экз. Цена 20 коп.



თარაზულად: 8. მრავალ-ადგილიანი სამგზაო ავტომობილი; 4. გამოცდილება. და-

რივ, ერთ ადგილზე დაშვებულ ვითარდება და ნიადაგის და ჰაერის არაორგანული



წილი; 17. ისტორიული ოლქი ჩეხოსლოვაკიაში; 21. სისხლძარღვი; 22. ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი; 23. პურული მცენარე; 26. ბატონის ბეწვი; 27. რისამე მწყობრი შეთანხმება, შეხამება; 28. დასაძლენებული აქლემების გამწკრივებული სვლა.

შვეულად: 1. ორთქლის, გაზის ან წყლის ენერჯის მექანიკურ ენერჯიად გარდაქმნელი ძრავა; 2. ქართველი ფეხბურთელი; 5. ოთხკუთხედი, რომლის მხოლოდ ორი გვერდია პარალელური; 6. სპორტის სახეობა; 7. დედამიწის ატმოსფეროში შობრავი კოსმოსური წარმოშობის სხეული; 10. მისამღერი; 11. ხორცის შესაწვავი ხის ან რკინის ღერო; 12. კაცობრიობის მიერ განვლილი გზა; 14. ნაკლი; 18. მოწმობა სასწავლებლის დამთავრების შესახებ; 19. სანიმუშო ნაწარმოები — ხელოვნების, ოსტატობის უდიდესი მიღწევა; 20. შეცნეირება ადამიანის დაავადებათა და მათი მკურნალობის შესახებ; 24. მოკავშირე რესპუბლიკა; 25. ჩანჩქერი ამერიკაში.

ხელოვნება რაიმე საქმიანობაში; 8. ყვავილის მიერ გამოყოფილი ტკბილი წვენი; 9. ორგანიზმი, რომელიც, ჩვეულებ-

ნივთიერებებით იკვებება; 18. ცხენოსანი; 15. რიგითი მეზღაურარი; 16. მიწის ღონეზე დაბლა მდებარე შენობის ნა-

შეადგინა ლ. გოშაძემ


პენსი № 4-ში მოთავსებულ „სხრკლივულს“
ემცნისუნა რიცხვი
 142857
18 გუშაგი
 ერთ კედელთან დაყენებენ 7, კუთხეში კი 8 გუშაგს.
კ რ ო ს ვ ო რ დ ი

თარაზულად: 1. რესურსი; 4. პატენტი; 7. ტემპი; 10. როკილი; 11. ლებარდე; 12. არტიტი; 18. ოსტილია; 16. ანტანტა; 18. ისტორია; 20. ინციზია; 21. ანდერძი; 22. უპოდუ; 28. სევილია; 24. გიგანტი.

შვეულად: 2. ურუგვავი; 3. სატელიტი; 5. აქილევისი; 6. ცვფრატი; 8. ორგანიზაცია; 9. მექანიზაცია; 14. ატრიბუტი; 15. ესენტუცი; 17. აზიმუტი; 19. ოპერეტა.

თავსატამი

დახაზეთ ეს ფიგურა ხელის აუღებლად. ერთხელ გავლებულ ხაზს ფანქარი მეორედ არ გააყოლოთ.



მოძებნეთ უმცირესი რიცხვი

მოძებნეთ უმცირესი რიცხვი, რომელიც 2, 3, 4, 5 და 6-ზე გაყოფისას იძლევა ნაშთს 1, 2, 3, 4, 5-ს.

ანაგრამა

გაიხსენო უნდა სინონიმი ტორის, ოდენობით ზუსტად გახლავს მისი ტოლი. ბოლო მარცვალს თუკი გადაიტან თავში, დალოცვილი ვაწის ჭიში არის მაშინ.

შარადები

ის ცხოველი წყალშიც გვხვდება, ბაკანი აქვს ფარად, ორი ბგერით გამოითქმის, დასაწყისად კმარა. დასკვნისათვის დაუმატე ანტონიმი „ჩქარის“.

შეხე, ტოტებს ეკლიანებს როგორ ურბევს ქარი!

კირი იქა, ლხინი აქა, ფქვილიც აქა, მამ იქ რალა? — მისი წინა მარცვალა, რაც საწყისად გვინდა ახლა. და გორაკის სინონიმიც

თუ ასევე კარგად გახსოვს, შეერებაშდე მოაცილე თავიადური სამი ასო. — ბუჩქი — ღობედ, ნაყოფი კი სამკურნალოდ დიდად ფასობს.

შ. ამირანაშვილი

გამოცანები

არ მიკვირს, თუ გამოცდი: შიგნით — ტყავი, გარეთ — ხორცი.

გამოცანა ადვილია, თუმც მასუნი უნდა ფრთხილი: ხელზე ხუთი თითი მაქვს და არც ერთ მათგანს არ აქვს ფრჩხილი.

ეს ნათქვამი ხალხში, რა ზანია, დადის: შამფურია — ხორცის, ლითონის კი — მწვადი.

ნ. მარინი

გამოცანები

შუაშრა, კუ.


შარადები

ფული, ნული; კეტი, ცალი, კეტალი; გულე, შური, გულეშური;

მეტაბრამა

მასათი, მასათა;

თავსატამი





**ქეთევან
მალალაშვილი**

**„იაკობ ნიკოლაძის
პორტრეტი“**

ქართულ საბჭოთა ფერწე-
რაში განსაკუთრებული ადგი-
ლი უჭირავს ქეთევან მალა-
ლაშვილის შემოქმედებას.
ქეთევან მალალაშვილმა მო-
ღვაწეობა დაიწყო ჭერ კიდევ
ოციან წლებში, როდესაც თა-
ვის მეგობრებთან — ელენე
ახვლედიანთან, ლადო გუდია-
შვილთან და დავით კაკაბა-
ძესთან ერთად პარიზიდან სამ-
შობლოში დაბრუნდა.

პარიზში იგი კოლოროსის

„თავისუფალ აკადემიაში“ სწა-
ვლობდა, მაგრამ საზღვარგარ-
ეთ გამგზავრებამდე შექმნა
რამდენიმე მნიშვნელოვანი ტი-
ლო. მათ შორის ყველაზე სა-
ინტერესოა „იაკობ ნიკოლაძის
პორტრეტი“.

საერთოდ, პორტრეტული
უანრი ქეთევან მალალაშვილის
ერთადერთი გატაცება იყო.
იგი ერთგულად ემსახურებო-
და ამ დარგს მრავალი წლის
მანძილზე. მხატვარმა შექმნა

რვაენი საგაოოფანო დარბაზი

ქართველი ინტელიგენციის წა-
რმომადგენელთა შესანიშნავი
„პორტრეტული გალერეა“ —
მის ტილოზე ცოცხლდებიან
ჩვენი მეცნიერები, მხატვრები,
მსახიობები, მუსიკოსები და
მწერლები

შესანიშნავი ქართველი მო-
ქანდაკის — იაკობ ნიკოლაძის
პორტრეტი ძალზე მეტყვე-
ლი და გამომსახველია. მათუ-
რებელი ერთი შეხედვითვე
გრძნობს, რომ მის წინაშეა არ-
ტისტული, შემოქმედებითი ნა-
ტურა, მხატვრული ნიჭით და-
ჭილდობული ადამიანი. ამაზე
მეტყველებს ნიკოლაძის თავი-
სუფალი, ეფექტური პოზა —
გრძელ, რომანტიკულ მოსახ-
ხამში გახვეული, დოინტემო-
ურილი მოქანდაკე მხრით ოდ-
ნავ მიყრდნობია კარადის კუ-
თხეს, მეორე ხელით კი დაუ-
ღვერად უჭირავს პაპიროსი.
ფართოფარფლებიანი ქული და
შავი წვერ-ულვაში შვენის ამ-
აყი მოძრაობით მათურებლის-
კენ ოდნავ შემობრუნებულ
სახეს.

სწორედ ეს სახე არის სუ-
რათის ყველაზე მეტყველი,
ყველაზე მნიშვნელოვანი ნა-
წილი.

გარდა დიდი პორტრეტული
მსგავსებისა, აქ ჩანს ინტერე-
სი ადამიანის შინაგანი ბუნე-
ბის, მისი სულისა და ხასიათის
გაღმოცემისადმი. იაკობ ნიკო-
ლაძის სახე საოცრად თავისე-
ბური და შთამბეჭდავია —
თხელი, წაგრძელებული პირი-
სახე, ოდნავ კეხიანი ცხვირი,
გრძელი წარბები და მშვენიე-

რი, ოდნავ მოხუტული შუქი
თვალები. სახის გამომეტყვე-
ლება განსაკუთრებული ინტე-
ლიგენტურობით და დახვეწი-
ლობით გამოირჩევა. ნაკვთები
შინაგან ტემპერამენტსა და
შთაგონებას ავლენს. მუერა —
ღრმა, ჩაფიქრებული, ოდნავ
დაბინდული, პირდაპირ მათუ-
რებლისკენ მიმართული.

ასეთ შთაბეჭდილებას კიდევ
უფრო აძლიერებს შესრულე-
ბის მანერაც — მხატვარი ფა-
რთო, მსუბუქი და ზუსტი მო-
ნასმებით აღწერს ფიგურის
ფონს, ძერწავს სახის ნაკვ-
თებს. აქ არაფერია ზედმეტი
და შემთხვევითი. შესრულების
მანერა სადა და მკაცრია.

ძალზე ეფექტურია მუღერი
ფერადოვანი ლაქების მკვეთ-
რი კონტრასტები — მუქი მო-
მწვანო-ლურჯი მოსახხამი, ხა-
სხასა წითელი ფონი, შავი ქუ-
დი. ეს ფერადოვანი აკორდი
ეფექტურ დეკორატიულ იერს
ანიჭებს სურათს.

უნდა აღინიშნოს, რომ ეს
პორტრეტი მხატვარმა იაკობ
ნიკოლაძეს აჩუქა 1922 წელს.
სახელოვანი მოქანდაკის იუ-
ბილესთან დაკავშირებით.

ნამუშევარმა იმთავითვე დი-
დი მოწონება და აღიარება
დაიმსახურა და დღესაც არ
დაუკარგავს თავისი მნიშვნე-
ლობა.

იაკობ ნიკოლაძის ქეთევან
მალალაშვილისეულმა პორტ-
რეტმა ღირსეული ადგილი და-
იმკვიდრა ქართული საბჭოთა
ფერწერის ისტორიაში.

**თეო ჯალალანია,
ხელოვნებათმცოდნე.**